ILIAS STATE UNIVERSITY PRESS
ILIAS SAXELMWIFO UNIVERSITETIS GAMOMCEMLOBA

ISBN 978-9941-18-453-6

ქეთევან გურჩიანი

მრავალშრიანი თბილისი

ქეთევან გურჩიანი
რედაქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან გურჩიანი

რედაქტორი

მრავალშრიანი თბილისი

2023

მრავალშრიანი თბილისი

Tbilisi as an urban assemblage

ნაშრომი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი #FR 19-7726). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This book is published by the financial support of Shota Rustaveli national science foundation (Fundamental Research Grants #FR- FR 19-7726). All ideas expressed herewith are those of authors and may not represent the opinion of the Foundation itself.

რედაქტორი: **ქეთევან გურჩიანი**

Edited by **Ketevan Gurchiani**

© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

© Ilia State University

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

გარეკანის დიზაინში გამოყენებულია
ი. გუკიევას პლაკატის ნახატი (1978).

ISBN 978-9941-18-453-6

სტამბა „ფავორიტი სტილი“

შინაარსი

ქეთევან გურჩიანი
წინასიტყვაობა 5

ქეთევან გურჩიანი
ხეების ფარული ძალა:
ურბანული წინააღმდეგობა თბილისში 13

ია კუპატაძე
თბილისი და ღია ქალაქი –
„ჰერმეტულად დალუქული“ საბჭოთა საცხოვრისი 70

ქალაქ თბილისის განვითარების თავისებურებები 91

თამთა ხალვაში
მომცვრეული ქალაქი: ჭართის შეგროვება
თბილისის ინფრასტრუქტურის ნანგრევებში 122

ქეთევან გურჩიანი

წინასიტყვაობა

ამ კრებულში შესული სტატიები ეყრდნობა კვლევებს, რომლებიც პროექტში სახელწოდებით – „თბილისი, როგორც ურბა ნული თანაკვეთის სივრცე" – განხორციელდა. თანაკვეთა ტერმინ assemblage გადმოქართულების მცდელობაა. ეს მიდგომა გულისხმობს, რომ ნებისმიერი ფენომენი შეიძლება დავინახოთ, როგორც სხვადასხვა ნაწილისგან შემდგარი კონა. ამგვარ კონაში თავმოყრილი ნაწილები შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს, ასუსტებდეს ან ასულდგმულებდეს.

Assemblage დელიოზისეული ტერმინია. ქართულად თარგმნისას ამ ტერმინს ხანდახან პირდაპირ ტოვებენ, როგორც ასამბლიაჟს და ამით აღნიშნავენ განსხვავებული, ხშირად შეუთავსებელი ელემენტების ერთიანობას. გუატარი და დელიოზისთვის ის განუსაზღვრელობის, სიმრავლის, გადახლართულობის აღმნიშვნელია (Deleuze, Guattari, 2003). ამგვარ თავმოყრაში ან თანაკვეთაში ცალკეული ნაწილები ერთდროულად არის ავტონომიურიც და ურთიერთდამოკიდებულიც, ქსელის წევრიცა და საკუთარი მოქმედების ძალის მქონეც. თითოეულ ნაწილს აქვს აგენტობის უნარი, როგორც ამას აქტორისა და ქსელის თეორია ხედავს (Actor-Network Theory. იხ. Latour, 2005). ამ მიდგომისთვის არც ერთი მოცემულობა არ არის ფიქსირებული, მყარი და წინასწარ განსაზღვრული. ნებისმიერი თანაკვეთა არასტაბილურია.

ურბანული თანაკვეთის (urban assemblage) თვალსაწიერიდან დანახული ქალაქი მუდმივად ცვალებადი და მრავალშრიანია. ეს შრეები შეიძლება იყოს დროითი, სადაც წარსულის ფენები აწმყოს უკან იფარება; შეიძლება ასევე იყოს მატერიალურისა და არამატერიალურის, ბუნებისა და ინფრასტრუქტურის, ფორმალურისა და არაფორმალურის გადახლართულობა. თუ ქალაქის სივრცეებს ამგვარად შევხედავთ, იქნება ეს ბაღები, მდინარეები, ქუჩები თუ შენობები, შევძლებთ ეს

ადგილები პალიმფსესტივით წავიკითხოთ. ეს მიდგომა მოულოდნელი კავშირების აღმოჩენის ბიძგს გვაძლევს.

თანაკვეთის (assemblage) თვალთახედვით, ქალაქის კვლევა მისი რომელიმე ერთი ნაწილისთვის უპირატესობის მინიჭებაზე უარის თქმაა (იხ. Delanda, 2006). აქედან გამომდინარეობს მიდგომაც, რომ ქმნადობის და ცვლილების ძალა შეიძლება ყველგან და ყველაფერში დავინახოთ. ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს ქალაქის ოფიციალური სტრუქტურის მიღმა და ამ სტრუქტურის მიუხედავად დავინახოთ ყოველდღიური პრაქტიკები, რომლითაც ქალაქი მუდმივად იქმნება.

მრავალშრიანობის შესწავლის ამგვარი მიდგომა სიმეტრიულ ანთროპოლოგიას ითხოვს. სიმეტრიული ანთროპოლოგია ეფუძნება ვარაუდს, რომ გარკვეული ქმედების უნარი ქსელის მხოლოდ ადამიანური წევრებით არ შემოიფარგლება (Farias 3-5, 2012; „radical relationality“, Law 1992; Gandy 2011). ქსელურობა გულისხმობს ადამიანურისა და ადამიანის მიღმიერის ან არა-ადამიანის გადაჯაჭვულობასაც და თითოეული წევრის დამოუკიდებლად ქმედების უნარსაც[1]. ამ რთული ერთიანობის მოსახელთებლად აუცილებელია მეთოდოლოგიური სიმეტრია. ის, რომ ქსელის შემადგენელ ელემენტებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ქალაქზე და ჰქონდეთ აგენტობის უნარი, კარგად ჩანს ხეების მეშვეობით წინააღმდეგობის სტატიაში „ხეების ფარული ძალა: ურბანული წინააღმდეგობა თბილისში“ (ავტორი: ქეთევან გურჩიანი).

სტატიაში „ხეების ფარული ძალა" განხილულია, თუ როგორ ახერხებენ ადამიანები ხეების ძალის გააქტიურებას და მათი საშუალებით საჯარო, მწვანე სივრცეების დაცვას. თბილისში ჩატარებული კვლევის საფუძველზე ნაშრომში განხილულია ერთ-ერთი ფარული ტაქტიკა, როგორიცაა განსაკუთრებული ღირებულების მქონე ხეების დარ-

[1] კრებულში შეგვხვდება ხელოვნური ტერმინები, რომლებიც რთული სათარგმნია. ტერმინ assemblage-ს გარდა, human – nonhuman ამ კრებულში შეგვხვდება როგორც ადამიანური და არა-ადამიანური. იხ. ასევე ელენე ლადარიას თარგმნილი ბრუნო ლატურის „ჩვენ არასდროს ვყოფილვართ მოდერნულები“.

გვა საჯარო სივრცეში. ადამიანები ააქტიურებენ ხეებისთვის დამახასიათებელ ტერიტორიის დაპყრობის უნარსა და მის ინდექსურობას ანუ კონტექსტზე მითითების შესაძლებლობას. ხეებისთვის დამახასიათებელი ტერიტორიის დაუფლების უნარი ადამიანების იარაღად იქცევა, თუ მათ ზურგს უმაგრებს კანონები, რომლებიც ამ ხეებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ნაშრომში ასახულია, თუ როგორ ყალიბდება ფარდობითი, ურთიერთდამოკიდებული ქმედების უნარი (relational agency) ადამიანებსა და ხეებს შორის. ნაშრომი განიხილავს, როგორც არის შესაძლებელი არსებული კანონების ფარული მიზნებისთვის გამოყენება. სტრატეგიების ამგვარი ტაქტიკური გამოყენება გაანალიზებულია, როგორც „სუსტების“ იარაღი, რომლითაც ისინი ინფრაპოლიტიკას აწარმოებენ. ხეები მოკავშირეებად იქცევიან თავსმოხვეულ წესრიგთან გამკლავებისთვის ბრძოლაში. ამგვარი წინააღმდეგობისას ერთდროულად ვხვდებით როგორც ადამიანის და არაადამიანის გადაჯაჭვულობას, ისე ფარულ წინააღმდეგობაში დალექილ სხვადასხვა სივრცით და დროით ფენებს. ნაშრომი აჩვენებს, თუ როგორ ასაზრდოებს საბჭოთა დროში მიღებული კანონები და ამ კანონების ფარული მიზნებისთვის გამოყენების გამოცდილება წინააღმდეგობის ინფრაპოლიტიკას დღეს. ამ სტატიისთვის, ისევე როგორც ზოგადად პროექტისთვის, მნიშვნელოვანი იყო იმგვარი მწვანე სივრცეების პოვნა, რომლებიც ხალხის აქტიურობით იქმნება და რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები ქალაქზე თავიანთ უფლებას ახორციელებენ.

სტატიაში „მომცვრეული ქალაქი: ჯართის შეგროვება თბილისის ინფრასტრუქტურის ნანგრევებში“ თამთა ხალვაში გვიჩვენებს ჯართის შეგროვების პრაქტიკის მრავალშრიანობას. პოსტსაბჭოთა საქართველოში საბჭოთა ინფრასტრუქტურა ჯართად იქცა და დასაბამი მისცა ჯართის შეგროვების პრაქტიკას, რომელიც ბოლო ათეული წლებია თბილისის განუყრელი ნაწილი გახდა: ჯართით დატვირთული მანქანები და მათი თანმხლები ხმები ქალაქს ჭარბი ჯართისგან გათავი-

სუფლებას ჰპირდებიან. თბილისში ჯართის შემგროვებლებს შორის ჩატარებული თამთა ხალვაშის კვლევა გვიჩვენებს, თუ როგორ იქცა ცენტრალური გათბობის სისტემა შეგროვების, შეკეთებისა და გაცვლის ნაწილად. ავტორის დაკვირვებით, შემგროვებლები უბრალოდ ეკონომიკურ გასაჭირს კი არ უმკლავდებიან ჯართის ჩამბარებელ პუნქტებში მონეტარიზაციით, არამედ შემოქმედებით უნარებსაც რთავენ ჩამოშლილი სოციალური და მატერიალური ქსოვილის გასარემონტებლად და აღსადგენად. ამით ავტორი აფართოებს ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ დამკვიდრებული ცნების, შეგროვების საზღვრებს და მას შეკეთებისა და კრეატიულობის აქტებსაც უკავშირებს, ეყრდნობა რა ქართულ სოფლებში გავრცელებულ მოპოვების ადგილობრივ პრაქტიკას: მომცვრევას, რაც მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილი ჭირნახულის მოძებნა-მოგროვებას ნიშნავს. ავტორი გვაჩვენებს, რომ ჯართისა და მისი შემგროვებლების წყალობით ქალაქს აქვს მუდმივი რეგენერაციის პოტენციალი. ამიტომ ერთი შეხედვით ჩამოშლილი, გაჯართებული ან გადაგდებული ინფრასტრუქტურა შეიძლება შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკის, სივრცის შეკეთებისა და გადაკეთების, რესურსების გადანაწილებისა და ათვისების ადგილად იქცეს.

ია კუპატაძე სტატიაში „თბილისი და ღია ქალაქი – „ჰერმეტულად დალუქული“ საბჭოთა საცხოვრისი“ რიჩარდ სენეტის ღია ქალაქის იდეას უსადაგებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა თბილისს; ის კონკრეტული მაგალითის საფუძველზე გვიჩვენებს, რა ემართება დახურულ ქალაქს. ნაშრომში განხილულია ქალაქის კონკრეტულ უბანში, ვაკეში საბჭოთა პერიოდში აშენებული საცხოვრებელი სახლი და სივრცე, რომლის ფორმირებაც ამ სახლის ირგვლივ მოხდა. ია კუპატაძე ხაზს უსვამს ამ სახლის არქიტექტურას და ადგილმდებარეობას, რამაც ავტორის აზრით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალაქის ამ მონაკვეთში ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებაში. ავტორი „ღია“ ქალაქის კონცეფციაზე დაყრდნობით გა-

ნიხილავს ამ სახლის არქიტექტურული დაგეგმარების ძირითად ელემენტებს, მის კავშირს ქალაქის ერთ-ერთ ძირითად ქუჩასთან და საზოგადო სივრცესთან და პარალელს ავლებს საბჭოთა ქალაქისთვის დამახასიათებელ ელემენტებთან. ამ სახლის ჰომოგენურობა და მოუქნელობა ქალაქის მცირე მოდელია, რომელსაც არ შეუძლია მარტივად მოერგოს დღეს არსებულ ცვლილებებს. შესაბამისად იქმნება გარემო, რომელიც მოუქნელად ვითარდება.

თავში *ქალაქ თბილისის განვითარების თავისებურებები* ია კუპატაძე წარმოადგენს ქალაქ თბილისის ურბანული ქსოვილის 1934 წლიდან დღემდე განვითარების ეტაპებსა და თავისებურებებს. ნაშრომის ფარგლებში ავტორს სამუშაო ჯგუფთან ერთად შესწავლილი აქვს ქალაქ თბილისის 1934 წლის, 1950-იანი და 1970-იანი წლების განვითარებისა და რეკონსტრუქციის გეგმები. ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლება ქალაქის ქსოვილი, მისი სახე, საბჭოთა იდეოლოგიისთვის დამახასიათებელ მიდგომების გათვალისწინებით; როგორ იცვლება საცხოვრებელი უბნები, რომელიც პარალელურად იწვევს საზოგადოების ცხოვრების სტილის ცვლილებას და თუ რა გავლენას ახდენს პოლიტიკური სისტემა ურბანულ გარემოზე. პროექტის სამუშაო ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო საარქივო მასალის (ნახაზების, ფოტო, ვიდეო, ნარატიული ნაწილის, სტატისტიკური მონაცემების) შესწავლა და ანალიზი. შემდეგ კი დამუშავებულ მასალაზე დაყრდნობით ვიზუალური მასალის მომზადება, რომელიც ასახავს ქალაქ თბილისის სივრცითი მოწყობის და რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით (1934, 1950-იან, 1970-იან წლებში) შემოთავაზებულ კონცეფციებს, მიდგომებს და სტანდარტებს. ამ თავის მეორე ნაწილი კი აჩვენებს ქალაქს, რომელიც რეალურად განვითარდა. შედეგად ვხედავთ განსხვავებას – თუ რა იყო შემოთავაზებული და რა განხორციელდა. ამ თავის ნარატიული ნაწილი აღწერს საპროექტო წინადადებებს და ხაზს უსვამს იმ კონკრეტული

დროისთვის საბჭოთა დოქტრინების მიხედვით დაგეგმილ მიდგომებს/მოთხოვნებს, რაც საერთო ჯამში გავლენას ახდენს ქალაქის ურბანული ქსოვილის სახეცვლილებაზე და მის განვითარებაზე იმ სისტემით, რაც დღეს არსებობს.

კვლევის ფარგლებში სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა, თუ რა გავლენას ახდენს ურბანულ სტრუქტურაზე ოფიციალური სტრატეგიები (ქალაქგეგმარების ოფიციალური წესები) და ყოველდღიური ტაქტიკები (მანევრირება, არაფორმალური სივრცეები და პრაქტიკები De Certeau 1984 მიხედვით). რუკები და გენგეგმები წარმოადგენს ოფიციალური ხედვის ანალიზის საშუალებას, ხოლო ყოველდღიური სივრცე, რასაც ადამიანები ქმნიან რეგულაციების მიღმა, იმ ჰიბრიდულ ჯაჭვს გვიჩვენებს, რომლის ნაწილების მიმართებაც ქალაქს ქმნის (Simmel 1902, Lefebvre 1991, Soja 1996). პროექტის საფუძველზე შესაძლებელი გახდა სხვადასხვა შრის ვიზუალიზაცია (უბნები, ინფრასტრუქტურა, ლანდშაფტი) და ამ შრეების კომპლექსური ურთიერთობის ჩვენება. ურბანული სტრუქტურის, პრობლემების ინდიკატორების შესწავლა და ამის საფუძველზე მობილობის, ინდუსტრიული ზონების, მწვანე სივრცეების, საჯარო და კერძო სივრცეების დინამიკის ანალიზი ნათელს ხდის ამ შრეების გადახლართულობას ურბანულ ქსოვილში.

ქალაქის სხვადასხვა ფენის გამოაშკარავება და მათი სხვადასხვა თვალთახედვიდან წაკითხვა ჩვენი კვლევითი პროექტის ძირითადი მიზანი იყო. თავად ეს პროექტიც სხვადასხვა ხედვის თავმოყრის მცდელობა გახლდათ და აერთიანებდა როგორც ანთროპოლოგებს, ისე არქიტექტორებს. ამ კრებულისთვის ავტორებმა პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევებიდან რამდენიმე შეარჩიეს. მათი ნაწილი უკვე გამოქვეყნებული ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი ტექსტების გავრცობილ თარგმანს წარმოადგენს (ქ. გურჩიანის სტატია, ასევე. ი. კუპატაძის პირველი სტატია), ნაწილი პირველად ქვეყნდება (ი. კუპატაძის მეორე სტატია და თ. ხალვაშის სტატია). პროექტის ფარგლებში შესრულებული სხვა სტატიები ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი: Gurchiani, K. „Rivers between nature, infrastructure, and religion“. *Central Asian Survey* 42, 1 (2023).

ასევე მისი სტატია "Buildings as Palimpsests", რომელიც Journal of Urban History–ში გამოქვეყნდება. პროექტის ფარგლებში შესრულებული სხვა კვლევები, ინტერაქტიული რუკა და ვიზუალური მასალა ჩვენი პროექტის ვებგვერდზეა განთავსებული, რომელიც ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სივრცე, იმედი გვაქვს მუდმივად შეიცვლება და დაიხვეწება.

პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა მასში ჩართული მკვლევრების გარეშე. პროექტის გუნდი განსაკუთრებულ მადლობას უხდის პოლ მენინგს, პროექტის ექსპერტს, რომელიც არ იშურებდა ენერგიას, ჩამოსულიყო და პროექტის გუნდის გარდა, ახალგაზრდა მკვლევრებისთვისაც თავისი ცოდნა და გამოცდილება გაეზიარებინა. მადლობას ვუხდით ასევე სხვადასხვა ეტაპზე ჩართულ მკვლევრებს: რუსუდან დარჩიაშვილს, გაბრიელ ჩუბინიძეს, რაიან შერმანს, გიორგი კანკიას და სტუდენტებს, რომლებმაც განსაკუთრებული მონაწილეობა მიიღეს არსებული საარქივო მასალის ვიზუალიზაციასა და ინტერაქტიული რუკის შექმნაში: https://urbanassemblage.iliauni.edu.ge/interactive-map/. ესენი არიან: ლაშა ძიძიშვილი, ნინო ავალიშვილი, ირაკლი კოჭლაშვილი, გიორგი დესპოტაშვილი, ავთანდილ ჩიჩუა, ელენე ინწკირველი, გიორგი აბაშიძე, მიხეილ ჭინჭარაული, მალხაზ კვარაცხელია, ნუცა ღლონტი. დიდი მადლობა ავთო მღებრიშვილს თბილისის, ვაკის ტერიტორიის (1980 წწ; 2020 წწ) სამგანზომილებიანი მაკეტის დაბეჭდვისთვის.

პროექტის გუნდი განსაკუთრებულ მადლობას უხდის თათა ლორთქიფანიძესა და ლევან ხარაშვილს ლეო ხარაშვილის არქივზე წვდომისთვის, ხოლო ნუცა ნადარეიშვილს გივი შავდიას საარქივო მასალის მოწოდებისთვის, ლევან კალანდარიშვილს მუდმივი მხარდაჭერისთვის. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ წლების მანძილზე მონაწილეობდა პროექტის ფარგლებში გამართულ კვლევით სემინარებსა და კონფერენციებში.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. De Certeau, M. (1984). The practice of everyday life. Berkeley: University of California Press.
2. Delanda, M. (2006). A New Philosophy of Society. London: Continuum.
3. Deleuze, G., & Guattari, F. (2003). A Thousand Plateaus. London: Continuum.
4. Farías, I. (2012). Introduction. In I. Farías & T. Bender (Eds.), Urban Assemblages: How actor-network theory changes urban studies. Routledge.
5. Gandy, M. (2011). Landscape and infrastructure in the late-modern metropolis. The New Blackwell Companion to the City, 58-65.
6. Jensen, C. B. (2016). Multinatural Infrastructure and Phnom Penh Sewage. In Infrastructures and Social Complexity: A Routledge Companion.
7. Latour, B. (1996). On actor-network theory: A few clarifications. Soziale welt, 369-381.
8. Latour, B. (2005). Reassembling the Social: An Introduction to Actor-Network Theory. Oxford: Oxford University Press.
9. Law, J. (1992). Notes on the theory of the actor-network: Ordering, strategy, and heterogeneity. Systems practice, 5(4), 379-393.
10. Lefebvre, H. (1991). The production of space (D. Nicholson-Smith, Trans.). Blackwell: Oxford. (Original work published in 1968).
11. Simmel, G. (1957). Die Großstädte und das Geistesleben, in ders., Brücke und Tür. Stuttgart. (Original work published in 1903).
12. Soja, E. W. (1998). Thirdspace: Journeys to Los Angeles and other real-and-imagined places. Capital & Class, 22 (1), 137-139.

ქეთევან გურჩიანი

ხეების ფარული ძალა: ურბანული წინააღმდეგობა თბილისში[2]

შესავალი

ზემო ვერაზე ჯერ კიდევ შემორჩენილი ეზოიანი სახლების წინ ხეების მოზრდილი კორომია. ეს ადგილი უცნაურად არავისია და თან – ყველასი. აქ ჯერ არც კორპუსი ჩაუდგამთ და არც ვინმეზე გაუყიდიათ. ვერხვები, კაკლები, აკაციები, ნეკერჩხლები, ბროწეულები, ვაშლები და აკაკის ხეები იზრდება. ზოგი მეზობელი ვაშლს კრეფს, ზოგიც – კაკალს და იქვე ყიდის. ეს ხეები უბნის ძაღლების, მთაწმინდის ფერდის ციყვების და ჩიტების თავშესაფარია. იშვიათი ადგილია, სადაც კოდალას, წითელმუცელას და ხანდახან მოლაღურსაც შეიძლება მოჰკრას ადამიანმა თვალი. ბოლო დროს, ეროზიის გამო, ამ ხევმა თანდათან ჩამოშლა დაიწყო მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი აკაციები და კაკლები, ასე თუ ისე, ფესვებით აკავებენ. სამეზობლო ღელავს: მერიას ან გამგეობას თუ ჩარევენ, ისინი ინფრასტრუქტურულად მოაწყობენ, მოაჯირებს გაუკეთებენ, მაგრამ ამ მოწყობას ეს ამხელა ხეები შეეწირება, სიმწვანეს ბეტონი შეცვლის. ამ უბნის შემყურე ძნელია ენდო მუნიციპალიტეტს: ხეებიანი პეიზაჟი უბნის უმეტეს ნაწილში კორპუსების კორომებმა შეცვალა. ციყვები მავთულ-მავთულ დარბიან, რომ აქაურ აკაციებამდე მოაღწიონ. გამგეობამ ე.წ.

---

[2] კრებულის ეს თავი წარმოადგენს სტატიის Gurchiani, Ketevan. „Die verborgene Macht der Bäume. Urbaner Widerstand in Tiflis“. *Verdeckter Widerstand in demokratischen Gesellschaften* 34 (2022) სახეცვლილ ვერსიას. ქეთევან გურჩიანი მადლობას უხდის ალმუტ პოპინგასა და ფერდინანდ სუტერლუტის ფრანკფურტის სოციალური მეცნიერებების ინსტიტუტიდან გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული სტატიის „ხეების ფარული ძალა“ ქართულად თარგმნის და ხელახლა გამოქვეყნების უფლებისთვის და სარედაქციო დახმარებისთვის.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები თუ დაიწყო, ეს ხეები თუ მოჭრეს, მაშინ მართლა ცარიელ ადგილად იქცევა, რომელსაც მალევე გაყიდიან ინვესტორზე და მერე ამ ადგილის დაცვა რთული იქნება. ამიტომ ახლა ცდილობენ, ხეებით დაიცვან. ფიქრობენ, არსებული ნარგავებიდან სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ხეები გამოარჩიონ ამ კორომში, თან ახლებიც დარგონ „მნიშვნელოვანი“ ხეების სიიდან და ეს ადგილი დაცული ხეების სივრცედ აქციონ.

„სულ ვამოწმებ“, – ამბობს იურისტი მეზობელი: – „აქამდე ქალაქის ბალანსზე იყო, ახლა ეკონომიკის სამინისტროს წაუღია. ეს ნიშნავს, რომ გასაყიდად ამზადებენ. როგორც კი გაზაფხულდება და ხეებს ფოთლები ექნება, ფოტოები უნდა გადავუღოთ ამ სიმწვანეს, მერე ავხმაურდებით. იქნებ მერე ნატაც („პარტიზანი მებაღეების“ ლიდერი) ჩავრთოთ. ამ ხეების იმედად ვართ“. სივრცის გადარჩენისთვის სულ რაღაცას გეგმავენ. „კიდევ უნდა დავამატოთ ხეები. შენ რომ იცი, იმ დაცული ხეების სიიდან უნდა დავრგოთ. იმათ ვეღარ მოჭრიან მერე. თან ფესვები უნდა ჰქონდეს ღრმა – ამ მიწასაც დააკავებს და როგორც ძვირფასი ხე, ამ სიმწვანესაც გადაარჩენს“, – ურჩევს მეზობელს მოხუცი ქალი. ერთი იმასაც ამბობს, ძელქვა ხომ არ დავრგოთო? იმედი აქვს, ძელქვამ თუ იხარა, წესით, მერე ვეღარ მოჭრიან და ჩვენი პატარა ნაკრძალიც გვექნებაო. ზაფხულობით დასავლეთ საქართველოში დადის და ბევრი ამბავი იცის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აამოქმედო ხეები მიწების შესანარჩუნებლად. ამ კორომის ხეებს ორი ძირითადი საქმე აქვთ გასაკეთებელი: ფესვებმა ეროზიისგან უნდა დაიცვან ეს ადგილი და მეორე: ხეებმა აქაურობა უნდა აქციონ ბოტანიკურად მნიშვნელოვნად და შესაბამისად, ინვესტორებისთვის არახელსაყრელ ტერიტორიად. მათი მოჭრის შეუძლებლობამ უნდა დაიცვას ამ ადგილის საჯაროობა და სიმწვანე.

ხეების სიმრავლეს, რომელიც ადამიანებისა და ცხოველებისთვის ერთიანი სივრცეა, სახელმწიფო რეგულაციები ანაწევრებს და თავისებურად „კითხულობს“: ზოგი ხე უფრო მნიშ-

ვნელოვანია, ზოგიც – ნაკლებად. ეს მნიშვნელობები ხშირად სულ არ ემთხვევა ადამიანების დამოკიდებულებას, მაგრამ ამ იერარქიის ცოდნა ხეების მნიშვნელობის გასააქტიურებლად გადამწყვეტია. იმას, რაც ბოტანიკოსებმა გარკვეული სახეობების დასაცავად ან გასამრავლებლად დაადგინეს, სამეზობლო ახლა სხვა მიზნისთვის იყენებს. თუ ამ ხეებს შორის ძელქვა, თუთა ან აკაკის ხე აღმოჩნდება, ამ სივრცის დაცვა უფრო იოლი გახდება. მეზობლებისთვის ვაშლისა და ტყემლის ხეები შეიძლება უფრო სასურველია, მაგრამ „ეგენი არ ითვლება, თურმე", – ამბობენ დანანებით. ამ ხეების წაკითხვა და მათი ამოქმედება ფარული წინააღმდეგობის ხელოვნების ნაწილია.

ამ ნაშრომში განვიხილავ, როგორ ცდილობს თბილისის მოსახლეობა საჯარო და მწვანე სივრცეების შენარჩუნებას სხვადასხვა სახელმწიფო რეგულაციის მოქნილი გამოყენებით. თბილისის მოსახლეობა ურბანული ტერიტორიის მწვანე სივრცეების მარეგულირებელ კანონებსა და სხვადასხვა რეგულაციაში არსებულ გაურკვევლობას „ფარული ტრანსკრიპტისთვის (ან დღის წესრიგისთვის)" იყენებს (Scott 1990). ამგვარი ფარული დღის წესრიგია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე დაცული ხეების დარგვა და ამით ტერიტორიისთვის განსაკუთრებული ეკოლოგიური მნიშვნელობის მინიჭება.

ხშირად ფარული წინააღმდეგობა არსებული წესების ტაქტიკურ გამოყენებას ეფუძნება. იმისთვის, რომ ამ ფარული წინააღმდეგობის ხასიათი კარგად გავიგოთ, ჯეიმს სკოტისეული „ორმაგი ტრანსკრიპტის" ცნება გამოგვადგება (Scott, 1990). ოფიციალური ან საჯარო ტრანსკრიპტების (დღის წესრიგის) მიღმა არსებობს ფარული ტრანსკრიპტები (hidden transcripts), რომლებიც არაფორმალური დღის წესრიგისთვის გამოიყენება (იქვე). ფარული ტრანსკრიპტები ტაქტიკის ნაწილია, რომლითაც ყოველდღიურობაში სტრატეგიას ანუ თავსმოხვეულ დღის წესრიგს უპირისპირდებიან. სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის განსხვავებაზე მიშელ დე სერტო წერდა წიგნში: „ყოველდღიურობის პრაქტიკები"

(1988). ის ფიქრობდა, რომ ძალაუფლების მქონეები ადგენენ სტრატეგიებს, რომლებსაც შეუძლიათ „სივრცეების წარმოება, თავს მოხვევა“ (იქვე). ადამიანები კი ტაქტიკას იყენებენ, რომლითაც „ამ სივრცეების მანიპულირება და გადაკეთებაა შესაძლებელი“ (იქვე). კამუფლაჟი, მანევრირება, წესების სხვა მიზნით გამოყენება, დროის „მოპარვა“ ან საბჭოთა პერიოდში ფესვგადგმული „გახალტურება“ ამგვარი ხელოვნების ნაწილია. მიშელ დე სერტოსთვის ძალაუფლების მქონეთა წინააღმდეგ ტაქტიკის გამოყენება „სუსტების“ ხელოვნებაა, ჯეიმს სკოტისთვის კი ტაქტიკა „სუსტების იარაღია“ (Scott 1985). განსხვავება სიტყვებში არ არის შემთხვევითი. დე სერტოსთან ამგვარი წინააღმდეგობა თავის გატანის „ხელოვნებაა“, რომლითაც თავსმოხვეული დღის წესრიგი ასატანი ხდება, სკოტის შემთხვევაში კი სიტყვა „იარაღი“ იმას მიანიშნებს, რომ ფარული დღის წესრიგიდან ღია წინააღმდეგობა შეიძლება წარმოიშვას.

ამ თავში ვნახავთ, როგორ იყენებენ ბუნების დაცვის ან ქალაქის გამწვანების ეგიდით მიღებულ დადგენილებებს მოქალაქეები ფარული დღის წესრიგისთვის: წინააღმდეგობა გაუწიონ ინვესტორულ ურბანიზაციას (Investor Urbanism) საერთო და მწვანე სივრცის შენარჩუნებისთვის. ყოველდღიური ჩუმი წინააღმდეგობით მოქალაქეები ქალაქზე თავიანთ უფლებას ააქტიურებენ (Lefebvre 2016).

ძალაუფლებრივი ურთიერთობა კომპლექსურია და მნიშვნელოვანია მისი გაანალიზება „ძლიერის“ და „სუსტის“, „ადამიანურის“ და „არა-ადამიანურის“ დამკვიდრებული ორობითი მნიშვნელობების მიღმა. თუ წინააღმდეგობას არა მხოლოდ ადამიანის პერსპექტივიდან შევხედავთ, არამედ როგორც ქსელურ მოვლენას, ვნახავთ, რომ როდესაც ადამიანები წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ, ხეები მათი თანამზრახველები ხდებიან. დაკვირვებებზე, საუბრებსა და საარქივო კვლევებზე დაყრდნობით, ნაშრომი აანალიზებს „გამწვანებას“, როგორც კომპლექსურ ტაქტიკას. ამ თავში განხილულია სივრცეების შენარჩუნებისთვის ხეების დარგვის და განსაკუთრებული

სტატუსის მქონე ხეების გააქტიურების ტაქტიკა, როგორც ქალაქზე უფლების მოპოვების გზა. ეს კვლევა სიმეტრიული ეთნოგრაფიის მცდელობაა, სადაც ხეების ძალას განსაკუთრებული ყურადღება ეპყრობა, თუმცა ეს არ არის მრავალსახეობრივი ეთნოგრაფია, როგორც მას უწოდებენ ხოლმე (multispecies ethnography). ჩემი ეთნოგრაფიის აღსაწერად ხე საუკეთესო მეტაფორაა. ამგვარი კვლევით ვცდილობ ხილული გავხადო თვალისთვის დაფარული განშტოებები და ფესვები.

გენეალოგიური მიდგომის გამოყენებით, ეს კვლევა აანალიზებს, რა არის ის ფენები, რომლებიც ხეებით წინააღმდეგობის გაწევის ტაქტიკაში დაილექა. სხვადასხვა ფენათაგან სტატიაში გამოყოფილია საბჭოთა საქართველოს გამოცდილება, სადაც მიწაზე კონტროლის შესანარჩუნებლად ხეების დარგვის ან უკვე არსებული ხეების გააქტიურების ტაქტიკა თავსმოხვეული კოლექტივიზაციის წინააღმდეგ გამოიყენებოდა. ის, რასაც დღეს ურბანულ სივრცეში ვხედავთ, ამ ტაქტიკის გაგრძელებაა. ნაშრომი ასევე განიხილავს, რამდენად განაპირობებდა ურბანული სივრცის გამწვანებაში მოსახლეობის აქტიური ჩართვის საბჭოთა პრაქტიკა სივრცის საკუთრების განცდას. უფრო ფართო კითხვა, რომელიც ისმის, არის, თუ რამდენად შესაძლებელია ტაქტიკების ფარული გამოყენება ეფექტურ იარაღად იქცეს და შესაძლებელია თუ არა ტაქტიკის სტრატეგიად გადაქცევა.

ხეები, როგორც თანამზრახველები

იან ჰამილტონ ფინლი, შოტლანდიელი პოეტი და ხელოვანი, რომელსაც ბაღი ჰქონდა სახელით „პატარა სპარტა“, წერდა, რომ ბაღები დასასვენებელი ადგილები ჰგონიათ ხოლმე, მაშინ, როცა ზოგი ბაღი სინამდვილეში შეტევაა: *Certain gardens are described as retreats when they are really attacks (Finlay 2012, 17*
ხეები წინააღმდეგობის გაწევისას ერთგული მოკავშირეები ხდებიან ხოლმე. ისინი ადამიანებთან ერთად ქმნიან ქსელს, სადაც თითოეულ წევრს თავისი ძალა აქვს. ბრუნო ლატური

ამაზე იტყოდა, რომ ადამიანისგან და არაადამიანისგან შემდგარ ამ ქსელში, მისი წევრები ერთდროულად არიან ერთმანეთზე დამოკიდებულიც და თითოეულს აქვს თავისი მოქმედების უნარიც. ადამიანი თავის ფუნქციას გადასცემს ხოლმე ქსელის არა-ადამიან წევრებს.

ხეების იმ თვისებებს, რომლითაც მათი გააქტიურებაა შესაძლებელი, შეგვიძლია ინდექსურობა და ტერიტორიულობა ვუწოდოთ. მოკლედ ავხსნი, რას ვგულისხმობ ინდექსურობასა და ტერიტორიულობაში. ინდექსურობა არის ნიშნის თვისება, კონტექსტზე მიუთითოს. ხეები ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ მცენარეები. როგორც ნიშნებს, მათ აქვთ ინდექსურობა იმ გაგებით, რომ ისინი არ არიან მხოლოდ ხეები, არამედ ბევრი სხვა რამის საჩვენებლადაც გამოდგებიან: საქართველოში ხე სიძველესა და განგრძობითობაზე მიუთითებს. ხით იზომება, რამდენი ხანია რაღაც არსებობს, იქნება ეს ოჯახი, გვარი, ქუჩა, ქალაქი თუ ტრადიცია. ხე სრულყოფილი ქრონოტოპია: მისი მეშვეობით დრო ხილული ხდება; ანალოგიურად, ადგილი, სადაც ხე დგას, დროითაა დამუხტული (შდრ. ბახტინი, 1981). ხის სივრცითი და დროითი ინდექსურობა (კონტექსტზე მინიშნების უნარი) დაკავშირებულია მის უძრაობასთან.[3] ხის უძრაობასთან არის ასევე დაკავშირებული თვისება, სივრცე ადგილად აქციოს და ტერიტორია დაიკავოს. ბოლო დროს ბევრს წერენ, ზოგი ხე როგორ იწყებს დომინანტობას, ძირითად ხედ იქცევა, რომლის ირგვლივაც სხვა მცენარეები მხოლოდ ფონს ქმნიან. ასეთებს ზოგჯერ პიროვნება ხეებს უწოდებენ.[4] ასეთი ხეების, როგორც ღერძის ირგვლივ, იქმნება მერე ამბები. ხეებს აქვთ თავგადასავალი. ქალაქურ სივრცეში ხშირად ეს მათი გადარჩენის ისტორიებია. ხეებს

[3] Anne Meneley მსგავს მოვლენას აღწერს პალესტინელების ზეთისხილის ხეებთან დამოკიდებულებაში. ხის ამოთხრა ახლობლის დაკარგვას უდრის (Meneley 2011).

[4] ჯიმშერ რეხვიაშვილი აცოცხლებს ხეების ამბებს სტატიაში „ხეები და ადამიანები“: https://www.radiotavisupleba.ge/a/blog-jimsher-rekhviashvili-kheebi-da-adamianebi/26864849.html

თითქოს შესრუტული აქვთ ემოციები წყალთან და მინერალებთან ერთად. ამბებს ინახავენ და, „ეს ხე იმდენის მომსწრეა“, ხშირად ისმის. ცალკეულ ხეებთან გადარჩენის ისტორიებია დაკავშირებული. ასეთია ამბები იმის თაობაზე, თუ როგორ იბრძოდნენ ადამიანები რომელიმე ხის გადასარჩენად და ეს ხეც ამ ბრძოლაში სულ უფრო მნიშვნელოვანი როგორ ხდებოდა. ხე ეუფლება ტერიტორიას და გარემო, ადამიანების ჩათვლით, მას აუწყობს ხოლმე ფეხს.

ხეებს ტერიტორიულობა ახასიათებთ: ისინი იკავებენ და ქმნიან ტერიტორიებს. ხეებში დევს პოტენციალი, „ადგილების შრიფტად“ იქცნენ (“ciphers of place“ Hartigan 2017) და ტერიტორიის კლასიფიკაცია მოახდინონ (Besky, S., & Padwe, J. 2016. Dove, M. 2011). ხეები ქმნიან ხოლმე ადგილს: ზოგი ხე მეტად, ზოგი – ნაკლებად. ხეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ხოლმე მათზე პროეცირებული დატვირთვის გამო, იქნება ეს ემოციური, ისტორიული, მითოლოგიური, ბოტანიკური თუ სხვა. ხის თვისება, დომინანტი გახდეს, მიისაკუთროს ტერიტორია და ცენტრალურ ელემენტად იქცეს, განაპირობებს მის პოტენციალს, ადამიანებმა ძირითად მოკავშირედ ჩათვალონ. ადამიანებს ტაქტიკურად შეუძლიათ ხეებისთვის დამახასიათებელი ამ ტერიტორიალურობის გამოყენება. ხეების საშუალებით შესაძლებელია წინააღმდეგობის გაწევა ან კონტროლის დამყარება.

წინააღმდეგობის გასაწევად ადამიანებს და ხეებს ერთმანეთი სჭირდებათ. სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ როგორ ხდება ადამიანებსა და მცენარეებს შორის მზრუნველობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება (Neves 2009, Hartigan 2017, 2019). Besky და Padwe (2016) აჩვენებენ, რომ მცენარეებს ტერიტორიის დაკავება კი შეუძლიათ, მაგრამ ისინი დამოუკიდებლად არ მოქმედებენ. მხოლოდ სახეობათა შორის, ადამიანსა და ადამიანის მიღმას (არა-ადამიანს) შორის არსებული გადაჯაჭვულობის წყალობით ხდება მსგავსი რამ შესაძლებელი. ამგვარად, თანამედროვე კვლე-

ვითი ლიტერატურა მცენარეებს პოსტჰუმანისტური პერსპექტივიდან უყურებს. რამდენად შეგვიძლია დავინახოთ ქმედების შესაძლებლობა მცენარეებში, ამ შემთხვევაში – ხეებში, ეს დისკუსიის საგანია. Donna Haraway (2016) ამას ტერმინით „თანმხლები სახეობები“ აღწერს (companion species), სხვები კი არა-ადამიანისთვის დამახასიათებელ მოქმედების უნარს ხედავენ მათში (მაგალითად, Actor-Network Theory ქსელისა და აქტორის თეორია Ingold 2000; Latour 2007; Callon 1986). ზოგი მკვლევარი წერს „ხეებთან თანამოაზრეობაზე“ (Staddon 2009) ან ადამიანსა და ვეგეტაციას შორის „არამყარ საზღვრებზე“ (Nading 2017) და ქმედებებზე, რომლითაც ისინი ერთმანეთს გამსჭვალავენ. განსაკუთრებით კარგად აჩვენებს ამ გადაჯაჭვულობას („leaky boundaries“) Sarah Elton (2021). ის ტორონტოს შესახებ კვლევაში აჩვენებს ადამიანის და არაადამიანის კომპლექსურ გადაჯაჭვულობას და ფოროვან საზღვრებს. ამ ტიპის ურთიერთდამოკიდებულებას ხანდახან „ვეგეტაციურ პოლიტიკას“ (Head et al. 2014: 866) ან „ვეგეტაციურ აგენტობას“ (Sheridan 2016) უწოდებენ. მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ადამიანებსა და მცენარეებს შორის ჩამოყალიბებულ მზრუნველობით ურთიერთობაზე (Neves 2009; Hartigan 2017). თუ რამდენად ახდენს ადამიანისა და მცენარის ურთიერთობები გავლენას ტერიტორიებზე, შეიძლება კარგად აღვიქვათ, თუ ამას შევხედავთ როგორც რელატიურ, ურთიერთდამოკიდებულების (ან ფარდობით) აგენტობას, ქმედების უნარს. მე ვცდილობ ფარდობითი აგენტობით (რელატიური, ურთიერთდამოკიდებული ქმედების უნარის მქონე) აღვწერო ის თვალსაზრისი, რომ ბუნება და ადამიანი ოპოზიციურ წყვილს არ ქმნის (იხ. ასევე Power 2005). ხეების გააქტიურების საშუალებით წინააღმდეგობის გაწევის ანალიზი იმის კიდევ ერთი მცდელობაა, რომ ის რთული გადაჯაჭვულობა, თითქოს ურთიერთგამომრიცხავი ნაწილების კონა დავინახოთ კარგად, სადაც ადამიანი, ბუნება, მატერიალური, არამატერიალური ერთმანეთზე გავლენას ახდენს, ქსელს ქმნის და ამავდროულად, დამოუკიდებელ ძალასაც ფლობს.

ფარული წინააღმდეგობა როგორც ტაქტიკა

როდესაც მოქალაქეები დომინანტ ძალას ფარული ტაქტიკებით წინააღმდეგობას უწევენ, მათ ჰყავთ მოკავშირეები, რომლებსაც კრეატიულად ააქტიურებენ. ამ შემთხვევაში, ასეთი მოკავშირე ხეებია. ეს წინააღმდეგობა რთული, გადაჯაჭვული ქსელიდან მოდის, სადაც კანონიც და გამოცდილებაც თავის როლს ასრულებს. ჩვენ ვნახავთ, წინააღმდეგობის გამოცდილება, ცოდნა დროსა და სივრცეში როგორ მოძრაობს, იცვლება. წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ წინააღმდეგობა პირდაპირ არ გადმოდის წარსულიდან დღევანდელობაში.

წინააღმდეგობის პრაქტიკები ამალგამაა. მათი შესწავლა ადამიანისა და არა-ადამიანის გადახლართულობის გარდა ეპისტემოლოგიურ კომპლექსურობას გვაჩვენებს. ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საფუძვლად უდევს ხელოვნებას, არ გმართონ, დროსა და სივრცეში მოგზაურობს. ამგვარ წინააღმდეგობაში დახელოვნება არ გულისხმობს რაიმე ძველის ან ერთ ადგილას ჩასახულის პირდაპირ კოპირებას. წინააღმდეგობის პრაქტიკებს ახასიათებს სპეციფიკური გარემოს მოხერხებულად მიბაძვის უნარი. ამგვარი ტაქტიკა კამუფლაჟს იყენებს. ისე ერწყმის გარემოს, რომ კარგად ვერ ამოვიცნოთ. ამგვარი წინააღმდეგობის მოხელთება ძნელია მისი ფარული ბუნების გამო, ამიტომ სოციალურ მეცნიერებებში ამგვარ ფარულ ტაქტიკებზე ბევრს არ წერენ. მისი ანალიზი ასევე მოითხოვს კონკრეტული მაგალითების სიღრმისეულ შესწავლას. ამ თავში ნაჩვენებია, თუ როგორ ერწყმის და იყენებს არსებულ ბუნებრივ გარემოს წინააღმდეგობის ტაქტიკები. ეს ტაქტიკები კამუფლაჟს იყენებს, რომელსაც დაცვის იდეას ბუნება აწვდის. ადამიანები იმოსებიან ამ მცენარეებით, როგორც ნამდვილ საბრძოლო კამუფლაჟში, რომელიც თავის პრინციპს ბუნებიდან იღებს.

სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონებს, რასაც M. de Certeau სტრატეგიებს უწოდებს, მოსახლეობა ყოველდღიურობაში ხშირად ტაქტიკებით უპირისპირდება. მაშინ, როცა

სტრატეგიის შეცვლა არ შეუძლიათ, ცდილობენ, სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესი საკუთარი მიზნების გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ შეფუთონ ან სხვა, ფარული მიზნებისთვის გამოიყენონ. ეს ნაშრომი აჩვენებს, როგორ მოხერხებულად იყენებენ ადამიანები სახელმწიფოს მიერ დადგენილ ხეებს შორის დადგენილ იერარქიას. სახელმწიფო სხვადასხვა რეგულაციით წაკითხვადს ხდის ერთიან სივრცეს (Scott, 1990, გვ. 11), ტექსტები კი ყოველთვის ღიაა ინტერპრეტაციისთვის. მოსახლეობა სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტრატეგიებს მოხერხებულად იყენებდა და იყენებს საკუთარი მიზნებისთვის. ამის საუკეთესო მაგალითია მწვანე ან უბრალოდ საერთო სივრცის შესანარჩუნებლად სივრცეში აქტიური ჩარევა: ხეების დარგვა და მათი მნიშვნელობის გააქტიურება. ნაშრომის პირველი ნაწილი განიხილავს თბილისში დღეს არსებულ დარგვის ტაქტიკას საერთო სივრცეების გადასარჩენად. ცენტრალური მაგალითი არის თბილისში, ბახტრიონზე მდებარე სკოლის ეზოს მაგალითი, სადაც მოსახლეობამ საჯარო სივრცე გამწვანების გზით გადაარჩინა. ნაშრომის მეორე ნაწილი ამ ტაქტიკის წარსულ ფენებს მიჰყვება და აანალიზებს დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ხეების დარგვისა და ხეების დაცვის ტაქტიკური გამოყენების გამოცდილებას. ფარდობითი აგენტობის მნიშვნელობის საჩვენებლად განიხილება შემთხვევებიც, როდესაც ხეების მნიშვნელობების გააქტიურება არ მოხდა.

კანონების ანალიზით სტატიაში ნაჩვენებია, რომ ფარული დღის წესრიგისთვის ტაქტიკურად გამოიყენებენ სხვადასხვა მიზნით დაცულ ხეებს: იქნება ეს მწვანე სარტყლის შექმნისთვის, მოწყვლადობის თუ პროდუქტიულობის გამო. ნაშრომი განიხილავს, რამდენად მოდის ორივე ტაქტიკა: ხეების მნიშვნელობის გააქტიურება ან მათი დარგვა საკუთარი ფარული მიზნებისთვის საბჭოთა გამოცდილებიდან. ანალიზით ნათელი გახდება, თუ რა აშკარა და ფარული მიზნები ჰქონდა და აქვს ხეების დარგვას ან მათი მნიშვნელობის გააქტიურებას, ასევე რამდენად მრავალფეროვნად გამოიყენებოდა ხეე-

ბის დასაცავად მიღებული კანონები. საბჭოთა გამოცდილების გასაანალიზებლად ორი ტიპის ხის – ძელქვისა და თუთის – მაგალითია აღებული. მათი დაცვის კანონების კრეატიული გამოყენება გაანალიზებულია კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით.

ქალაქში ხეების დაცვის ოფიციალური რეგულაცია

ქალაქის რუკებზე სიმწვანე თანდათან იკლებს. ის, თუ რა აღინიშნება რუკებზე მწვანედ, შეთანხმების საგანია. ზოგ სიმწვანეს ქალაქი კითხულობს როგორც ბაღს, პარკს, ტყეს. ზოგი სიმწვანე კი სახელმწიფოსთვის შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის. თავისუფალი მწვანე სივრცეების ნაწილი ველურად წარმოშობილი ბაღია ყოფილ ინდუსტრიულ ტერიტორიებზე, ნაწილი კი უბრალოდ შუალედური ზოლებია საცხოვრებლებს შორის. ქალაქში სივრცეები ხშირად არის მოლაპარაკების/შეთანხმების საგანი. ზოგი სივრცე ჩაფიქრებულია, როგორც საჯარო, მაგრამ კერძო ზრუნვის საგანი ხდება, ბევრი სივრცე კი ნახევრად საჯაროა, ნახევრად – კერძო.[5]

მჭიდროდ განაშენიანებულ თბილისში ამგვარი შუალედური სივრცეები ხშირად ერთადერთი სიმწვანეა, რომელსაც ჟანგბადის წარმოების გარდა, აფექტური მნიშვნელობაც აქვს, სოციალურიც და ინფრასტრუქტურულიც: ფარდაც არის მჭიდროდ დასახლებულ უბნებში. ამაში ვლინდება მცენარეების

[5] სხვადასხვა ქალაქში ერთი ტიპის დასახლებების, კორპუსების შედარება გვაჩვენებს ხოლმე, კონტექსტი როგორ ცვლის არქიტექტურას და ქალაქგეგმარებას. მაგალითად, ავტორები Bacova, Majzlanova და Bergerova (2019) გვიჩვენებენ კულტურული კონტექსტით განპირობებულ ნახევრად საჯარო სივრცეების ათვისების თავისებურებებს. ისინი აკვირდებიან, რომ თბილისში კორპუსების წინ მოწყობილი სკამები („community porches“) აგრძელებენ თბილისური ეზოს ტრადიციას, რომელიც ნახევრად ღია, სოციალიზაციის სივრცეა, შუალედურია ქუჩასა და ბინას შორის.

აგენტობა ანუ ქმედების უნარი: მათი როლი გადამწყვეტი ხდება „ვიზუალური და სმენითი დაბინძურების თავიდან აცილების საქმეში (Power, 2005, გვ. 48)“.

ამგვარი სივრცეები კონფლიქტური სივრცეებია. ისინი ერთდროულადაა „ცარიელი“, ამავდროულად „ხელმისაწვდომი“ და „გაურკვეველი“ – როგორც სოლა მორალესი აღწერდა (“empty“, „available“, „uncertain“ Sola-Morales 1995). ამგვარ სივრცეებს მოსახლეობა და სახელმწიფო სხვადასხვა პერსპექტივიდან უყურებს: ამ სივრცეების სიმწვანე და საერთოობა მათი ძირითადი ღირებულებაა მოსახლეობისთვის, სახელმწიფოსთვის კი მათი სიცარიელეა ძირითადი ღირებულება. სახელმწიფო ცდილობს, აუთვისებელი, ცარიელი სივრცეები გაყიდოს მშენებლობისთვის. ყველაზე მოწყვლადი ისეთი საერთო სივრცეებია, რომელთა სიცარიელე, მათ შორის ხეებისგან სიცარიელეც, თვალში საცემია.[6]

სახელმწიფოს ხელში არსებული ტერიტორია არ არის დაცული, როცა სახელმწიფო შერწყმულია ბიზნესინტერესებთან. ბევრი ყოფილი საჯარო ან „აუთვისებელი“ სივრცე 1990-იანი წლებიდან კერძო საკუთრებაში გადავიდა. მათი გაქრობის გზა ხშირად ასეთია: დედაქალაქის ბალანსზე არსებული აუთვისებელი ან ფუნქციადაკარგული ტერიტორია გადადის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და მერე იყიდება. ათვისება მათი სიმწვანის მოსპობასაც ნიშნავს და ადამიანებისთვის როგორც ჰაერის, ისე სეირნობის, შეკრების სივრცეების წართმევას.

---

[6] ეკოლოგი ირაკლი მაჭარაშვილი ერთ ინტერვიუში ზუსტად შენიშნავს: „ამ კანონის მიხედვით, რომელიც ვახსენე. თბილისის გამწვანებულ ტერიტორიებზე – გარემოზე ზემოქმედებად ითვლება ხის მოჭრა და მის ადგილას რამის აშენება, მაგრამ თუ არის მინდორი, სადაც ხე არ არის და ბუჩქებია – იმას არაფერი იცავს. ხეც რომ არ მოჭრა და ცარიელ მინდორზე დაასხა ბეტონი და სახლი ააშენო, ესეც ხომ ზემოქმედებაა? ასეთ ზემოქმედებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. კიდევ არაერთი ხვრელია კანონმდებლობაში, რომელსაც მშენებელი თავის სასარგებლოდ იყენებს“.

წყარო: https://publika.ge/article/tbilisis-mwvane-momavali/

ირონიულია, რომ ნარგავებში შეჭრის ხარჯზე აშენებული სახლები სიმწვანეს სახელებში ინარჩუნებენ. ტყეების გაკაფვის შედეგად აშენებულ კომპლექსს ხან „მწვანე ბორცვი“ ჰქვია, ჭალების ადგილას აშენებულ კორპუსებს კი – „მწვანე ბრილიანტი“ ან „ზურმუხტი“. ამგვარი სახელები ერთდროულადაა green washing, „თვალში სიმწვანის შეყრა“ და სიმდიდრის გამოფენაც. ერთ დროს სიმწვანე ახლა ვიღაცის ალმასი ხდება.

სახელმწიფოსადმი უნდობლობა იზრდება, რადგან დეველოპერები მთავრობის მხარდაჭერის გარეშე ამას ვერ შეძლებდნენ (Patarkalashvili 2017, ასევე Tsuladze 2020).[6] დეველოპერებს „დევი-ლოპერებსაც“ უწოდებენ ხოლმე. დევი ურჩხულია, რომელიც საზოგადო სიკეთეს ეუფლება და სანამ გმირი არ გამოჩნდება და არ შეებრძოლება, ხსნა არ ჩანს. ასეთ დროს წინააღმდეგობის პრაქტიკები აქტიურდება. ამ პრაქტიკებში ერთმანეთს ერწყმის ძველი და ახალი, ფარული და ღია წინააღმდეგობა.

ქალაქის გამწვანება

სიმწვანის ნაკლებობა ძველი პრობლემაა, რომელიც ახლა კიდევ უფრო გამძაფრდა. მე-20 საუკუნის თბილისი კონფლიქტური ურბანული პოლიტიკის ქალაქია. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ქალაქის გაფართოება, ახალი საცხოვრებელი უბნების აშენება, მეორე მხრივ – ურბანული მწვანე სივრცეების რაოდენობის გაზრდაც. ქალაქის გენერალური გეგმები ამ ორი კონფლიქტური სულისკვეთებით დგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გენერალური გეგმები მე-20 საუკუნის მანძილზე მიზნად ისახავდა ერთ სულ მოსახლეზე მწვანე საფარის კოეფიციენტის გაზრდას, მეორე მიზანი, ბინით მოსახლეობის უზრუნველყოფა, ამ გამწვანების მიზანს ხშირად ეწინააღმდეგებოდა. გეგმა ხშირად ბინით უზრუნველყოფის ხარჯზე სრულდებოდა. მაგალითად, თუ 1951 წლის ქალაქის გენერალური გეგმის მასალებში მწვანე საფარი შეადგენს 7.7 კვ.მ-ს ერთ

ადამიანზე და გეგმა მიზნად ისახავს ამ მონაცემის გაზრდას 1970 წლისთვის 16.3 კვ. მ.-მდე (გვ. 53. თბილისის რეკონსტ-რუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის პროექტი. 1951-1970 წ. პერიოდისთვის, ფონდი 14, ანაწერი 11, საქმე 291), მოგვიანებით ვხედავთ, რომ ეს გეგმა ისევ შეუსრულე-ბელი რჩება. საარქივო მასალების მიხედვით, ერთ სულ მო-სახლეზე არსებული გამწვანების მაქსიმალურ რაციოს მიაღ-წია 1980-იანი წლების ბოლოსთვის და ის არ აღემატებოდა 13 კვ. მ-ს. ეს მონაცემი საოცნებოა ახლა, როცა სხვადასხვა დათვლით მწვანე სივრცე ერთ სულ მოსახლეზე არ აღემა-ტება 2 კვ.მ-ს (Alpaidze, Salukvadze 2023).[7]თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი მონაცემების შეფასება გვიჩვენებს, რომ 2010-2018 წლებში ერთ სულ მოსახლეზე მწვანე სივრცის ფა-რთობი 5.6-დან 1.3 კვ.მ-მდე შემცირდა (ჩაჩავა, 2020).

ამ პირობების გათვალისწინებით ბუნებრივია, რომ მოსა-ხლეობის ნაწილი წინააღმდეგობას და სივრცის დაცვას ცდი-ლობს. მოსახლეობამ გამოცდილებით იცის, რომ შუალედურ სივრცეებს უფრო დაიცავს, თუ მათზე რამე მნიშვნელოვანი იქნება განთავსებული, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაცუ-ლია. თუ ამგვარი მოცემულობა ბუნებრივად არ არსებობს, მოსახლეობა მას ქმნის. ამგვარი ღირებულების შექმნის სხვა-დასხვა ტაქტიკა არსებობს.

სივრცეების და კანონების დაუფლება

იმისთვის, რომ ისედაც ბაღებისგან დაცლილი ქალაქი კიდევ უფრო არ განადგურდეს, ეკოლოგების თაოსნობით შექმნილია წესები, რომლებიც ურბანულ სივრცეში ხეების მოჭრას არეგუ-ლირებს. ის სია, რომელსაც ვერაზე ხეების კორომის დაცვისას მოხუცი იმოწმებდა, ისეთი ხეების ნუსხაა, რომელთა მოჭრაც ქალაქის ტერიტორიაზე აკრძალულია ან რთულ ბიუროკრა-ტიულ პროცედურებთან არის დაკავშირებული: ქალაქ თბი-

[7] ოფიციალური მონაცემები იხილეთ აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2985711?publication=0

ლისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ.[8]

ეს სია ჩვენთვის ერთიან სიმწვანეს იერარქიულად ყოფს და „წაკითხვადს“ ხდის: არის ხეები, რომლებიც არ შეიძლება მოიჭრას; არის ხეები, რომლებზეც გადასახდელია დაწესებული და თუ მოჭრი, ჩანაცვლებაა საჭირო; არსებობს ხეები, რომელთა მოსაჭრელადაც ნებართვა საჭირო არ არის. ხეები ფასდება ასაკის და ჯიშის მიხედვით. სიძველე და დაცულ სიაში ხის ყოფნა მის მოჭრას ძალიან ძვირს ხდის. ხანდახან მოსახლეობისთვის გაუგებარია, როგორ ხდება რომელიმე ხე უფრო მნიშვნელოვანი. „უყურე ქალბატონს“, – თქვა პატარა ბიჭმა ხურმის ბებერ ხეზე, მას შემდეგ, რაც მერიამ კომისია გამოაგზავნა, რომ არსებული ხეები კანონისთვის შეედარებინა და დაეხარისხებინა. ამ კომისიამ ტყემლის ხის მოჭრის ნებართვა გასცა კერძო ეზოში, ხოლო იქვე მდგარ ხურმასა და დაფნაზე მიუთითა, რომ ეს ხეები დაცულია. „ეს ყოფილა პიროვნება“, – აღნიშნა პატარა ბიჭმა ხურმაზე. არადა, ტყემლის ხე ამ უბნის დედოფალი იყო გაზაფხულზე. სია, რომელსაც ქალაქი ადგენს, ამა თუ იმ ხეს მნიშვნელოვნად აქცევს და გავლენას ახდენს, ჩვენც როგორ ვუყურებთ ამ ხეებს. ამ ხეებს ქალაქი თავისებურად „კითხულობს“ და სამეზობლოც ამგვარი ხეების ამორჩევას იწყებს, რომ მთლიანი სივრცე გადაარჩინოს.

ამ კანონში განსაზღვრული პირობები ხელს უნდა უშლიდეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საკუთრებაში მყოფი ნარგავების მოჭრას და შემდეგ ამ ფართობის გაყიდვას. რაც უფრო ძველია ხე, მით უფრო ძვირი ჯდება მისი მოჭრა. ხეების ამ იერარქიაში ცალკე მდგომი, ძველი ხეები განსაკუთრებით პრივილეგირებულები არიან. ხის ასაკიდან გამომდინარე,

---

[8] „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“, მუხლი 5 შმდგ. და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“ (დამტკიცებულია თბილისის საკრებულოს 2014 წ. დადგენილება №1755).

თითო ხის მოჭრის გამო დაკისრებული ჯარიმა შეიძლება ათასობით ლარს შეადგენდეს. ამ კანონს სხვადასხვა წარმატებით იყენებენ მოქალაქეები და სახელმწიფო. დადგენილია გამონაკლისი პირობები, რომელსაც ძალიან ხშირად გაუმჭვირვალედ იყენებენ. რადგან სახელმწიფოსთვის პრივატიზაცია, ინვესტორების მოზიდვა პრიორიტეტია, სახელმწიფო ყველაზე იოლად ახერხებს საკუთარ თავთან მოლაპარაკებას და გამონაკლისების დაშვებას. ნარგავების განადგურებაც და მათი დაცვაც ბევრ არაფორმალობას და ფარულ ტაქტიკას გულისხმობს (Tsuladze, 2020). თუმცა ფარული წინააღმდეგობით სამეზობლოები ახერხებენ ხოლმე საჯარო ინტერესის დაცვას. მოქალაქეები ხეების დაცვის შესახებ არსებულ კანონს საკუთარ იარაღად იყენებენ კრეატიული მანევრით: კანონი უკვე არსებულ ნარგავებს ეხება და არაფერს ამბობს, როგორ შეიძლება გაჩნდეს ამგვარი ხეები, ვის აქვს უფლება და როდის შეიძლება საჯარო სივრცეში ან სახელმწიფოს საკუთრებაში ხეები დარგოს.[9] ამ იარაღის გამოყენების მაგალითია კანონში ჩამოთვლილი სახეობების დარგვა სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიებზე. ამგვარი ქმედებისას ისინი გამოცდილებას ეყრდნობიან. საკანონმდებლო გაურკვევლობას ემატება ფარული წინააღმდეგობის ისტორია, რომელმაც ამ ხალხის ქმედება და მათი ჰაბიტუსი ჩამოაყალიბა.

საბჭოთა ურბანული სტრატეგია და ყოველდღიური ტაქტიკები, როგორც ჰაბიტუსი დღეს

საბჭოთა თბილისის გენერალური გეგმების მიხედვით ბაღების რაოდენობა უნდა გაზრდილიყო, მაგრამ თუ რამეზე არ ჰყოფნიდათ ფული და სივრცე, გამწვანება იყო. ამიტომ მო-

[9] რგვის რეგულირება გულისხმობს კომპენსაციას მოჭრისთვის და არ ეხება დარგვას მოქალაქის ინიციატივით (2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილება). ეს კანონი იმეორებს საბჭოთა კანონის სულისკვეთებას, რომელიც მართალია, საჯარო სივრცეში თვითნებურად ჩარევისთვის სჯიდა, მაგრამ ცალკე მუხლად გამოყოფდა ნარგავების მოჭრას და არა თვითნებურ დარგვას. ადმ. სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984 წ. მუხლი 146, მუხლის 151.

სახლეობამ საკმაოდ ადრე აიღო თავის თავზე „ველური“ გამწვანება. რასაც ახლა დასავლეთის ბევრ ქვეყანაში guerilla gardening-ს ეძახიან, საბჭოთა თბილისის განუყრელი ნაწილი იყო. თბილისში არსებული ველურად გამწვანებული სივრცეები, ბაღები კორპუსების წინ ან სართულებზე ასული ვერტიკალური გამწვანებები იმ ფარული პრაქტიკების შედეგია, რომლითაც ადამიანები თავიანთ ხელში იღებდნენ გამწვანებას არასანდო ან მწირი რესურსების მქონე სახელმწიფოს პირობებში. ამ პრაქტიკას თვითონ სახელმწიფოც აძლევდა ხოლმე ბიძგს. გამწვანების საბჭოთა სტანდარტის დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო თავად რთავდა მოსახლეობას გამწვანებაში. ასე მაგალითად 1940 წლებში შეიქმნა სრულიად ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობარი“, რომელსაც აქტიური საინფორმაციო კამპანია ჰქონდა რგვისა და მყნობის წესების გასავრცელებლად, რომ ხალხს ქუჩების და გზების გამწვანებაში მიეღო მონაწილეობა.



სურათი 1. *სრულიად ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობარი“; მეთოდური პლაკატი. ბ. მანაგაძე; ვ. გულისაშვილი; დ. სარაჯიშვილი.*

თბილისის მაცხოვრებლები ჰყვებიან, როგორ ახალისებდა სახელმწიფო ხეების დარგვას მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ პერიოდში. თამაზი, რომელიც ახლა 81 წლისაა, იხსენებს, როგორ არიგებდნენ ვერის ბაღში აკაციის ნერგებს უფასოდ და სახლებთან ახლოს არგვევინებდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ცოტა ხე იყო. აკაციას შედარებით ნაკლები წყალიც სჭირდება და იოლად იზრდება. აკაცია ერთადერთი ხე არ იყო. სახელმწიფო სტრატეგიის ცვლილებასთან ერთად, ხის ჯიშებიც იცვლებოდა. ასე მოხდა, როცა კაკლის ხეების რაოდენობის გაზრდა სახელმწიფოს პრიორიტეტად იქცა 1970-იანი წლების ბოლოდან და მოსახლეობაში კაკლის ნერგების დარიგება დაიწყეს. როგორც ერთ-ერთ იმდროინდელ სტატიაში მოხდენილად აღნიშნავდა ავტორი, ამ ხეების დარგვით ხალხი თავის მწვანე ავტოგრაფს ტოვებდა (დროშა 1983, 3, ავტორი ჰამლეტ კერესელიძე). მართლაც, ქალაქის ბევრ უბანში ხეებს, რომლებიც ახლა ურბანული სიმწვანის განუყოფელი ნაწილია, მეზობლები ჯერ კიდევ მათი დამრგველების სახელებით მოიხსენიებენ. ასეთია მაღალი კვიპაროსები ფალიაშვილის ქუჩაზე, რომლებიც იქ ერთმა მეზობელმა დარგო 1950-იანი წლების დასაწყისში ან ტატიშვილის ქუჩაზე ხეების რიგი, სადაც თითოეულ ხეს მეზობლების სახელით იხსენებს მოხუცი ქალი. მას ზუსტად ახსოვს, რომელმა მეზობელმა რომელ წელს დარგო ესა თუ ის ხე და რატომ. ვაკეში ერთი პატარა ქუჩაა, სადაც ყველა ხეს თავისი სახელი ჰქვია. ეს მათი ბოტანიკური სახელი კი არ არის, იმ მეზობლების სახელებია, რომლებმაც ისინი ოდესღაც დარგეს. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. 1990-იან წლებში ქალაქის სიმწვანე შეცვალა და ახალი შტრიხები შემოიტანა აფხაზეთიდან დევნილმა მოსახლეობამ. ასე გაჩნდა ბევრ კორპუსთან უნაბის და მუშმალას ხეები, აფხაზეთიდან ძლივს შემოტანილი ნერგები და აქ გახარებული ოლეანდრები და ჰორტენზიები.

ზემო ვერაზე ერთმა უცხო ხემ მიიქცია ჩემი ყურადღება. „ნუგზარის და გიორგის ხეა. აი, დარგეს და დარჩა მათი სახელი. სოხუმში ჰქონიათ ასეთი ხე და აქაც დარგეს. რამდენი

აქ დავსხდებით, ეგენი გვახსენდება“, – ამბობს თინა კორპუსებს შორის დარგულ ქოლგასავით ხეზე. ხშირად ასეთი ხეები ცენტრალური დაგეგმარების მიღმა ირგვება და ქუჩის არაოფიციალურ ისტორიას ქმნის.

ხეებს რგავდნენ მაშინაც, როცა სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული პროექტი იმ ადგილებში მოასფალტებულ ტერიტორიას ითვალისწინებდა. ამგვარი ურჩობა უფრო პერიფერიულ სივრცეებში იყო შესაძლებელი. 1970-იანი წლებიდან, როცა მშენებლობებმა იმატა და ახალი უბნების გამწვანება მხოლოდ ქაღალდზე, იდეად დარჩა, ხალხმა დაიწყო ტაქტიკების გამოყენება კორპუსებთან ბაღების შესაქმნელად.



სურათი 2. *მურთაზ აბაშიძე, ჟურნალი „ნიანგი“. კორპუსი, შარჟი. 1970-იანი წლები ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.nplg.gov.ge/dspace/handle/1234/143466*

ამ ტაქტიკებიდან თვალშისაცემია: სადარბაზოების წინ სივრცეების შემოღობვა და ბაღების გაშენება. ამ სივრცეებს ქმნის მეზობლების ჩუმი ან ღია თანხმობა, სადაც ის, თუ რა არის კერძო და რა საჯარო, მოლაპარაკების საგანია. ამგვარი ბაღები არც კერძოა და არც საჯარო. პირველ სართულზე მცხოვრები მეზობლები იღებენ პასუხისმგებლობას ფანჯრების წინ სივრცის მოწყობაზე. თითოეული სადარბაზოს შესასვლელი მრავალსართულიან სახლებში პირველი სართულის მეზობლების სავიზიტო ბარათია ხოლმე.

ვერტიკალური გამწვანება ურბანული გამწვანების ასევე ძალიან გავრცელებული ფორმაა. იმ შემთხვევაში, თუ შენობების წინ მცირე ადგილია ან მაღალ სართულზე მცხოვრებ მეზობლებსაც სურთ საკუთარი გამწვანება ჰქონდეთ, ვაზი აჰყავთ. სართულებზე აყვანილი ვაზი თბილისის მთავარი სიმწვანეა (იხ. Dirker, Tabatadze 2019). ამ ბაღებს სოციალური ფუნქციაც აქვთ – ამ ბაღებით იზომება ხოლმე, რამდენად კარგად იცის ადამიანმა მეზობლობა. მეზობლებმა უნდა იზრუნონ, რომ ეს ბაღები არ დააბინძურონ, მცენარეები არ დააზიანონ. კარგი მეზობლობის მაგალითია ვაზის, ალუბლის, მუშმალას, ბროწეულის ერთად კრეფა ან ამგვარი ბაღების ნაყოფის განაწილება. ხშირად ამ მიწოდებით ხდება ურთიერთობის დამყარება. ამას ემატება წესი, რომ როცა რამეს მოგაწვდიან, ჭურჭელს უკან

სურათი 3. *გლდანი, თბილისი. ნიკა უდესიანის ფოტო, 2021.*

ცარიელს ვერ დაუბრუნებ და შენც რამე უნდა მიაწოდო. ახლა, როცა ადამიანები ნაკლებად არიან ერთ სივრცეს მიმაგრებული და მეზობლები ხშირად იცვლებიან, ამ მოსავლის დანაწილება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სამეზობლოს შეკავშირებისთვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ესთეტიკური სიამოვნება, მეზობლებს ეამაყებათ მათი სადარბაზოს ბაღი და სხვებს ადარებენ. გლდანში კორპუსზე აცოცებული გლიცინია უკვე მთელი სამეზობლოს სიამაყე და ზრუნვის საგანია. ამგვარი სივრცეები ერთდროულად არის მწვანე, ესთეტიკური და სოციალური.

საჯარო სივრცის და გამწვანების ინფრაპოლიტიკა

არსებობს როგორც ურბანული გამწვანების მრავალი ტაქტიკა, ისე საჯარო სივრცეების მონიშვნის და გამოყენების ტაქტიკები. ერთი შემთხვევის დეტალური აღწერა უფრო ნათელს გახდის ტაქტიკას, რომელიც ხეებს საჯარო სივრცის დასაცავად იყენებს. ამ მაგალითით ნათელი ხდება, რომ ხეებს ადამიანების წყალობით აქტიური როლის შეძენა შეუძლიათ. ერთი კორპუსის და მისი სამეზობლოს ფარული ბრძოლის მაგალითზე კარგად შეგვიძლია დავინახოთ, რა ტიპის წინააღმდეგობის გაწევას ახერხებენ ადამიანები რეგულაციების კრეატიული გამოყენებით.

ჩემი კვლევისას ძირითადად, თბილისის ერთი უბნის, ბახტრიონის მაგალითს ვეყრდნობი. ეს უბანი 1970-იან წლებში გაშენდა. შენობა, რომელიც ჩემი კვლევის ცენტრალური მაგალითია, აიგო როგორც მხატვართა კავშირის კოოპერატივი. სამეზობლოს დიდი გამოცდილება დაუგროვდა, თუ როგორ შექმნან ადგილები არსებული კანონების და დადგენილებების მიღმა, რაც ზოგადად თბილისისთვის ტიპურია. კორპუსის პროექტი დამტკიცების ხანგრძლივ გზას გადიოდა, რადგან მისი ფართობი და ჭერის სიმაღლე გეგმურ მოთხოვნებს გაცი-

ლებით აღემატებოდა. ამხანაგობის თავმჯდომარემ და მისმა მოადგილემ ბევრი იბრძოლეს პროექტის გასატანად და მერეც, თავმჯდომარე ძალიან ცდილობდა, რომ ეს ბრძოლით მოპოვებული პროექტი ავთენტური სახით შეენარჩუნებინა, მათ შორის, სადარბაზოს შესასვლელები. პროექტი სადარბაზოების წინ მოასფალტებულ ტროტუარს გულისხმობდა. დღეს ამ კორპუსს თუ დავათვალიერებთ, ვნახავთ, რომ ერთადერთი სადარბაზო, სადაც წინა სივრცე მართლაც მთლიანად მოასფალტებულია, ამ თავმჯდომარის სადარბაზოა. აქ ახლა მანქანებს აყენებენ ხოლმე. ყველა სხვა სადარბაზოს წინ პატარა შემოღობილი ბაღებია. სამეზობლომ მიმართა როგორც სადარბაზოების წინ გამწვანების, ისე ვერტიკალური ბაღის ტაქტიკას. თუმცა ამით არ გაჩერებულან. მათ აქტიურად გამოიყენეს თავისი უფლება ქალაქზე და დაიწყეს იქვე არსებული საჯარო სივრცის, სკოლის ეზოს რეკრეაციული მიზნებისთვის გამოყენება და მოგვიანებით აქტიური ჩარევით შეინარჩუნეს.

1970-იან წლებში გაშენებულ უბნებში სკოლები გამოირჩევა დიდი ეზოებით, რომლებიც სპორტული გაკვეთილებისა და შეკრებებისთვის გამოიყენებოდა. მხატვრების სახლის წინ არსებული სკოლაც ორი შენობის კომპლექსია საცურაო აუზითა და გამორჩეულად დიდი ეზოთი. რადგან სახელმწიფომ უბანში სხვა პარკი ვერ ააშენა, სკოლის ეზო იქცა საერთო სივრცედ. მისი კარი, როგორც წესი, ღია იყო ხოლმე, შესაბამისად, ამ კორპუსის მოსახლეობა საკუთარ ეზოდ მიიჩნევდა.

სკოლის ეზოები არაფორმალური შემოსავლის წყაროდ იქცა 1990-იან წლებში, როცა ფეხმოკიდებული კორუფციის და მოშლილი მენეჯმენტის გამო საჯარო სკოლებისა და ბაღების სივრცეების დატაცება, მათი ფუნქციური გადაკეთება დაიწყეს. გაჭირვების პერიოდში, როცა სკოლებს არც ადგილობრივი და არც ცენტრალური ხელისუფლება არ აფინანსებდა და თვეების მანძილზე ხელფასები არ გაიცემოდა, სკოლის ადმინისტრაციებმა მთელი ქალაქის მასშტაბით დაიწყეს სკოლის სივრცის გაქირავება ან გაყიდვა. რადგან ამგვარი გაქირავება დაურეგულირებელი იყო, მოგება გამქირავებლების

ინტერესებს ემსახურებოდა. ბუნების და სივრცის მითვისების პროცესი ძალიან ცხადად დაეტყო ქალაქს. პრივატიზაცია „პრიხვატიზაციად“ (რუსულიდან: დათრევა) იქცა.

სკოლების ადმინისტრაციის უმეტესობამ შენობების და ეზოების ნაწილი კერძო ბიზნესზე გააქირავა ან გაყიდა. ასე იქცა ერთ დღეს მხატვრების კორპუსის წინ მდებარე სკოლის ეზო ფასიან პარკინგად, სადაც მთელი უბნის მანქანებს აყენებდნენ ღამეში 1 ლარის სანაცვლოდ. რადგან სკოლის ეზო ამ დიდი კორპუსისთვის ერთადერთი შეკრების სივრცე იყო, მისი დათმობა მეზობლებს არ უნდოდათ, თუმცა რაიმე ოფიციალური ბერკეტი არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, ბევრი არაფორმალური ტაქტიკა იცოდნენ, რომლითაც სახელმწიფოს მიერ დაწესებულ წესებს თავს არიდებდნენ. მათ ჰქონდათ ადგილისთვის მნიშვნელობის მინიჭების გამოცდილება სხვა ადგილებიდან და ეპოქებიდან. ერთ-ერთი ასეთი გავრცელებული ფარული ტაქტიკა იყო ხეების დარგვა და მათი ტერიტორიულობის გამოყენება სივრცის შესანარჩუნებლად.

ერთ დღეს ერთმა მეზობელმა, რომელსაც შესაბამისი ცოდნაც ჰქონდა და რესურსებიც, სკოლის ადმინისტრაციის დაუკითხავად მოიყვანა მანქანა, გაბურღა სკოლის ეზოში 60 ორმო და ჩარგო წიწვოვანი ხეები. დარგვის ინიციატორი მიყვება: „ჩემმა ქმარმა მაგ დირექტორს არც ჰკითხა. მგონი უკვე წასულიც იყო, ხსნიდნენ თანამდებობიდან. ახალი დირექტორი უნდა დაენიშნათ. გარდამავალი პერიოდი იყო. მაშინ ხომ როგორი არეული დრო იყო და იხელთა დრო, მოიყვანა მანქანა, გააბურღვინა და ჩარგო ეს ხეები“. წიწვოვანი ხე, ჰორიზონტალური კვიპაროსი, რომელიც აირჩია, ქალაქში ფართოდ გამოიყენება გამწვანებისთვის.[10] მის გვერდით ელდარის ფიჭვებია.

---

[10] თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით: „1988 წლის მონაცემებით, ქ. თბილისში აღწერილია 18 859 069 ძირი ხე, 15 149 231 ძირი ბუჩქი. ამათგან წიწვოვანი 6 730 569 ძირი ხე, ფოთლოვანი 12 128 500 ხე. გაბატონებული სახეობები: ჭადარი, იფანი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, ვერხვი, აკაცია, ცხენის წაბლი, კედარი, კვიპაროსი, ფიჭვი და სხვა.“

ელდარის ფიჭვს სახელმწიფო იცავს 1935 წლიდან მარიამჯვარის ფიჭვთან და ბიჭვინთის ფიჭვთან ერთად. სკოლის ეზო „წაკითხვადი“ გახდა ქალაქისთვის ნაცნობი დეკორატიული და დაცული ხეებით. ამ ხეების წყალობით ეს ტერიტორია მარკირებული იქნა, როგორც რეკრეაციული და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი სივრცე.

მეზობლები როგორც ჰყვებიან, ამ ინიციატივას მაშინვე აჰყვნენ, ზოგი დარგვაში დაეხმარა, მოვლაშიც ჩაერთნენ. თავად ავთო ჯაფარიძისთვის, ვინც ეს ხეივანი დარგო, ეს ხეები ძალიან ძვირფასი იყო. მისი მეუღლე იხსენებდა, რომ ერთხელ უკვე დასნეულებული, ფანჯრიდან უყურებდა და ცრემლები მოსდიოდა, როცა ხედავდა, როგორ აზიანებდნენ მოზარდები პატარა ნერგებს. წლების მანძილზე უხდიდა ფულს სკოლის შენობაში მცხოვრებ ლტოლვილ კაცს, რომ ნერგები მოერწყო. ინიციატორის ოჯახი დღემდე განსაკუთრებით ჩართულია ხეების მოვლაში. ზემოთაც ვთქვი, რომ ხეები ხშირად თავიანთი ბოტანიკური სახელის გვერდით იმ ადამიანების სახელს იღებენ, რომლებმაც დარგეს. ცოცხალ ძეგლებად იქცევიან. ხე-



სურათი 4. *სკოლის ეზო 1979 წელს. საქართველოს ეროვნული არქივი.*

სურათი 5. *სკოლის ეზო და ე. წ. ჯაფარიძის ხეები. ავტორის ფოტო, 2022.*

ებს ადამიანები აცოცხლებენ, იბრძვიან მათთვის და ზოგი ხე მერე თითქოს აგრძელებს ამ ადამიანების სიცოცხლეს. ასეთი ხე სცილდება თავის მცენარეობას ადამიანების წარმოსახვაში და იმ პიროვნების სიცოცხლეს აგრძელებს, რომელიც ამქვეყნად აღარ არის, ანუ მეტია, ვიდრე ადამიანი და მეტია, ვიდრე სხვა მცენარეები. სკოლის ეზოს ხეებს ჯაფარიძის ხეებს ეძახიან. სხვა უბნების მაგალითებიც კარგად აჩვენებს, რომ ეს კუთვნილების განცდა ოჯახებს დიდხანს მიჰყვებათ, მაგრამ სამეზობლოში ასევე თანასაკუთრების განცდაც ჩნდება. იმისთვის, რომ ხაზი გაუსვან სკოლის ეზოში გაშენებული ხეივნის რეკრეაციულ ფუნქციას და ხილვადი გახადონ, კორპუსის მაცხოვრებლები სხვადასხვა აქტორს რთავენ ქსელში. მეზობლები მერიის ფიტოსამსახურს ატყობინებენ ხეების საჭიროების შესახებ და მათ მოვლაში რთავენ. ამ ხეების დარგვიდან 21 წლის შემდეგაც სამეზობლოა ამ ხეების პატრონი.

„რაღაც დაავადება გაუჩნდათ ხეებს, არადა მაგათ იმედად ვართ. ეს ეზო მაგან იხსნა“, – ეთანხმებიან სხვა მეზობლებიც. „ჯერ ერთი, გარაჟად იყო ქცეული და მერე კიდევ, საბავშვო

ბაღის ეზოს ხომ ხედავთ, რა დაემართა...“ საბავშვო ბაღის ეზო სხვა ტაქტიკამ შეიწირა. იქ ეკლესია მიიწვიეს, რომელმაც ადგილი წმინდად მონიშნა და თავდაპირველად პატარა სამლოცველო გახსნა. წლების შემდეგ ეკლესია გაფართოვდა, აშენდა კელიები, საეკლესიო ნაგებობები და ახლა საბავშვო ბაღის ეზოში მწვანე საფარის ნაცვლად, საეკლესიო ნაგებობებია. ეს არ არის ერთადერთი მაგალითი. ბევრი სკოლის და საბავშვო ბაღის სივრცის ნაწილი 2000 წლების დასაწყისში ეკლესიას დაუთმეს, რომელიც უკვე აქტიურად იყო სასწავლო პროცესშიც ჩარეული. პატარა სამლოცველოები დროთა განმავლობაში ეკლესიის შენობებად იქცა, რამაც თანდათან სკოლის ეზოებისა და მწვანე სივრცეების გაქრობა გამოიწვია (Gurchiani 2017). სივრცეების გასხვისების უკან მრავალგვარი მოტივაცია იდგა და არ იყო მხოლოდ მოგება. ზოგჯერ პირდაპირ მოგების მიღება არ ამოძრავებდათ, მაგრამ ძალაუფლების მქონე სხვადასხვა ინსტიტუციასთან დათმობის შედეგი იყო სივრცის შემცირება. ზოგ შემთხვევაში, საკუთარი ავტორიტეტის ზრდა და საზოგადო სცენაზე ნამდვილ ქართულ ინსტიტუციად პოზიციონირების მიზანი ჰქონდათ სკოლებისა და ბაღების ხელმძღვანელ პირებს.

ეკლესიის სიმბოლური კაპიტალის გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის საერთო სივრცეების დაცვაშიც გვხვდება. კორპუსებს შორის ცარიელ ადგილებში ჯვრების აღმართვის ტაქტიკაც ხანდახან კამუფლაჟია: ადგილს წმინდად აქცევენ, მაგრამ მთავარი იდეა ამ სივრცის მშნებელობისგან დაცვაა. ხანდახან ეს ტაქტიკა ისედაც ძლიერ ეკლესიას ისე აძლიერებს, მერე მათგან თავის დაღწევა შეუძლებელი ხდება.

ხეების წყალობით სკოლის ეზო საერთო და მწვანე დარჩა. სკოლის ეზოში დარგული ხეები ახლა უკვე დიდ ხეებად იქცნენ, დაახლოებით 50 მათგანი გადარჩა და ახლა აქ კვიპაროსების და ფიჭვების ხეივანია. ამ ხეებმა ძალიან მალე შეავიწროვა მანქანები. ხეებს ქალაქის რეგულაციაც იცავს: წიწვოვანი ხეები, როგორც ზოგადი კატეგორია, დაცულია თბილისის მთელ ტერიტორიაზე. მაგალითად, ელდარის ფიჭვზე

აღდგენითი ღირებულება 100 ლარია თითოეულ რგოლზე, რაც თითო ხეზე დაახლოებით 4,000 ლარს უდრის, თუ ვინმე მათ მოჭრას გადაწყვეტს. ეს ტერიტორია უკვე ამ ხეებისაა. გარდა იმისა, რომ ქალაქში არსებული წესით მათი მოჭრა არ შეიძლება, კორპუსის სამეზობლოსაც ემოციური კავშირი აქვს და ამ ეზოს, რომელიც მათ თავიანთი ეზოც ჰგონიათ, არავის დაანებებენ. ეს დიდი ლამაზი ხეები მათია. ეს ხეები კარნახობს უკვე ამ ხალხს ქცევის წესს და ქმნის იმ ტერიტორიას. აქ ყალიბდება ის, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში რელატიურ (ან ფარდობით) ქმედების უნარს (relational agency) უწოდებენ. ადამიანები ზრუნავენ ხეებზე და ხეები ზრუნავენ ადამიანებზე. „ეგენი გვიცავენ ჩვენ", – ხშირად ისმის მეზობლებისგან, რომლებისთვისაც თბილისის ცხელ დღეებში ეს ხეივანი სასიამოვნო სასეირნო ადგილია.

რამდენიმე მიზეზია, რის გამოც აღნიშნული ტაქტიკის ამოქმედება ამ სივრცეში შესაძლებელი გახდა. პირველი, ეს არის სკოლის სივრცის საკუთარ სივრცედ მოაზრება, რომელიც ამ უბნის დაარსებიდან ჩამოყალიბდა. სხვა საერთო სივრცის არარსებობის გამო, ეს ეზო კორპუსების მაცხოვრებლებისთვის ძირითადი შეკრების ადგილი იყო. თვითონ სკოლაც უბნის გახლდათ, ამ უბნის ბავშვებისთვის განკუთვნილი და თავისად თვლიდნენ. გარდა ამისა, ბავშვებს ჰქონდათ ე. წ. შაბათობებში მონაწილეობის გამოცდილება, როცა მათ დირექცია ხეების დარგვაში რთავდა. მოსწავლეებს ანიჭებდნენ ბუნების მეგობრის სტატუსს. სკოლის პროგრამის ნაწილი იყო ასევე დღიურის წარმოება, სადაც ბუნების ცვლილებას უნდა დაჰკვირვებოდნენ. წელიწადის დროის ცვლილებისთვის ხეებზე დაკვირვება მოსწავლეების ყოველდღიურობაც იყო და დავალებაც. ხეები ყველაზე კარგად კარნახობდნენ, რას უნდა დაჰკვირვებოდნენ. ამ ყველაფერმა ზრუნვის ტრადიცია ჩამოაყალიბა.

ადგილის პერიფერიულობამ ასევე დიდი როლი შეასრულა. ეს კორპუსი მთაზეა, თვალს არ ხვდება, გზად ვერ ჩაივლი. რაც მთავარია, მოსახლეობას ჰქონდა ხეების დარგვის ან არსე-

ბული ხეების გააქტიურების ტაქტიკური გამოყენების გამოცდილება, რაც თავიანთი ადრინდელი საცხოვრებელი ადგილებიდან და/ან სამუშაო გამოცდილებიდან თან მოიტანეს. ამ მხრივ საინტერესოა ვნახოთ, როგორ მოძრაობს ეს ტაქტიკები დროსა და სივრცეში: საბჭოთა დროიდან გადმოდის დღევანდელობაში, სივრცულად კი სოფლიდან ქალაქში, რეგიონის პერიფერიიდან ქალაქის პერიფერიაში გადმოდის ფარული წინააღმდეგობის გამოცდილება. სატყეო მეურნეობებთან, ნაკრძალებთან და პერიფერიაში გაჩენილი ტაქტიკები ურბანულ სივრცეში პოულობს გაგრძელებას. ოღონდ ეს გადმოსვლა არ იყო ბრმა გადმოტანა. ტაქტიკის ნაწილია კამუფლაჟი. წინააღმდეგობის ხეები იმ ბუნებრივი გარემოს ხეები უნდა იყვნენ და სახელმწიფოს მიერ იმ ფუნქციით მარკირებულები, რომელიც მათ მნიშვნელოვნად აქცევს.

საბჭოთა რეგულაციები და ბუნება, როგორც სუსტების მოკავშირე

საქართველოს საბჭოთა ანექსიის შემდეგ მოდერნიზაცია ბუნების მოთვინიერების ეგიდით მიმდინარეობდა. კოლექტივიზაცია ცვლიდა არა მხოლოდ ადამიანების კერძო საკუთრებას, არამედ მათ ბუნებრივ გარემოს და ეკონომიკურ ურთიერთობებს. კოლექტივიზაციის შედეგად კერძო საკუთრებაში არსებული მიწები ერთდროულად უნდა გამხდარიყო 1. ყველასი 2. პროდუქტიული. სახელმწიფო სტრატეგია წყვეტდა, რა და როგორ გაეშენებინათ, რა და როგორ განაწილებულიყო. მთელი ეს პროცესი შეეხო ტყეებსაც. 1921 წელს ტყეები სახელმწიფო საკუთრებად იქცა. აქედან იწყება საბჭოთა საქართველოს მეტყევეობა, რომლის ნაწილიც იყო მართვა, აღრიცხვა, აღდგენა/განახლება. შეიქმნა სოფლის მეურნეობის კომისარიატები, რომლებსაც ტყეებზე პასუხისმგებლობა დაევალათ. როგორც სოხაძე და მაჭავარიანი წერენ: „1923 წელს ახალი კანონმდებლობის მიხედვით, ტყეები დაიყო ორ ჯგუფად: ძირითადი სახელმწიფო ტყეები და ადგილობრივი ტყეები, რომლებიც გადა-

ეცა სამართავად კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს (2020)". ამავდროულად, საქართველოში 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტით „მიწის შესახებ" გაუქმდა მიწის კერძო საკუთრების უფლება. „მთელი მიწა გახდა საყოველთაო-სახალხო სიმდიდრე და უსასყიდლოდ გადაეცა მშრომელებს სარგებლობისთვის", – აღნიშნავს კანონი.[11] მოსახლეობამ ადრეული პერიოდიდანვე დაიწყო საკუთარი ფარული დღის წესრიგით (hidden transcript-ით) მოქმედება. მათ ამაში დაეხმარა ბოტანიკოსების ინიციატივით შექმნილი ხეების დაცვის კანონები.[12]

საკანონმდებლო კრებულების ანალიზი აჩვენებს, რომ თითქმის ერთდროულად იწყება როგორც ბუნების მოთვინიერების, ისე მისი დაცვის საკანონმდებლო ინიციატივები. საქართველოში ბოტანიკოსების ბუნების დაცვის მცდელობები მნიშვნელოვან დადგენილებებში აისახა გასაბჭოების პირველივე წლებში. აქ უკვე არსებობდა ამ მიმართულებით სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება. 1928 წელს გამოიყო ისეთი ტერიტორიები და ხის ჯიშები, რომლებიც უნდა დაეცვათ.[13] თუკი ზოგადად ტყეებისგან მიწის გათავისუფლება საბჭოთა ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა, ამ ნაკრძალების შემთხვევაში პირიქით იყო, მათი მოხმარება გამოირიცხა. ამ მცდელობებით ბუნება წაკითხვადი ხდებოდა. წაკითხვა კი აუცილებლად გულისხმობს ინტერპრეტაციას. დასაცავ ხედ მარკირება მას გამოუსადეგარს ხდიდა გამოყენებისთვის, მა-

---

[11] საქართველოს სსრ მიწის კოდექსი 1971, N7

[12] ერთი შეხედვით უცნაურია ასეთი აქცენტი ხეზე იმ იდეოლოგიაში, სადაც ყველა ადამიანი და ყველა სივრცე პროდუქციას უნდა ემსახურებოდეს. კანონები მიწის ჩამორთმევის, განკულაკების, კოლმეურნეობების საკუთრებაში მიწის გადასვლის შესახებ ზუსტად ემთხვეოდა კანონების მიღებას ბუნების ნაკრძალების და ხის დაცული ჯიშების შესახებ (Van Assche 2013, 18). საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში არ მოსულა ცარიელ ადგილზე. აქ არსებული ცოდნა, ეპისტემოლოგიური კულტურა, საბჭოთა საქართველოს ბუნებისდაცვით ინიციატივებშიც დაილექა.

[13] საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული. 1935–N31, მუხლი 200 და 201.

გრამ მნიშვნელოვანს ხდიდა ბუნების დაცვის კუთხით და ასპარეზს შლიდა ფარული დღის წესრიგისთვის.

საინტერესოა, რომ თუკი ზოგადად ითვლება, რომ საბჭოთა ბუნების დაცვის კანონებიც კი პროდუქტიულობისკენ იყო მიმართული და დაცული ტერიტორიები ძირითადად იმიტომ იქმნებოდა, რომ საკურორტო ზონად ყალიბდებოდა, ამგვარი ინტერპრეტაცია ვერ ხედავს კანონებს და პრაქტიკებს, რომლითაც ბოტანიკოსების ინიციატივით ბუნების მრავალფეროვნება დაცული იყო მაშინაც, როცა არც კურორტს ებმოდა და პირდაპირ უშლიდა ხელს პროდუქტიულობას.[14] კანონები, რომლებიც სიძველის ან ენდემურობის გამო იცავდა გარკვეულ ხეებს, როგორც ჩანს, მხოლოდ ეკოლოგიური/ბუნებისდაცვითი ინიციატივა იყო. ეს მცდელობები პირდაპირ უპირისპირდებოდა საბჭოთა პოლიტიკას, რაც შეიძლება ეფექტურად გამოეყენებინათ მიწის ყველა ნაკვეთი და ბუნებრივი რესურსი, მათ შორის, ტყეც.

რესპუბლიკის მასშტაბით მიღებული კანონები არეგულირებდა დასაცავი ხეების ჯიშებს, დასაცავ ტერიტორიებს და განსაზღვრავდა პასუხისმგებლობას. ზოგი ჯიშის ან ზოგი მონაკვეთის დაცვა საბჭოთა კავშირის დონეზე რეგულირდებოდა, ნაწილი – ადგილობრივ დონეზე. პასუხისმგებლობის გრძელი ჯაჭვი ამა თუ იმ სახეობის მნიშვნელობაზე მიუთითებდა და ამ მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდიდა. ამავდროულად, მანევრირების შესაძლებლობებსაც ზრდიდა ჯაჭვის ყოველ რგოლში. რეალური პასუხისმგებლობა ლოკალურ აქტორებზე იყო დელეგირებული.

---

[14] ზოგადად ეს ტენდენცია იყო, რასაც აღწერს Johanna Conterio სტატიაში Curative Nature: Medical Foundations of Soviet Nature Protection, 1917–1941 (2019):

„The state saw the function of developed leisure landscapes as supporting public health and raising labor productivity, and ideas of curative nature had a place in this formula“ (26), საქართველო განსაკუთრებით ჩამოყალიბდა კურორტების ქვეყნად, მაგრამ ამგვარი დავიწროება სრულ სურათს არ ასახავს.

შესაბამისად, არსებულმა სტრატეგიამ პასუხად გააჩინა სხვადასხვაგვარი ტაქტიკა. „სუსტები“ საკუთარი ინტერესის მიხედვით ახერხებდნენ არსებული კანონების გამოყენებას.

ძელქვა, როგორც დასაცავი და მცველი

უფრო ნათელი რომ იყოს, როგორ ხდებოდა სხვადასხვა მონაწილის ჩართვა და ასევე, როგორ განაპირობებდა კანონებიცა და არსებული ბუნებაც წინააღმდეგობის პრაქტიკებს, ერთ რეგიონზე ვკონცენტრირდები. ჩემი ნაშრომის ეს მონაკვეთი ეყრდნობა ხანგრძლივ ეთნოგრაფიას დასავლეთ საქართველოს სოფლებში, რომლებიც აჯამეთის აღკვეთილის გვერდითაა. ამ სოფლებში გავრცელებული ტაქტიკა ერთდროულად არის იქაური ბუნების, იქ მცხოვრები ადამიანების და კანონების გადახლართულობის შედეგი.

ამ სოფლებში, სადაც ჩემი კვლევა ტარდებოდა, საბჭოთა საქართველოს არსებობის პერიოდში დასავლეთ საქართველოში კანონმდებლობამ განსაკუთრებული ყურადღება ორ ხეს მიაქცია. ეს იყო ძელქვა და თუთა. ისინი ფართოდ გამოიყენებოდა ფარულ წინააღმდეგობაში. ამ ორი ხის შერჩევა საინტერესოა იმის საჩვენებლადაც, როგორ ითარგმნებოდა სხვადასხვა ტიპის ხეები კანონის ენაზე და სხვადასხვა ტიპის ტაქტიკას ხდიდა შესაძლებელს. ეს ტაქტიკები დასავლეთ საქართველოს პერიფერიიდან ურბანულ პერიფერიას აწვდის წინააღმდეგობის ინსტრუმენტებს. ამ ორი ხის ბედი ოდნავ განსხვავებულია თბილისში და შედარების საშუალებასაც გვაძლევს.

ხეების მეშვეობით სივრცეების შენარჩუნების საქმეში მნიშვნელოვანი მოკავშირე ხდება კანონმდებლობა, რომლითაც ეკოლოგები ხეებს იცავენ. ადამიანებს გაუმართლებთ ხოლმე, თუ სამართლებრივი აქტები მათთვის ისედაც გამორჩეულ ხეებს განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებენ. აჯამეთის ნაკრძალის სიახლოვეს მდებარე სოფლების ცხოვრებას 1920-იან წლებიდან ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დინება შეეხო: ერთი მხრივ, კოლექტივიზაცია, რეპრესიები, რომელიც რო-

გორც მიწების ჩამორთმევას, ისე ადამიანების დახვრეტას გულისხმობდა, მეორე მხრივ, იმავე ფენას, რომელიც სოფლებში ითვლება, რომ ალბათ სხვებზე უფრო მეტად რეპრესირებული იყო (თუმცა ზუსტი მონაცემები რეპრესიების შესახებ არ გვაქვს), ყველაზე მეტად შეეხო ბუნების დაცვის კანონები და წინააღმდეგობის შესაძლებლობა მისცა, რადგან ისინი ფლობდნენ იმ ხეებს, რომლებიც კანონმა დაიცვა.

ძელქვა, Zelkova carpinifolia, რომელიც ახლაც IUCN ნუსხაშია, როგორც მოწყვლადი (VU), გამოირჩევა გამძლეობით. სახელიც შესაბამისი ჰქვია: ქვასავით ხეა, ინგლისურად ხანდახან Caucasian Elm or Ironwood-ს უწოდებენ. ადრე სამშენებლოდ გამოიყენებოდა, დაცვამ ის დეკორატიულ ხედ აქცია. სოფლის მახლობლად, 1928 წელს, ჯერ აჯამეთის ნაკრძალის შექმნამ, ხოლო მოგვიანებით ცალკეული ხეების დაცვის კანონმა იხსნა ეს ძელქვები, ამ ხეებმა კი მათ პატრონებს მიწა კერძო მფლობელობაში შეუნარჩუნა.

ნაკრძალის შექმნის ერთ-ერთი მიზანი იშვიათი რელიქტის, ძელქვის შენარჩუნება იყო. მიმდებარე სოფლების ძელქვები აჯამეთის ტყის გაგრძელებად ითვლებოდა (საქართველოს დაცული ტერიტორიები, 2007: 19). 1935 წლის დადგენილებაში ძელქვა ცალკეა გამოყოფილი და მეტიც, ქვეთავში სპეციალურად წერია ძელქვის ცალკეული ხე.[15] ამ დადგენილებას შემოაქვს კერძო ნაკრძალის ცნება: საბჭოთა საქართველოს მთავრობის ამ დადგენილებაში ჩამოყალიბებულია ცალკეული ხეების დაცვის მოთხოვნა, განსაზღვრულია პასუხისმგებლობა და გაერთიანებულია „კერძო ნაკრძალების“ ქვეშ (1935, 31 დადგენილება, მუხლი 200).[16] კანონები ამ ხეების მოჭრას კრძალავდა და მათზე ზრუნვის ვალდებულებას

[15] საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული. 1935–N31, მუხლი 200 და 201.

[16] 1935 წლიდან ძელქვის ცალკეული ხეებიც კი დაცული იყო (1935, განკარგულება 31, მუხლი 200, პუნქტი 7). კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1935–N31

ქმნიდა ცალკეული მოსახლისთვის. 1970-იანი წლების ბოლოს, როცა წითელი წიგნი შეიქმნა, ძელქვამ კიდევ უფრო გაიმყარა სტატუსი და სოფლების მაცხოვრებლებსაც მეტი მანევრირების შესაძლებლობა მიეცათ.[17] მიწის კოდექსით განისაზღვრა, რომ ნაკრძალის მიწა ამორიცხული იყო სამეურნეო მოხმარებიდან.[18] პირველი ნაბიჯი, რაც უნდა გადაედგათ, ამგვარი ხეების აღრიცხვა იყო.

ამ ხეების მარკირება განსაკუთრებულ ხეებად ადამიანებისა და ხეების ფარდობით აგენტობას უხსნიდა ასპარეზს. ჩემს ინტერვიუებში კარგად გამოჩნდა, როგორ იყენებდნენ სოფლის მაცხოვრებლები დაწესებულ შეზღუდვებს სათავისოდ. ამაში მათ თვითონ ძელქვები ეხმარებოდნენ. ძელქვამ დიდი ჩრდილი იცის. დეკორატიულია და ვერ იტანს სივიწროვეს, ასევე გარშემო ხეების კაფვას. მის ირგვლივ უნდა იყოს ჩრდილი. ეს ხე ირგვლივ არსებულ ტერიტორიას სოფლის მეურნეობისთვის უნაყოფოდ აქცევს. რაც უფრო უკეთ უვლიდნენ, მით უფრო იზრდებოდა ხე და ხესთან ერთად, მისი მფლობელის საკარმიდამო მიწაც, რადგან ცალკე მდგომი ძელქვის ირგვლივ 15 მეტრის რადიუსზე ტერიტორია არასასოფლო სამეურნეო ტერიტორიად ითვლებოდა. სამაგიეროდ, ამ „გამოუსადეგარი“ მიწის საკომპენსაციოდ იქვე არსებულ კოლმე-

---

[17] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 31 ივლისის №546 დადგენილება, მუხ.77; ასევე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 3 ოქტომბრის №650 დადგენილება, მუხ.70.

ეს დადგენილებები 2003 წლამდე მოქმედებდა და მხოლოდ ახალი წიგნის შემოღებასთან ერთად გაუქმდა. ნაკრძალის და ნაკრძალის ზონის ფარგლებში რა იყო ნებადართული და რა არა, სხვა კანონები და დადგენილებებიც არეგულირებდა, მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ, 1984 თბილისი, 1984 წლის 15 დეკემბერი №161 – Xს. საბჭოთა საქართველოში არსებობდა კანონები და სამთავრობო ერთეულები, რომლებიც ბუნების დაცვის საკითხებზე მუშაობდნენ და სახელმწიფო დონეზე არეგულირებდნენ ეკოლოგიის საკითხებს.

[18] საქართველოს სსრ მიწის კოდექსი 1971–N7 განმარტავს მუხლი 117

ურნეობის მიწას უმატებდნენ. რაც უფრო მეტი დიდი ძელქვა იდგა ეზოში, მით უფრო დიდი ეზო შეიძლებოდა ჰქონოდა მის მფლობელს. თავიანთი ბოტანიკური თვისებების წყალობით და ადამიანების მცდელობებით, ისინი ცენტრალურ ხეებად იქცნენ.

ხეების მნიშვნელობას გააქტიურება სჭირდება, სხვანაირად ის ვერც გადარჩება და ვერც დახმარებას ვერ შეძლებს. ჩვეულებრივ ხის მნიშვნელობის გასააქტიურებლად ამგვარ გზას მიმართავდნენ საბჭოთა პერიოდში: ხის მფლობელი განცხადებით მიმართავდა ტყის მეურნეობას, ტყის მეურნეობა გამოყოფდა კომისიას, რომელიც ხეების განსაკუთრებულობას დაადგენდა. კომისია შეიძლება ნაკრძალიდან მოსულიყო, თუ ნაკრძალი ამგვარი ხის სიახლოვეს იყო.



სურათი 6. *ჟენია ყიფიანი-ხვადაძის მოთხოვნის პასუხად დადგენილება*

ხეც იწყებდა მოქმედებას. ამგვარი ზრუნვით დაცული ძელქვა იზრდებოდა და სულ უფრო დიდ ტერიტორიას მონიშნავდა, როგორც ხელშეუხებელს. ასე ებმის ერთმანეთის ადამიანის და არა-ადამიანის, ხის აგენტობის უნარი. ადამიანის და არა-ადამიანის აქტიურობას ვხედავთ. ხეები მოკავშირეებად იქცევიან მათზე ზრუნვის წყალობით. ორივე მხარე ერთმანეთზე დამოკიდებული ხდება (Jones and Cloke, 2002). „ხეები მოქმედებენ ისე, როგორც მათზე მოქმედებენ“ (Jones, 2008, 80). ძელქვა გახდა არა მხოლოდ იმის გარანტი, რომ ოჯახს შეეძლო ეზოდ გამოეყენებინა ადგილი, სადაც ის გახლდათ დარგული, არამედ იმისაც, რომ მიწის ნაკვეთები საკუთარ ეზოდ შეენარჩუნებინათ. ამით ეს ხეები გახდნენ ძირითადი მოკავშირეები პირადულის აღმოფხვრის წინააღმდეგ ბრძოლისას და ამით ანტიპოლიტიკის სარბიელი.

საბჭოთა კანონით დაცული ძელქვები მხოლოდ იქ ხდება მნიშვნელოვანი, სადაც მათი ფასი იციან. ძელქვა ცოცხლობს 500-600, ზოგი მონაცემით, 300 წელს. როგორც წერენ, საქართველო ამ ხის ერთ-ერთი უკანასკნელი თავშესაფარია („Georgia is one of the last refuges of this Tertiary relict tree“ Kvavadze, Connor 2005, 69). ამ ხეს უწოდებენ ცოცხალ ნამარხს (living fossil). სოფლის მოსახლეობისთვისაც ასეთია ეს ხე: გამქრალი დროის ანაბეჭდი. ამ ხეებთან ემოციური მიჯაჭვულობა აქვთ ოჯახებს, რომლებმაც ძელქვების შენარჩუნება შეძლეს. შესაბამისად, ისინი ამ ძელქვებისთვის იბრძვიან არა მხოლოდ როგორც ხეებისთვის.

იმერეთში ძელქვის სიძველე მისი ძირითადი თვისება და ნიშანია. ის ათვლის წერტილია ხოლმე: მისით ითვლება ოჯახის სიძველე. ამ ხეების ხანგრძლივი სიცოცხლე და ხაზი, რომლითაც ეს ხე წინაპრებს უკავშირდება, ერთდროულად არის ხის სიძლიერის და იმ ადამიანების სიძლიერის ნიშანი, რომლებიც ამ ხეებთან ცხოვრობენ. მათ არ დასჭირდათ ამ ხის მოჭრა, რაც რესურსების ქონაზე მიუთითებდა. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, ეზოს დიდი ნაწილი დეკორატიული ხისთვის დაეთმოთ და როგორც სოფელში აღნიშნავენ, მათ იცოდნენ ამ ხის

ფასი. თავის მხრივ, როცა საჭირო გახდა, „ამ ძელქვებმა გადაარჩინეს ეს დიდი ეზოები“, – ასე ამბობენ ხოლმე სოფელში.

განსხვავებულია ძელქვების ბედი თბილისში. დაცვის კანონები ხშირად გადარჩენის კანონებიც იყო და გამრავლებისაც. იშვიათი ხეების დარგვას ცდილობდნენ. ახლანდელ ბარნოვის ქუჩაზე დენდროლოგიური პარკის ავტორი, მეცნიერი სოლომონ ქურდიანი 30-იან წლებში აღწერდა, როგორ მოაშენა დენდროლოგიურ პარკში ძელქვები. ძელქვების ხსენებით ცდილობდა ლავრენტი ბერიასთვის დაემტკიცებინა, რომ ეს ადგილი მნიშვნელოვანი დენდროლოგიური სივრცე იყო (სტატია გაზეთ კომუნისტში დაიბეჭდა 1933 წელს, ნომერი 144). ბერია აკრიტიკებდა, უსახური მცენარეები მოაშენაო. სოლომონ ქურდიანი მალევე დახვრიტეს და მისი ხეებიც 1930-იან წლებშივე გააქრეს: ხეების ნაწილი მოჭრეს, დენდროლოგიური პარკი პარტიული ელიტის რეზიდენციების შიდა ეზოებად დანაწევრდა, მოგვიანებით საბავშვო ბაღების და სკოლების უკანა ეზოებად, ახლა მხოლოდ ფრაგმენტები მოჩანს ელიტარული საცხოვრებლების ეზოებში. ამ პარკის ისტორიაც და თვითონ ხეებიც უჩინარი გახდა.

ის, რომ ძელქვას გააქტიურება სჭირდება, რათა მან რამე დაიცვას ან საერთოდ აღიქვან, როგორც მნიშვნელოვანი ხე, თბილისში დარგული ძელქვების ბედი მოწმობს. ძელქვა თბილისში თითქოს უჩინარიც კი ხდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, ივანე ჯავახიშვილის ძეგლის უკან ძელქვაა დარგული. მიუხედავად ასაკისა, ის არც განსაკუთრებით დიდია და არც ისეთი შთამბეჭდავი, როგორც იმერული ძელქვები. ამ ძელქვას აკლია ინდექსურობა: ის თბილისში არაფერზე არ მიუთითებს. კლიმატის გამო აკლია ტერიტორიულობაც. იმავე ასაკის ხეები იმერეთში უზარმაზარია და მთელ ტერიტორიას ფლობს. უცხოობის გამო უჩინარიც ხდება. ალეკო ცქიტიშვილმა ერთ სტატიაში კარგად შენიშნა ხეებისადმი ეს სიბრმავე. ის იხსენებს თამაზ ჭილაძის ერთ ლექსს, სადაც პოეტი ივანე ჯავახიშვილის ძეგლის უკან მდგარ ძელქვაზე როგორც ჭადარზე წერს (1958):

„გეხვევა ჭადრის ფოთლების სითბო, ამდენი წყლული რამ დაგაჩნია. ყველა ბრძოლაში დაეცი თითქოს და ყველა ბრძოლამ გადაგარჩინა!“

დიღომში დარგული ან პარკებში არსებული ძელქვის ხეებიც ისე მოჭრეს, ვერავინ დაიცვა, რადგან მათი მნიშვნელობა არავინ იცოდა. ის, რაც იმერეთისთვის ძელქვებია, ალბათ თბილისისთვის წიწვოვანი ხეებია. წიწვოვანი ხეების სიყვარულიც თანდათან ჩამოყალიბდა. თავდაპირველად 1935 წლის რეგულაციამ ცალკე გამოყო ფიჭვი და დაადგინა, რომ ელდარის ფიჭვი და ბიჭვინთის ფიჭვი არა მხოლოდ უნდა დაეცვათ, არამედ უნდა გაემრავლებინათ და ქალაქის მწვანე სარტყლის შესაქმნელად გამოეყენებინათ. ასე შეიქმნა ბიჭვინთის ფიჭვის სარტყელი შავი ზღვის ტერიტორიაზე და მის ნარჩენებს დღესაც ვხედავთ ქობულეთის და გრიგოლეთის სანაპირო ზოლზე. თბილისისთვის კლიმატური პირობების გამო ბიჭვინთის ფიჭვის გახარება რთული იყო, მაგრამ შერჩეული შავი ფიჭვი, ასევე ელდარის ფიჭვი, კვიპაროსები, კედრები, მრავლად დაირგა და წიწვოვანს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ელდარის ფიჭვზე 1935 წლის დადგენილებაში წერია, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არსებული ნარგავების დაცვა, არამედ მისი გამრავლება ქალაქის გასამწვანებლად (1935–31, მუხლი 200, პუნქტი 3). დღევანდელი რეგულაციაც ფართოდ იცავს წიწვოვან ხეებს და ამით ასპარეზს უხსნის მათი გააქტიურების ტაქტიკას.

თუთის ხეები

ხეების ძალას ხანდახან მათი ბუნებისდაცვითი ღირებულება კი არა, მათი პროდუქტიულობა განაპირობებდა. ამ ღირებულებამ შეუწყო ხელი დარგვის ფარული ტაქტიკის განვითარებას. დარგვა სახელმწიფოს მიერ სხვა მიზნით იყო ჩაფიქრებული, მაგრამ მოსახლეობა საკუთარი ფარული სცენარისთვის იყენებდა. დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გავრცელებული იყო ამგვარი ფარული წინააღმდეგობა

სურათი 7. *მეთოდური პლაკატი, 1949. მხატვარი: გ. გორდელაძე*

აბრეშუმის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი ხის, თუთის დარგვის გამოყენებით. თუთის ხის მნიშვნელობა მთელ საქართველოს მოედო, მათ შორის, თბილისსაც, რომლისთვისაც თუთის ხეები სახლებთან ახლოს ისედაც ბუნებრივი იყო.

თუთა არ შედიოდა „წითელ წიგნში“, მას არ ჰქონდა არც ემოციური ან აფექტური მნიშვნელობა, სამაგიეროდ ის უყვარდა სტრატეგიას, სახელმწიფო პოლიტიკას. მეაბრეშუმეობის განვითარება დასახული იყო პრიორიტეტად და 30-იანი წლებიდან მოყოლებული, თუთა საბჭოთა საქართველოს კვაზი-წმინდა ხედ იქცა. თუთის დარგვის წახალისება და მისი ნარგავების დაცვაც იმ დროს დაუწყიათ, როცა ძელქვას მიანიჭეს განსაკუთრებული მნიშვნელობა.[19] თუთა მთელ საქართველოში დარგეს, მათ შორის თბილისშიც და სპეციალური ჯიშებიც გამოიყვანეს, რომელთაც ქალაქების სახელები ჰქვიათ („თბილი-

[19] კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1933–N1, მუხლი 3, მუხლი 4.

სური“ და „ქუთათური“.) 1931 წლის დადგენილებით მკაცრად ისჯებოდა თუთის ხეების მოჭრა. დადგინდა მათი მოვლის წესები. იოლად წარმოსადგენია, რა მნიშვნელობა ექნებოდა კანონის დონეზე დაცულ წარმოებას და შესაბამის ნარგავებს, 1930-იანი წლების მკაცრ სტალინურ პოლიტიკას თუ გავითვალისწინებთ. იმერეთის სოფლები განსაკუთრებით აქტიურად ჩართეს აბრეშუმის წარმოებაში და შესაბამისად, თუთის ხის ტაქტიკური გამოყენება იმერეთის მაგალითზე ყველაზე იოლი შესასწავლია. სახელმწიფომ იმერეთი აბრეშუმის წარმოებაში ჩართო. ქუთაისში გაიხსნა აბრეშუმის ფაბრიკა. სოფლებთან ახლოს გახსნეს აბრეშუმის ჩაბარების პუნქტები. ჩასაბარებელი რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. შესაბამისად, იზრდებოდა ახალი ხეების მნიშვნელობაც. 1941 წელს მოსახლეობას და კოლმეურნეობებს ნორმებიც დაუწესეს, რამდენი ხე უნდა დაერგოთ.[20] 1941 წლის ნორმები ძალიან მაღალი იყო, შესაბამისად, რეკომენდაცია გაიცა, რომ საკარმიდამო ნაკვეთებზეც გაეშენებინათ თუთა (1941, 17, 10), მისი მოჭრა და ამოძირკვა კი აიკრძალა.[21]

თუთის ხეების დარგვით ეზოები სასარგებლო საქმიანობის სივრცედ იქცეოდა[22]. სხვადასხვა განკარგულების კომბინა-

---

[20] კანონთა და განკარგულებათა კრებული 1941, N17

[21] 1941 წლის 24 აპრილის დადგენილება 757 (მუხლი 18). ამავე დადგენილების 22-ე მუხლით მეაბრეშუმე კოლმეურნეები გათავისუფლდნენ კოლმეურნეობაში მუშაობის ვალდებულებისგან. წახალისების მექანიზმებიც შემუშავდა განსაკუთრებულად ბეჯითებისთვის, მაგრამ მოსახლეობის ნაწილს ეს პროდუქტიულობა არ ადარდებდა, რადგან შედეგებს საკუთარ ცხოვრებაზე დიდად ვერ გრძნობდნენ. მათ მხოლოდ ის ნაწილი სჭირდებოდათ ამ კანონებიდან, რომელიც თავისუფლებას და ცოტა უფრო მეტ მიწის ნაკვეთს მისცემდა საკუთარი მეურნეობისთვის.

[22] სახელმწიფო განსაზღვრავდა ხოლმე მიწის ნორმას სოფლად ცხოვრებისას. ადამიანები საქმიანობის მიხედვით იყოფოდნენ კატეგორიებად. სოფლის მაცხოვრებელს, რომელიც კოლმეურნეობაში იყო ჩართული, 0. 41 ჰა ეკუთვნოდა საკარმიდამო ნაკვეთად, ზოგზე ისევ ძველი წესი ვრცელდებოდა, ამიტომ იყო, რომ ეს ხალხი მუდმივად დგებოდა მიწის დაკარგვის საფრთხის წინაშე. თუ ქალაქში მუშაობდა, მოსა-

ციით, ამგვარი მიწა სოფლად კოლმეურნეობისთვის ხელშეუ-ხებელი ხდებოდა, ხოლო ქალაქში ადგილების მონიშვნის და შენარჩუნების ფუნქციით გამოიყენებოდა.[23]

მსახურე იყო, მაშინ 0.15. მიწის ნაკვეთს უნდა დასჯერებოდა. კოდექსი მუხლი 77, 1971, Nr. 7 (1971 წელს 0,25 წერია ახალი ნორმით). სოფელში მიწის ნაწილი ყოველთვის რჩებოდა დაუმუშავებელი, მაგრამ იქ დათესვა მაინც არ შეიძლებოდა ცალკეული ოჯახისთვის. „მოვიდოდნენ და მოგიჭრიდნენ ყანას", – მიყვება იმერეთის სოფლის მაცხოვრებელი. ამიტომ ნორმაზე მეტი მიწის შენარჩუნება თუ უნდოდათ, ფარულად რგავდნენ თუთის ხეებს ნაკვეთის ბოლოში. ამ ხის „თუთობა" (ის, რომ ეს ხე თუთა იყო) ქმნიდა მიწაზე ადამიანის უფლებას. ერთი მოხუცი ქალი ჰყვებოდა, ერთ დღესაც როგორ გაიგო, რომ მისი მიწის ნაწილი ზედმეტ მიწად ჩაითვალა. თუთის ამბავი გაახსენდა. ღამე გასულა და სულ ბოლო კუთხეში დაურგავს. მიწის ნაკვეთის ბოლოში დარგული თუთა ამ მიწას სასარგებლოდ ხდიდა. რადგან თუთა ამ მოხუცის დარგული იყო, სახელმწიფო ჩათვლიდა, რომ ის მიწას პროდუქტიულად იყენებდა, მოხუცის მიზანი კი საკუთარი სივრცის დაცვა იყო. ამ მიწაზე ის ბოსტნეული მოჰყავდა, რომელსაც მერე სხვა პროდუქტებში ცვლიდა ან მთელი წელი იყენებდა. თუთა ძელქვასავით უზარმაზარი არ იზრდება. შესაბამისად, იმ მიწის გამოყენება საკუთარი აგრარული პროდუქციისთვის იოლი იყო. ხეებისთვის, რომლებიც პროდუქტიულობისთვის იყო გამორჩეული, მოსახლეობა პროდუქტიულობის ქსელს (კანონებს, პროცედურებს) ააქტიურებდა. ხის გარდა სხვა მოკავშირეც სჭირდებოდათ. ესენი ძირითადად იყვნენ ლოკალური ავტორიტეტები, რომლებისთვისაც ლოკალური სოლიდარობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სადღაც შორს, მოსკოვში ან თუნდაც თბილისში შემუშავებული კანონები. ისინი ამოწმებდნენ ამგვარ ნაკვეთებს და „სუსტებს" მხარს უჭერდნენ. აბრეშუმის ნაწილი, ისევე როგორც ნაკვეთზე მოყვანილი პროდუქცია, სახელმწიფოს ეკუთვნოდა. „ეგენიც ჩვენებური იყვნენ, ყველა ან მეზობელი იყო, ან ნათესავი და ცოტას იბარებდნენ, სიმბოლურად". დანარჩენ მიწას კი საკუთარი მიზნებისთვის იყენებდნენ მაცხოვრებლები. ქსელის მონაწილეები არიან ბიუროკრატებიც, რომლებიც შემთხვევით ან დროებით ხდებიან სტრატეგიის გამტარებლები. მათაც აქვთ თავიანთი ფარული ტაქტიკები და „ექსპერტები" არიან კანონისთვის გვერდის ავლაში.

[23] „თუთის წესი" იმერეთის სოფლებში ბევრმა იცის. ზუსტ კანონს ვერც მიგითითებენ, მაგრამ მოგიყვებიან, ამას ყველა როგორ აკეთებდა. კვლევის პროცესში ნათელი გახდა, რა რთულია ამ პრაქტიკის მიღმა

თუთის ხეები თბილისში

თბილისში თუთის ხეების სიმრავლე მათი სხვადასხვა ფუნ-ქციით გამოყენების ისტორიას ინახავს. ვიცით, რომ საქა-რთველოში ბევრგან და მათ შორის, თბილისში და თბილისთან არსებულ მაშინდელ სოფლებში, თუთის ხეები აბრეშუმის ჭიის საკვებადაც სჭირდებოდათ. ეთნოგრაფიული ჩანაწერებიდან ვიცით, რომ აბრეშუმი მოჰყავდათ პირადი გამოყენებისთვის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (1930-იანი წლების ეთნოგრაფიული მასალები, ჯავახიშვილი 1989). აბრეშუმის მოყვანა მე-19 საუკუნეში პოპულარულ წარმოებად იქცა. აბრეშუმი იგზავნებოდა გამოფენებზე. მეაბრეშუმეობა და-საქმების საშუალებად იქცა (კალხიტაშვილი, 2023). მაგრამ მე-აბრეშუმეობა არ იყო თუთის ხეების ერთადერთი გამოყენება. თუთას შეუძლია „გაექცეს“ იმ ფუნქციას, რომელიც მას სახელ-მწიფომ მიანიჭა. მეაბრეშუმეობის სპეციალისტმა მიამბო, რომ თბილისში განსაკუთრებული ფოთლების მქონე თუთის ხეები ჰქონდათ და მოსახლეობა არაფრით არ აბარებდა: თქვენთვის აბრეშუმია მნიშვნელოვანი და ჩვენთვის – არაყიო

ზოგჯერ თუთები ადგილიდანაც „გაიქცევიან“: ისეთ ადგი-ლას შევხვდებით, სადაც მათ არავინ ელის. განსაკუთრებით ბევრი თუთის ხეა დიდუბის ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, ესენი მუშთაიდის ბაღიდან და აბრეშუმის მუზეუმის ეზოდან „გამოქცეული“ ხეებია (Dirker, and van der Kooy, 2019). მუ-შტაიდის ბაღი და ტერიტორია ახლანდელი აბრეშუმის მუ-ზეუმის ირგვლივ მე-19 საუკუნეში თუთის ხეების საცდელ ნაკვეთად ჩამოყალიბდა. ეს სივრცე კავკასიაში აბრეშუმის წარმოებისთვის დიდი მნიშვნელობის იყო (აბრეშუმის წარმო-ების დეტალური ისტორიისთვის იხ. კალხიტაშვილი, 2023). მუშტაიდის ირგვლივ მწვანე სივრცე თანდათან შევიწროვდა. ბაღი თავისი უნიკალური თუთის ხეებით და ძელქვით კი, ჯერ-ჯერობით ნაწილობრივ გადარჩა. სელექციონერების მიერ და-

---

საკანონმდებლო რეგულაციების გაშიფვრა.

სურათი 8. *თუთის ხე სოლოლაკში, ავტორის ფოტო 2023.*

რგული თუთის ხეები ბაღს გასცდნენ და ირგვლივ უბნებს მოედნენ. ის, რომ ეს ხეები გადარჩა და სხვები ნაკლებად, მოდის ხეების დაცვის რეგულაციებიდან და ადამიანების მცდელობიდან, ამ ხეების უფლებები შეახსენონ სახელმწიფოს.[24]

დღეს თუთის ხეები მთელ თბილისშია მოდებული: თუთის ნაყოფისგან ამზადებენ არაყს, ზოგჯერ მურაბასაც. თუთა ზაფხუ-

[24] თუთის ხეები აღარ იყო საჭირო პროდუქტიულობისთვის, მაგრამ მათი განსაკუთრებული სტატუსი აღარავის შეუცვლია (თუთის ხეების გაშენების დადგენილება 1936, 11. ხელმისაწვდომია: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/44329/1/Kanonta–Da–Gankargulebata–Krebuli–1936–N11.pdf). ეს დადგენილება აძლიერებდა თუთის ხის მქონეს, რადგან მასთან ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას გულისხმობდა(მუხლი 66. 3).

ლის საყვარელი ხილია და თითქმის ერთადერთია, რომელიც უფასოა და ყველასია, თუ ამ მაღალ ხეებს მისწვდა ადამიანი. ხანდახან შეიძლება თვალი მოჰკრათ, როგორ მიადგამენ კიბეს და კრეფენ. თუთა მძაფრ ემოციებს აღძრავს. ზოგი ამ ნაყოფის გამო ვერ იტანს. თუთის ხეები თავიანთი ტერიტორიულობის და კანონით მინიჭებული უფლებების გამო სადაც უნდათ, იქ ამოვლენ და მერე ან მისით უნდა დატკბნენ ან უნდა აიტანონ. ბევრი წუწუნებს, რომ ქუჩებს და მანქანებს სვრის. ზოგი კი პირიქით, იმედის თვალით უყურებს და თუთის ხეებს მრავალმხრივად კითხულობს. ზოგისთვის თუთის ხე სახლთან ინდექსია და სიძველეზე მიუთითებს, ზოგი კი ტერიტორიის შენარჩუნებისთვის იყენებს.

თუთა და თბილისური ეზოები

„ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი“
ანა კალანდაძე

მთაწმინდის ფერდზე აშენებულ მე-19 საუკუნის დასასრულის და მე-20 საუკუნის დასაწყისის სახლებთან თუთის ხეები პირდაპირ ეზოებს ემიჯნება. ეს სახლები და ხეები თითქოს ერთმანეთს ეკუთვნის. სახლთან დარგული თუთები ცალკე მოვლენაა თბილისში. ზოგადად, თბილისურ ეზოებში ხე არის ხოლმე ცენტრი, რომლის ირგვლივაც იკრიბებიან. ხე იწვევს ერთად ყოფნასაც და განხეთქილებასაც. ერთად ბერტყავენ, არაყს ხდიან, უყვართ ან სძულთ. ზოგჯერ ბებერი თუთები შემოიჭრებიან სახლში. მთაწმინდის ფერდზე ძველი თბილისური ეზოა. სახლის აშენების ზუსტი თარიღი არ იციან და უკვე გადაჭრილი თუთის ხის დახმარებით ცდილობენ დადგენას. იციან, რომ როცა პატრონმა ააშენა, სახლთან ახლოს დარგო თუთა. მარინა მიყვება: „აი, შეხედე, მოვიდა მერიიდან კომისია, გაზომეს და თქვეს, ეს თუთა სულ ცოტა 100 წლის იქნებაო. გამოდის, ეს სახლიც 100 წლისაა. აი, აქ არის, ეს ნაწილი დატოვეს“. გა-

დაჭრილ ხეს მაჩვენებს. ფესვიანად რომ ამოეღოთ, სახლსაც დაანგრევდა, ისეა უკვე სახლს შეზრდილი, ამიტომ დატოვეს. აბრასავითაა ამ სახლისთვის და მეზობლებს ეამაყებათ. თან უყვარდათ ეს თუთა, მაგრამ უკვე შენობას ანგრევდა. „არა, ამის მოჭრა როგორ შეიძლება?! მოვიდა კომისია, იმსჯელეს. სულ გადახრილი და გამოფუღუროებული იყო. მოჭრეს. სამაგიეროდ ეს ხე დაგვირგეს.“ თუთები 1975 წლის შემდეგ თბილისში აღარ აღუწერიათ, მაგრამ ამ ხეს ჯერ კიდევ იცავს კანონი და მაცხოვრებლები ვერ ჭრიან (ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ, მუხლი 5). მუნიციპალიტეტის სამსახური ცდილობს, ერთი დაცული ხე მეორე დაცული ხით ჩაანაცვლოს. ამ ახალი ხისგანაც ამავეს ელიან, თუ დასცალდა გაზრდა. ახალი ხე აკაკის ხეა. მისი მოჭრაც აკრძალულია. მთავარია, მისი მნიშვნელობა მეზობლებისთვის ცნობილი იყოს. სხვა შემთხვევაში, აკაკიც, თუთაც, ძელქვაც თბილისში სწრაფად ქრება. თუ არ არიან ადამიანები, რომლებიც მათ დაინახავენ და მათ მნიშვნელობას გააქტიურებენ, ეს ხეები შეუმჩნეველი დარჩება და მერე იოლად მოჭრიან.

2023 წლის გაზაფხულზე ანას ველაპარაკებოდი. ის თბილისში დეველოპერებისგან დიდი ტერიტორიის დაცვას ცდილობს. „ხეების დარგვის აქცია მექნება. თუთა უნდა დავრგოთ. აქ კი არა, თურმე საკუთარ ეზოშიც თუ დარგე, მაგის მოჭრის უფლება არ გქონია“. ყოველ ასეთ ხეს სჭირდება თავისი ანა, რომელიც ამ ხის უფლებაზე იყვირებს. იქ, სადაც ეს ხეები მფლობელს არ უნდოდა, ძელქვებიც და თუთის ხეებიც სრულიად გაიკაფა. ამისთვისაც არსებობს ბევრი ფარული ტაქტიკა: იქნება ეს ხეების გახმობა ნაგვის მიყრით თუ ცეცხლის წაკიდებით. დიღმის საცდელ ტერიტორიაზე, სადაც მეთუთეებმა უნიკალური ჯიშები გამოიყვანეს, თუთები ერთ დღეს გადაბელეს. გადაბელვისას ნამყენი ნაწილები მოაჭრეს და თუთა ასკილად იქცა. იმ ადგილას ახლა დიდი დასახლებაა და სახელში მასაც სიმწვანე აქვს. ხეები მოქმედებენ იმდენად, რამდენადაც ადამიანებს მათში მნიშვნელობების გაღვიძება შეუძლიათ.

საბჭოთა ინფრაპოლიტიკის გავლენა

რა იყო ის მიზანი, რისთვისაც ადამიანები ტაქტიკებს იყენებდნენ საბჭოთა საქართველოში? პირველი და მთავარი, ეს იყო დაპირისპირება სახელმწიფოსთან, რომელსაც მათთვის უცხო დღის წესრიგი ჰქონდა და ხშირად ჩაგრავდა. იმერეთის სოფლებში კონკრეტული მიზანი იყო საკუთარი მიწის შენარჩუნება. საბჭოთა პერიოდში საჯარო და კერძო ერთმანეთს დაუპირისპირდა, როგორც სუზან გალი აღნიშნავს (Gal 2002, 87), „ეს იყო დაპირისპირება „მათ“ და „ჩვენს“ შორის, სადაც „ჩვენ“ მსხვერპლია და „ისინი“ ხელისუფლების სათავეში მყოფები არიან“ .

მოსახლეობა თავსმოხვეული კოლექტივიზაციის და მონოკულტურების წინააღმდეგ ორივე კანონს თავისი მიზნებისთვის იყენებდა. ეს მათ აძლევდა შესაძლებლობას, საკუთარი პროდუქცია ეწარმოებინათ, რომელიც ან ოჯახის მრავალფეროვან საჭიროებებს ხმარდებოდა, ან კერძოდ იყიდებოდა. ამგვარი ეკონომიკა, რომელსაც ხშირად „second economy“ ან ჩრდილოვან ეკონომიკას უწოდებენ, გარკვეული ფორმით იყო ანტიპოლიტიკა, რაზეც S. Gal წერს: „public-inside-the-private as a significant dissident gesture and … antipolitics …. public spaces within the private households“ (Gal 89). ამგვარად ცდილობდნენ ერთი მხრივ არასასურველი შრომისგან თავის არიდებას, რაც „უცხო“ სახელმწიფო სტრატეგიების გათვალისწინებით მორალურად გამართლებულად ითვლებოდა, მეორე მხრივ, მონოკულტურების წარმოებისგან თავის დაღწევას. ამგვარი მიწის ნაკვეთები მულტიკულტურების წარმოებას ხდიდა შესაძლებელს, რითაც ოჯახების უზრუნველყოფაც შეეძლოთ, გაცვლა-გამოცვლაც და დამატებითი შემოსავლის მოპოვებაც.

სუსტი და ძლიერი არ არის მყარი კატეგორიები. ისინი ხშირად ცვლიან ადგილებს. მაკროდონეზე სუსტებად ქცეულები, ის ხალხი, ვინც მტრად მონიშნა სახელმწიფომ, მიკროდონეზე

სიძლიერეს ინარჩუნებდნენ.[25] მაკროდონეზე სახელმწიფო ტოტალურ და ძლიერ ძალად ჩამოყალიბდა, რომელიც ძალიან სწრაფად იქცა „სხვად“ და „უცხოდ“. ეს „უცხოობა“ კოლონიურობიდანაც მოდიოდა. ეს კანონები პრივატულს განსაკუთრებით ებრძოდა, იქნებოდა ეს სივრცე თუ აქტივობა. ამ დაპირისპირებაში გაჩნდა დამოკიდებულება, როცა განსხვავებული მორალური პრინციპებით და სამუშაოსადმი დამოკიდებულებით მოქმედებდნენ, თუ საქმე ეხებოდა იმას, რაც აღიქმებოდა, როგორც „მათი“ და სხვა პრინციპებით, თუკი ეს სამუშაო, სივრცე ან ურთიერთობები აღიქმებოდა როგორც სახელმწიფოსი და შესაბამისად, „სხვისი“ (Gal 2002). სახელმწიფოსთვის მიწის არდათმობა მორალურად გამართლებულ საქციელად ითვლებოდა, მორალურ ვალდებულებადაც კი. ისინი, ვინც „ჩვენის“ ნაწილი იყო, აქეთა მხარეს იდგა, მაკროდონეზე იჩაგრებოდა, მაგრამ ამავდროულად, მიკროდონეზე ძველი ელიტა ინარჩუნებდა გარკვეულ სიძლიერეს. მათ ფარული ტრანსკრიპტების გამოყენების ყველაზე დიდი რესურსი ჰქონდათ. სიმბოლური და სოციალური კაპიტალის გარდა, ხეებიც ეხმარებოდნენ სივრცის შენარჩუნებაში. ამ ხეების დახმარებით წინააღმდეგობა ლამის ერთადერთი იარაღი იყო იმ ჯგუფისთვის, რომელსაც ყველაფრის ჩამორთმევა ემუქრებოდა და ხშირად ოჯახის წევრების გადარჩენას ვერ ახერხებდა რეპრესიების დროს.

James C. Scott კარგად ხსნის, როგორ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ხალხის ყოფაში, მათ საცხოვრებელ სივრცეში, ტრადიციებში, ფოლკლორშიც კი არჩევანი, სახელმწიფო რაც შეიძლება შორს დაიჭიროს (“keeping state at arm’s length“, 2009, x). მცენარეები, ხეები, ამ მცდელობებში მოკავშირეები არიან და ფარულ ტაქტიკებში ეხმარებიან. ამგვარი წინააღმდეგობის აქტორები, ხშირად ქალები, უჩინარ პოლიტიკურ აქტორებად დარჩნენ, რადგან მათი სივრცე პირად სივრცედ აღიქმებოდა. სუზან გალი თვლის, რომ ამგვარმა გამოცდილებებმა,

[25] კულაკების განადგურებაზე 27. 12. 1929 იხ. Fitzpatrick, 1996.

საჯაროსა და კერძოს ფრაქტალურად დაყოფამ (როცა ერთი მეორის მცირე ასლია და ამგვარ წყობას ქმნის), შექმნა სოციალური ცვლილების მოდელი (Gal, 2002, 90).

რასაც დღეს ვხედავთ ქალაქის სივრცეში, საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული ფარული ტაქტიკების გაგრძელებაა. სახელმწიფო, რომელიც შეერწყა ბიზნესს, ახლაც უცხოდ აღიქმება. შესაბამისად, საჯარო სივრცეში ფარული შეჭრა და მისთვის ფუნქციის დაუკითხავად მინიჭება მორალურად გამართლებული ნაბიჯია იმ აქტორებისთვის, რომლებიც ღია წინააღმდეგობას არ აპირებენ.

დასკვნა

წინააღმდეგობის გაწევისას ხშირად წარსულ გამოცდილებას ესესხებიან და მოკავშირეებს ეძებენ, იქნება ეს ადამიანები, კანონები თუ გარემო. თუ წინააღმდეგობას როგორც თანაკვეთის, სხვადასხვა ნაწილის ერთად თავმოყრის ალაგად მოვიაზრებთ, მასში დროითი ფენების გარდა, ადამიანის და არა-ადამიანის ერთად მოქმედების, თანამზრახველობის უნარი შეგვიძლია ამოვიკითხოთ. ბუნების დაცვის ეპისტემური კულტურა და ხეების ცენტრალური მნიშვნელობა ადამიანების ყოფაში, ასევე ხეების უნარი, დაიკავონ ტერიტორია, გადაეჯაჭვა საბჭოთა საქართველოში ამოქმედებულ ბუნებისდაცვით კანონებს და თავსმოხვეულ ცხოვრების წესთან ფარული დაპირისპირების მოხერხებულ იარაღად იქცა. ნაშრომში განხილულია, როგორ გამოიყენებოდა და გამოიყენება ხეების დარგვის ან არსებული ხეების მნიშვნელობის გააქტიურების ტაქტიკა სივრცის შესანარჩუნებლად. ეს ტაქტიკა, რომელიც კერძო სივრცის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა პერიოდში, ახლა საჯარო სივრცის შესანარჩუნებლად გამოიყენება. წინააღმდეგობის წარსული გამოცდილება ახლა ურბანულ წინააღმდეგობას ასაზრდოებს.

თანამედროვე თბილისის უბნების და საბჭოთა პერიოდის იმერეთის სოფლის მაგალითი აჩვენებს, როგორ გადმოდის

წინააღმდეგობის ცოდნა დროსა და სივრცეში. კონკრეტული ადგილისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ხის და სხვადასხვა კანონის ტაქტიკური გამოყენებით მაცხოვრებლები ჩუმ წინააღმდეგობას ახერხებდნენ. მოქალაქეებმა იციან, რა და როგორ გააკეთონ, რომ ქალაქზე თავიანთი უფლება გამოიყენონ. იმ მაგალითებში, რომელსაც ეს სტატია ეყრდნობა, ხეები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. ისინი არ იყვნენ პასიურად გამოყენებული (იხ. ქსელურობა Latour 1999; Latour, Callon 1986). ხეების ინდექსურობის და ტერიტორიულობის ამოქმედება ადამიანების უნარია, რომლითაც ისინი ხეებს თანამზრახველებად აქცევენ.

ის, რაც ამ ნაშრომში მოყვანილ მაგალითებს ასევე აერთიანებს, არის სივრცეების შედარებითი პერიფერიულობა. პერიფერიულობა ხელს უწყობს ფარული ტაქტიკების წარმატებას. საბჭოთა საქართველოშიც ასეთი პრაქტიკები განსაკუთრებით განვითარდა ისეთ რეგიონებში, რომლებიც პერიფერიული აღმოჩნდა საბჭოთა მეურნეობისთვის. მაშინ, როცა ღვინო ან ჩაი საქართველოდან მთავარი ექსპორტი იყო, იგივე არ შეიძლება ითქვას სიმინდზე, რომელიც იმერეთს ხვდა წილად. სიმინდით ის ამარაგებდა საქართველოს, ამიტომ ლოკალურად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არა – სასიცოცხლოდ. ეს მხარე ასევე დარჩა ინფრასტრუქტურულად მოუწყობელი და სხვა მხარეებთან შედარებით, ღარიბი. საყოფაცხოვრებო პირობები არ გაუმჯობესდა. არ არსებობდა გაზი, წყალი (დღემდე არ არსებობს წყლის ინფრასტრუქტურა, გაზი კი მხოლოდ 2000-იან წლებში შეიყვანეს). ელექტროგანათებაც ძალიან გვიან შევიდა ამ მხარეში. სახელმწიფო არ ასრულებდა თავის დაპირებებს ამ რეგიონში. მხოლოდ პროდუქციის წაღებით იყო დაკავებული და შესაბამისად, უნდობლობაც დიდი იყო.[26]

[26] ფარული ხასიათის გამო ამგვარი წინააღმდეგობის ისტორია ხშირად დაფარული რჩება. საისტორიო ნაშრომების უმეტესობა სახელმწიფოს მიერ დადგენილ წესებს, მის პოლიტიკას განიხილავს და ყურადღების მიღმა რჩება, რა მრავალფეროვნად და ხშირად, სულ სხვა მიზნე-

თბილისშიც ამგვარი პრაქტიკები ასევე პერიფერიულია: მიწების გამწვანების და მათი საერთო სივრცედ შენარჩუნების მცდელობებიც ყველაზე ეფექტური თბილისის ისეთ რაიონებში აღმოჩნდა, რომლებიც ან მთებზეა განფენილი, ან თვალს არ ხვდება. ამგვარი ადგილები სარგებლობენ მოშორებულობის პრიორიტეტით. ასეთ პერიფერიულობას ფრაქტალურად უნდა შევხედოთ. პერიფერიულობების მთელი წყებაა (ფრაქტალური პერიფერიულობა): საქართველო საბჭოთა კავშირში პერიფერიულობით სარგებლობდა, შესაბამისად, მეტი თავისუფლება იყო, მეტი მიწა დარჩა ჩამოურთმეველი. საქართველოს შიგნით სოფლები სარგებლობდნენ პერიფერიულობით, თავიანთი ლოკალური ავტორიტეტები ჰყავდათ, რომლებიც იმავე საზოგადოების ნაწილი იყვნენ. სოფლებში მოშორებით მოსახლეები სარგებლობდნენ თავიანთი პერიფერიულობით და გაცილებით მეტი მიწა რჩებოდათ, ვიდრე ცენტრალურ სივრცეში მაცხოვრებლებს. იგივე ხდება ქალაქშიც ახლა.

ფარული წინააღმდეგობა ახლა სახელმწიფოს უპირისპირდება, რომელიც ბიზნესინტერესებს შეერწყა. ამ დაპირისპირებისას სუსტები სახელმწიფოს მიერ შექმნილ ინსტრუმენტს იყენებენ თავისი მიზნებისთვის. რამდენად შეუძლია ამგვარ წინააღმდეგობას სიტუაციის გამოსწორება? ერთ დღეს შეიძლება ეს ტაქტიკა თავდაყირა დადგეს, თუკი ის, რაც უძრავია, ამოძრავდება, ფესვებიანად ამოითხრება. ძირფესვიანად ამოთხრა აქ პირდაპირი მნიშვნელობითაც იგულისხმება. აღმოჩნდა, რომ ის, რაც ხეს მნიშვნელოვან სიმბოლოდ აქცევს

ბისთვის გამოიყენებოდა ეს კანონები. სტრატეგიაზე გაცილებით მეტი იწერება, ვიდრე ტაქტიკებზე და ეს მათი ფარული ბუნებიდანაც მოდის. იმ გზების ისტორიას, თუ როგორ შეძლეს ადამიანებმა წინააღმდეგობის გაწევა, მიუხედავად იმისა, რომ სისტემის ნაწილი დარჩნენ, ისტორიული მეცნიერება სტრატეგიების ისტორიას ამჯობინებს. ტაქტიკური ქმედების გამოცდილება, რომელიც ფარული ურჩობისთვის გამოიყენებოდა („the art of not being governed“ Scott 2009), დღემდე ბიძგს აძლევს მცდელობებს, თავსმოხვეულ დღის წესრიგს დაუპირისპირდნენ.

და მისი ქმედების უნარს განაპირობებს, დიდი ფულის და ძალაუფლების კომბინაციით თავდაყირა დგება. საქართველოში, სადაც ადგილის ასაკს და უწყვეტობას ხეებით ითვლიან, უცბად გაჩნდა მოცურავე ხეები. ასე მოხდა, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა თავისი დენდროლოგიური პარკის შექმნისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი ძველი ხეების შესყიდვა დაიწყო. ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორი სალომე ჯაში ჰყვება, თავბრუ როგორ დაეხვა, როცა პირველად ნახა, ხე როგორ მიჰქონდათ. მოყვარულთა მიერ გავრცელებულ კადრში კი ჩანს, ქალი პირჯვარს როგორ იწერს, მას შემდეგ რაც გაყიდული ხე დაიძვრება. მეორე ვიდეოში ვხედავთ, ხე მიაქვთ, ზღვაში უნდა შეცუროს, ნაპირზე კი სირბილით და პირჯვრის წერით მისდევენ ბავშვები. ეს თავგანწირული სირბილი და ლოცვა თითქოს ბოდიშია ხისთვის, რომლის უძრაობაც მისი ძირითადი თვისებაა. ხის ცურვა არსებული წესრიგის და დრო-ადგილის კავშირის რღვევად აღიქმება, რისი დაჯერებაც რთულია. ხის მოგზაურობის ერთ-ერთ პირველ კადრებს ზუსტად შეესაბამება ძველი სიმღერა „არ დაიჯერებ", რომელიც მის ცურვას ფონად გასდევს.[27]

ქართული მითოლოგიისთვის ხე ცენტრალურია. ის სამ სივრცეს კრავს: მიწისქვეშეთს, ამქვეყნიურობას და ზეცას. მისი მთავარი ნიშანი უძრაობაა. ხე ისე, როგორც თითქმის არაფერი სხვა, აერთიანებს ადგილს და დროს. უძრაობის გამო ის ადგილის დროდ იქცევა. ბოლო წლების საქართველოში ამ მითოლოგიურ წესრიგს დიდი ფული დაუპირისპირდა. ხის ამოძრავება კოსმოგონიური ძალის მისაკუთრებაა. დემიურგი ხდება ის, ვინც ფულის პატრონია. დიდი ფულის წყალობით ის ყიდულობს ოჯახებისგან ხეს, ანუ ღერძს, რომლითაც ითვლიდნენ თავიანთი არსებობის უწყვეტ ხაზს.[28] აქტივისტებს

[27] იხ. ვიდეო აქ: https://www.youtube.com/watch?v=YpOlDY7bxdI

[28] კანონები იცვლება ოლიგარქების ჩარევით. ჩნდება ჩანაწერი, რომ ნებადართულია ხის ბუნებიდან ამოღება „დენდროლოგიურ და ბოტანიკურ ბაღებსა და პარკებში გასაშენებლად" (Tsuladze 2020).

ამ ძალასთან დაპირისპირება მხოლოდ აქტიური პოლიტიკით მიაჩნიათ შესაძლებლად. ხეები კი ინფრაპოლიტიკიდან პოლიტიკის სარბიელზე გამოდიან. თუ ადრე ტოტალიტარულ სახელმწიფოს უპირისპირდებოდნენ, ახლა არასანდო სახელმწიფოს უპირისპირდებიან.

თბილისში ურბანულ საკითხებთან დაკავშირებით გაშლილმა საპროტესტო მოძრაობამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. საწყის პერიოდში მეტწილად ინდივიდუალური საპროტესტო აქციები თანდათან ორგანიზებულ ქმედებებში გადაიზარდა. ჩამოყალიბდა ჯგუფები, რომლებიც განსხვავებული დღის წესრიგით ცდილობდნენ ამა თუ იმ ტერიტორიის დაცვას და საკუთარი აზრის გამოხატვას (ბერიკიშვილი, სიჭინავა 2016). მწვანე აქტივიზმს აქვს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის პოტენციალი. აქტივისტები უარს ამბობენ გარკვეულ ტაქტიკებზე. ღიად უპირისპირდებიან პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს. აქტივისტები ფიქრობენ, რომ ფარული ტაქტიკა, რომელიც ეფექტურია გარკვეულ დონეზე, სიტუაციას ვერ შეცვლის. მოქალაქეები მათ კულისებში იყენებენ, ინფრაპოლიტიკას აგრძელებენ, თუმცა ამავდროულად მწვანე მოძრაობების პო-ლიტიკას ინსტრუმენტებს სთავაზობენ.

ფარული წინააღმდეგობით ნასაზრდოებ ტაქტიკებს ვხვდებით სხვადასხვა მწვანე ჯგუფის საქმიანობებში. ამაში შედის საჯარო სივრცეში ჩარევა, ხეების დარგვა, ხეების მკურნალობა და მათი გაძლიერება. თუმცა ისევე, როგორც სოფლიდან წამოსული ტაქტიკების ასლი არ იყო ურბანული ფარული ტაქტიკები, წინააღმდეგობის მოძრაობაში გადასული ფარული ტაქტიკებიც იცვლება. ინფრაპოლიტიკის პოლიტიკად ჩამოყალიბება ხდება ახალი აქტორების მიზანი. წინააღმდეგობის მოძრაობა იყენებს ხეების ტერიტორიულობას, მათზე პროეცირებულ აფექტებს, მაგრამ უარს ამბობს სხვადასხვა დომინანტურ ჯგუფთან თანამშრომლობაზე საკუთარი მიზნის მისაღწევად. მაგალითად, თუ ურბანულ სივრცეში გავ-

რცელებული პრაქტიკაა საჯარო სივრცის წმინდა სივრცედ მარკირება, ეკლესიას ამოფარება ამ სივრცის საჯაროობის შესანარჩუნებლად, მწვანე მოძრაობები უარს ამბობენ ამგვარ ალიანსზე. პარტიზანი მებაღეების ერთ-ერთი ლიდერი წერდა ფეისბუქზე 2021 წლის 24 მაისს:

„ვაკის პარკის ბრძოლაში, სასტუმროს გაკავებისას, შემოგვთავაზეს – ჯვარი დავარჭოთ, ხელს ვერავინ ახლებსო. ერთხმად შევთანხმდით, ბოროტების კვებით სპეკულაციაზე დაფუძნებული მოგება არ გვიღირდა და ისევ ჩვენ ვეფარებოდით ბულდოზერებს ჯვრების გარეშე“.

პარტიზანი მებაღეები 2013 წლიდან გამოჩნდნენ აქტიურად ასპარეზზე. ისინი იბრძვიან როგორც საჯარო სივრცის კორუფციული გასხვისების წინააღმდეგ, ისე მოქალაქეების უფლებებისთვის მწვანე სივრცეზე. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფია, რომელიც ჩუმ პროტესტს ნამდვილ ღია პროტესტად თარგმნის და მოძრაობის ჩამოყალიბებასაც ცდილობს. მოქალაქეები ხშირად პასიურ როლს ინარჩუნებენ და ფარულად მოქმედებენ. ხმამაღალი პროტესტი პარტიზან მებაღეებზე აქვთ დელეგირებული. როგორც კი ატყობენ სამეზობლოები, რომ მწვანე სივრცეს რამე ემუქრება, ურეკავენ პარტიზან მებაღეებს და ჩარევას სთხოვენ. თუ პასუხად მიიღებენ, რომ იმწუთას მათ ვერავინ დაეხმარება და თავად ჩაერიონ, საუბარი მთავრდება ხოლმე, რადგან მოქალაქეები ღია დაპირისპირებას გაურბიან (Florez, Guerzovich, Mills, and Tonn, 2018, 20).

კულისებში მოსახლეობა ისევ ფარული და მრავალფეროვანი ტაქტიკებით სარგებლობს და მათ შორისაა, პარტიზანების ამოქმედების ტაქტიკაც. პარტიზანული მებაღეობა არ წარმოადგენს ფარული ტაქტიკების ჩანაცვლებას. ისინი პოლიტიკას ეწევიან, მაგრამ ამავდროულად არიან ინფრაპოლიტიკისთვის ერთ-ერთი რგოლი, რომელსაც სუსტები ისევე იყენებენ, როგორც ჯაჭვის ყველა სხვა რგოლს. მწვანე მოძრაობები თვლიან, რომ საჯარო შეთანხმება, საჯარო დისკუსია და

საერთო აზრის ჩამოყალიბება სივრცეების მნიშვნელობაზე გადამწყვეტია. ახალი მედია, სოციალური ქსელები ახალი საჯარო სივრცე ხდება. ვიზუალური მედიის საშუალებით ხეებს კიდევ მეტი ძალა ეძლევათ, ისინი იმ სივრცეებსაც იპყრობენ, რომელიც მათთვის მიუწვდომელი იყო. ინფრაპოლიტიკა კი ფარულად აგრძელებს არსებობას, ამდიდრებს წინააღმდეგობის რეპერტუარს, რომელსაც მერე აქტიურ წინააღმდეგობად თარგმნიან სხვა ჯგუფები.

ძელქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, ავტორის ფოტო 2022.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიკიშვილი, ე. სიჭინავა, დ. 2016: თბილისის საქალაქო პროტესტის ტრანსფორმაცია: სპონტანური აქტივიზმიდან სოციალურ მოძრაობამდე. კრებულში: „ქალაქი ჩვენია! ურბანული პროტესტი და პოლიტიკა თბილისში“ ავტორები: დავით სიჭინავა, დავით ჭოღოლაშვილი, ნანო ზაზანაშვილი, ესმა ბერიკიშვილი, ლელა რეხვიაშვილი, ანა მარგველაშვილი. თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი Heinrich Böll Foundation, 29–50.
2. კალხიტაშვილი, თ. (2023). აბრეშუმის გრძელი გზა. თბილისის აბრეშუმის მუზეუმი.
3. ქიქოძე, ა. გოხელაშვილი, ა. რედ. 2007. საქართველოს დაცული ტერიტორიები. თბილისი
4. ჯავახიშვილი, ივ. (რედ.) (1989). მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის: ტომი 4. თბილისი: მეცნიერება.
5. Andrews, S. (1998). Trees of the Year. Past and Future. International Dendrology Society Year Book, 32–38.
6. Bakhtin, M. (1981). The Dialogic Imagination. Four Essays. Austin: University of Texas Press.
7. Bacova, A., Majzlanova, D., & Bergerova, K. (2019). Relation between Private and Public Spaces of Collective Housing at the Example of Bratislava and Tbilisi. IOP Conference Series. Materials Science and Engineering, 471 (7), 1-7.
8. Besky, S., & Padwe, J. (2016). Placing Plants in Territory. Environment and Society, 7 (1), 9–28.
9. Callon, M. (1986). Some Elements in the Sociology of Translation. Domestication of the Scallops and Fishermen of St. Brieuc Bay. In J. Law (Ed.), Power, Action, Belief (pp. 19–34). London: Routledge & Kegan Paul.
10. Chachava, M. (2020). Tbilisi Central Park Project – Call for More Green Space in the City. ISET Economist Blog. Link

11. Conterio, J. (2019). Curative Nature. Medical Foundations of Soviet Nature Protection, 1917–1941. Slavic Review, 78 (1), 23–49.
12. De Certeau, M. (1984). The Practice of Everyday Life. Berkeley: University of California Press.
13. Dirker, O., & Tabatadze, S. (2019). Grapes in Tbilisi. In D. Chigholashvili, N. Palavandishvili, & M. Splint (Eds.), Tbilisi. It's complicated (pp. xx–xx). Eindhoven: Onomatopee.
14. Dove, M. (2011). The Banana Tree at the Gate. A History of Marginal Peoples and Global Markets in Borneo. New Haven: Yale University Press.
15. Elton, S. (2021). Growing Methods. Developing a Methodology for Identifying Plant Agency and Vegetal Politics in the City. Environmental Humanities, 13 (1), 93–112.
16. Fitzpatrick, S. (1996). Stalin's Peasants. Resistance and Survival in the Russian Village after Collectivization. Oxford: Oxford University Press.
17. Florez, J., Guerzovich, F., Mills, L., & Tonn, J. (2018). From Grievance to Engagement – How People Decide to Act against Corruption. Global Integrity and Transparency International Report.
18. Gal, S. (2002). A Semiotics of the Public/Private Distinction. Differences. A Journal of Feminist Cultural Studies, 13 (1), 77–95.
19. Gillanders, R. (1998). Little Sparta. Portrait of a Garden. Edinburgh: National Galleries of Scotland.
20. Gurchiani, K. (2017). Georgia In-Between. Religion in Public Schools. Nationalities Papers, 45 (6), 1100–1117.
21. Haraway, D. (2016 [2003]). Das Manifest für Gefährten. Berlin: Merve.
22. Hartigan, J. Jr. (2017). Care of the Species. Races of Corn and the Science of Plant Biodiversity. Minneapolis: University of Minnesota Press.
23. Head, L., Atchison, J., Phillips, C., & Buckingham, K. (2014). Vegetal Politics. Belonging, Practices and Places. Social & Cultural Geography, 15 (8), 861–870.

24. Ingold, T. (2000). The Perception of the Environment. Essays on Livelihood, Dwelling, and Skill. London: Routledge.
25. Jones, O., & Cloke, P. (2008). Non-Human Agencies. Trees in Place and Time. In L. Malafouris & C. Knappett (Eds.), Material Agency. Towards a Non-Anthropocentric Approach (pp. 79–96). Boston: Springer.
26. Kvavadze, E. V., & Connor, S. E. (2005). Zelkova Carpinifolia (Pallas) K. Koch in Holocene Sediments of Georgia – an Indicator of Climatic Optima. Review of Palaeobotany and Palynology, 133 (1–2), 69–89.
27. Latour, B. (2007 [2005]). Eine neue Soziologie für eine neue Gesellschaft. Frankfurt a. M.: Suhrkamp.
28. Lefebvre, H. (2016 [1968]). Das Recht auf Stadt. Hamburg: Edition Nautilus.
29. Machavariani, M., & Sokhadze, N. (2020). Development of Community Forest Management in Georgia. Tiflis: Friedrich Ebert Stiftung.
30. Manning, P. (n.d.). Gardens Otherwise and Elsewhere. Unpublished Manuscript.
31. Meneley, A. (2011). Blood, Sweat and Tears in a Bottle of Palestinian Extra-Virgin Olive Oil. Food, Culture & Society, 14 (2), 275–292.
32. Nading, A. M. (2017). Local Biologies, Leaky Things, and the Chemical Infrastructure of Global Health. Medical Anthropology, 36 (2), 141–156.
33. Neves, K. (2009). Urban Botanical Gardens and the Aesthetics of Ecological Learning. Anthropologica, 51 (1), 145–157.
34. Patarkalashvili, T. K. (2017). Urban Forests and Green Spaces of Tbilisi and Ecological Problems of the City. Annals of Agrarian Science, 15 (2), 187–191.
35. Power, E. R. (2005). Human–Nature Relations in Suburban Gardens. Australian Geographer, 36 (1), 39–53.
36. Scott, J. C. (1990). Domination and the Arts of Resistance. Hidden Transcripts. New Haven: Yale University Press.
37. Scott, J. C. (1998). Seeing Like a State. How Certain

Schemes to Improve the Human Condition Have Failed. New Haven: Yale University Press.
38. Scott, J. C. (2009). The Art of Not Being Governed. An Anarchist History of Upland Southeast Asia. New Haven: Yale University Press.
39. Sheridan, M. (2016). Boundary Plants, the Social Production of Space, and Vegetative Agency in Agrarian Societies. Environment and Society, 7 (1), 29–49.
40. Sola-Morales Rubio, I. de. (1995). Terrain Vague. In C. C. Davidson (Ed.), Anyplace (pp. xx–xx). Cambridge: MIT Press.
41. Staddon, C. (2009). The Complicity of Trees. The Socionatural Field of/for Tree Theft in Bulgaria. Slavic Review, 68 (1), 70–94.
42. Tsuladze, L. (2021). A Monocrat's Hobby and its Power. On Shadow Politics in Georgia. Caucasus Survey, 9 (1), 42–59.
43. Van Assche, K., Hornidge, A.-K., Shtaltovna, A., & Boboyorov, H. (2013). Epistemic Cultures, Knowledge Cultures and the Transition of Agricultural Expertise. Rural Development in Tajikistan, Uzbekistan and Georgia. ZEF Working Paper Series, 118. Bonn: Zentrum für Entwicklungsforschung.

ია კუპატაძე

თბილისი და ღია ქალაქი – „ჰერმეტულად დალუქული“ საბჭოთა საცხოვრისი

განსაკუთრებული მადლობა
გ. ბიჭიაშვილს, ა. სიორიძესა და მის ოჯახს,
შენობის მაცხოვრებლებს, რომლებიც
სიამოვნებით დაგვთანხმდნენ გასაუბრებაზე

1. ფოტო აღებულია კრებულში „სსრკ-ს არქიტექტურა“ გამოქვეყნებული სტატიიდან (Буканов Г. 1981, გვ.54).

ქალაქი, მისი ფიზიკური ფორმები და სოციალური ურთიერთობები ქმნიან სტრუქტურას – სისტემას, რომელიც მის მაცხოვრებლებს ემსახურება. ეს ის ადგილია, რომელიც ხალხს ფორმალური და არაფორმალური სივრცეების შექმნის, მათი

კრებულის ეს თავი წარმოადგენს სტატიის Kupatadze I. Tbilisi and the Open City. ‘A Hermetically Sealed’ Soviet Dwelling. Collection of articles what do we have in common. Tbilisi Architectural Biennial, 2020 ვერსიას. ია კუპატაძე მადლობას უხდის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ჯგუფს გამოქვეყნებული სტატიის ქართულად თარგმნისთვის და ხელახლა გამოქვეყნების უფლებისთვის.

შემდგომი ადაპტირებისა და მაცხოვრებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად ხელახალი განვითარების შესაძლებლობას აძლევს. ის შეიძლება „სოციალური პროცესის“ იმგვარ ნაწილად მოვიხსენიოთ (Tonkiss 2013, გვ. 1), რომელშიც „წარსულს, აწმყოსა და შესაძლებელს შორის“ არსებული ურთიერთობის გაყოფა შეუძლებელია (Lefebvre 1996, გვ. 148).

ქალაქები შეიძლება დახურულ ან ღია სისტემებს წარმოადგენდნენ. დახურული ქალაქის სისტემაში ადამიანებს ცვლილებების ინიციირება არ შეუძლიათ, რადგან ისინი ზემოდან ქვემოთ მიმართული იერარქიის პრინციპით მოქმედებენ და მათი დაგეგმვა ხელისუფლებისა და პროფესიონალების მიერ წინასწარ ხდება. დახურული ქალაქის სისტემა სტანდარტიზებულია, რეგულირებული და ისეთ ზონებად დაყოფილი, სადაც „ყველაფერი თავის ადგილსაა მორგებული“. აქ მოქმედი პრინციპის თანახმად სისუფთავეს, უსაფრთხოებასა და ეფექტურობას დაგეგმვა უზრუნველყოფს. ღია ქალაქის სისტემა ქალაქის დაგეგმარების ქვემოდან ზემოთ მიმართულ მიდგომას ითვალისწინებს. მის შემთხვევაში ადამიანებს ქალაქის ფორმირების პროცესებში აქტიური ჩარევით შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ჯეინ ჯეიკობსის აზრით, ღია ქალაქის სისტემებს მრავალფეროვნება და სიმჭიდროვე, სხვადასხვა ადამიანის ერთმანეთთან ურთიერთობა, ქუჩის ცხოვრება, მოქალაქეების ცხოვრების სტილი და ცვლილებები ქმნიან (Jacobs 2016). ამერიკელი სოციოლოგი, რიჩარდ სენეტი ამ ორ სისტემას შორის პარალელს ავლებს. ის დახურულ სისტემას „ჰარმონიული წონასწორობის“, ღია სისტემას კი „არასტაბილური ევოლუციის“ სახით აღწერს და მიაჩნია, რომ დახურულმა სისტემამ ურბანიზმის პარალიზება მოახდინა მაშინ, როცა ღია სისტემამ შესაძლოა, მისი გათავისუფლება შეძლოს (Sennett 2010, გვ. 261). ღია ქალაქის სისტემა, რომელიც მეტ გაურკვევლობასთან, ქაოსთან და თავისუფლებასთან ასოცირდება, შეუძლებელია იმ წესების „გამოყენებით შეიქმნას“ (Christiaanse 2009, გვ. 36), რომლებიც რომელიმე ადგილის სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად გამოიყენება (Eisinger 2009, გვ. 49). ეს ის პროცე-

სია, რომელიც მაცხოვრებლებთან ერთად უნდა განვითარდეს. რ. სენეტი დახურულ სისტემას, როგორც „ზედმეტად განსაზღვრულ, გაწონასწორებულ, ინტეგრირებულ, სწორხაზოვან მიდგომაზე დაფუძნებულს“, ისე აღწერს, ღია სისტემას კი „არასრულყოფილ, მცდარ, კონფლიქტურ, არასწორხაზოვან პრინციპზე დამყარებულად“ მიიჩნევს (Sennett 2017, გვ. 14).

„საბჭოთა ცხოვრებაში ქალაქები მთავარ როლს „ასრულებ(დნ)ენ“ (Morton & Stuart 1984, გვ. X) და მათი ფიზიკური მახასიათებლები იდეოლოგიურად კომუნისტურ დოქტრინასთან უნდა ყოფილიყვნენ შეხამებული. საბჭოთა ქალაქები თითქმის ყოველთვის ჰერმეტულად დახურულ სისტემებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი საკუთარი ეროვნული და/ან რეგიონული ისტორიის მქონე მრავალ ავტონომიურ რესპუბლიკას აერთიანებდა, ქალაქების დაგეგმარებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს მოსკოვში მყოფი ხელისუფლება იღებდა. ის სტანდარტიზებულ, შეზღუდულ დოქტრინებს იყენებდა და არ ითვალისწინებდა იმ კონკრეტული საზოგადოებისა და კულტურის სპეციფიკას, სადაც ქალაქი უნდა განვითარებულიყო. ისინი თხუთმეტ სხვადასხვა რესპუბლიკაში, განსხვავებულ კულტურულ და გეოგრაფიულ პირობებში მცხოვრებ ადამიანებს არასდროს აძლევდნენ ქალაქის ან უბნის ფორმირების პროცესში მონაწილეობის უფლებას, რაიმე ცვლილების წამოწყების, ქალაქში ან თუნდაც, პატარა სამეზობლოში ფორმალური ან არაფორმალური გარემოს შექმნის საშუალებას. ეს პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესი იყო (Dehaan 2013, გვ. 11), სადაც მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრებისა და სოციალური სტრუქტურების მხარდამჭერი ერთეულების ნაცვლად, ქალაქები პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის ველებად იყო ქცეული. ისინი არასოდეს განიხილებოდნენ იმ „ელემენტების ერთობლიობად, რომლებიც თანამშრომლობის ან როგორღაც ერთად მუშაობის კონკრეტულ სისტემებს ქმნიდნენ“ (Alexander, 1965, გვ. 2). საბჭოთა ხელისუფლება სრულიად უარყოფდა ქალაქების ბუნებრივი ფორმირების პროცესს და ამის ნაცვლად სტრუქ-

ტურირებულ, დაგეგმილ, ფუნქციების მიხედვით დაყოფილ და ორგანიზებულ განვითარებაზე ახდენდა ყურადღების კონცენტრირებას. ქალაქების დამგეგმარებლებსა და არქიტექტორებს არ ჰქონდათ შეთავაზებების ან შესწორებების გაკეთების უფლება. ისინი მხოლოდ „იდეოლოგიური დისკურსის მედიატორებად“ მოიაზრებოდნენ (Dehaan 2013, გვ. 12). საცხოვრებელი სახლები სტანდარტიზებულ იდეოლოგიურ ობიექტებს წარმოადგენდა, „რომლებსაც ახალი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბება“ უნდა მოეხდინა (Хазанов, 1980, გვ. 27).

დახურული ქალაქის სისტემასა და საბჭოთა ქალაქის დაგეგმარების მახასიათებლებს შორის პარალელის გასავლებად მსურს, ერთი ისეთი კონკრეტული საცხოვრებელი სახლის ანალიზი შემოგთავაზოთ, სადაც არქიტექტურა და შენობის მდებარეობა ურბანული გარემოს ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ერთეულის ურბანული ფორმა კარგად აღწერს საბჭოთა იდეოლოგიის კომუნისტური დოქტრინის გავლენას. შენობის, მისი არქიტექტურისა და ურბანულობის შესწავლით მე იმ მიზეზებს ვიკვლევ, თუ რატომ არის ეს დიდი ღია სივრცის მქონე უნიკალური არქიტექტურული ფორმა და ურბანული სტრუქტურა საზოგადოების წვდომის გარეშე დარჩენილი; რატომ არ შეიცვალა და განვითარდა ფორმა (არქიტექტურა) ან მისი მიმდებარე ტერიტორია დროთა განმავლობაში; რატომ განაგრძო ბოლო ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების გამო რადიკალურად სახეცვლილი ქალაქის ცენტრში მდებარე სტრუქტურამ „ჰერმეტულად დალუქულ“ მდგომარეობაში არსებობა?..

ვაკის ტერიტორია თბილისის ერთ-ერთი მთავარ და საყვარელ ადგილს წარმოადგენს. 1934 წელს შემუშავებული პირველი გენერალური გეგმის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ეს რაიონი ძირითადად საგანმანათლებლო და კვლევითი შენობებისთვის დაეთმო (Квирквелия, 1985,გვ. 240). ქალაქის დაგეგმარების საბჭოთა იდეოლოგია „მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან სამუშაოს, განათლებას, სახლსა და

დასვენებას“ (Sennett, 2018, გვ. 85). ფიქრობდნენ, რომ ურბანული მომსახურების ხარისხი და რაოდენობა (მაგ. სამსახურთან ახლოს მდებარე საცხოვრებელი) საბჭოთა ხალხის პროდუქტიულობას გაზრდიდა (Morton & Stuart, 1984, გვ. X). ამ წესების დაცვით, პროფესორებმა, მკვლევრებმა და სტუდენტებმა ბინები ვაკისა და საბურთალოს რაიონებში მიიღეს. ეს ადგილები თანდათანობით საბჭოთა „ინტელიგენციის“, ანუ უმაღლესი განათლების მქონე, ინტელექტუალური შრომით დაკავებული ადამიანების საცხოვრისად იქცა. ამ რაიონებმა მალევე მიიზიდა კომუნისტური პარტიის ისეთი მაღალი რანგის წევრები, მთავრობის წარმომადგენლები, მხატვრები და არქიტექტორები, რომლებიც „ხშირად დაწესებულ ნორმაზე უკეთეს საცხოვრებელ პირობებს იღებდნენ“ (Bater, 1980, გვ. 98).

საცხოვრებელი ერთეული, რომელსაც აქ განვიხილავ, ჭავჭავაძის გამზირზე, ვაკის ტერიტორიაზე მდებარეობს. საბჭოთა ხელისუფლებამ არ იცოდა, ამ ადგილას რა აეშენებინა. სამეზობლოში უკვე იდგა ორი მაღალსართულიანი შენობა, ამ კონკრეტულ მონაკვეთზე კი რამდენიმე ერთოჯახიანი სახლი მდებარეობდა, რომელიც იმ დროს იქ უადგილოდ გამოიყურებოდა. საჭირო იყო საბჭოთა ქალაქის დაგეგმარებისთვის უფრო ტიპური რაიმე ახალი შენობის აგება.

2. ხედი ენგურის კაშხლის სახლის აშენებამდე.
ანატოლი რუხაძის ფოტო (1974).

ჩვეულებრივ, ამ პერიოდში „საბინაო დეფიციტის შემსუბუქების მიზნით, მშენებლობისა და დაგეგმვის ჩვეულებრივი ტექნიკა და ტრადიციული მეთოდები“ (Engel, 2019) ლოზუნგის – უკეთესი, უფრო სწრაფი და იაფი“ სასარგებლოდ იყო ხოლმე უარყოფილი. საბჭოთა ხელისუფლებისთვის ფულის დაზოგვის მიზნით მნიშვნელოვანი იყო დეკორატიული ელემენტებისგან თავისუფალი, წინასწარ მომზადებული ერთეულებისგან შემდგარი ტიპური პროექტის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (Engel, 2019, გვ. 26). გარდა ამისა, იდეოლოგიამ თანასწორობის სახელით ურბანული ანსამბლის შემადგენელი სტანდარტული შენობების ხათრით, ინდივიდუალიზმზე უარის თქმა გადაწყვიტა (Engel, 2019, გვ. 32).

მოულოდნელობა და ნორმიდან გადახვევა აღმოჩნდა ფაქტი, რომ ნიჭიერ და გონებაგახსნილ ახალგაზრდა არქიტექტორ გარი ბიჭიაშვილს ამ ტერიტორიისთვის საცხოვრებელი ერთეულის დაპროექტება სთხოვეს. შენობა მათთვის იყო განკუთვნილი, ვინც სხვა მონუმენტური საბჭოთა პროექტის – მდინარე ენგურზე მდებარე ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის მშენებლობაში მონაწილეობდა. პროექტს მოგვიანებით ენგურის კაშხალი დაერქვა.

იდენტური ტიპოლოგიის, იაფი სამშენებლო გადაწყვეტისა და მოკლე სამშენებლო დროის მქონე განმეორებადი, მონოტონური და მონოფუნქციური საბჭოთა საცხოვრებელი ბლოკის ნაცვლად, ლე კორბუზიეს ახალი არქიტექტურის ხუთი პუნქტის მიდგომის გავლენის ქვეშ მყოფმა არქიტექტორმა, მონუმენტური ბადისებრი რკინა-ბეტონის სვეტების სტრუქტურისა და სართულების თავისუფალი გეგმის გამოყენებით, მზიდი კედლების გარეშე და ჰორიზონტალური ხაზოვნებით დაპროექტებული შენობის აგება განიზრახა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მშენებელ კოკა (კონსტანტინე) მესხთან ერთად, გარი ბიჭიაშვილმა ახალი, მანამდე არნახული, საინტერესო და ინოვაციური ფორმა შემოგვთავაზა, რომელიც საბჭოთა საბინაო პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა.

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტი მოსკოვიდან იმართებოდა, ატიპიური პროექტის, მშენებლობის ხარჯების, ინდივიდუალური დიზაინისა და შენობის მონუმენტურობის დამტკიცებას უმაღლესი დონის სახელისუფლებო წრეებში განხილვა დასჭირდა. მშენებლობის ხარჯები სპეციალურმა გუნდმა გამოითვალა და ანგარიში პოლიტბიუროს წარუდგინა[1]. კომიტეტმა მშენებლობის მაღალი ღირებულების გამო პროექტში ცვლილებების შეტანა მოითხოვა, მაგრამ არქიტექტორი თავის აზრზე რჩებოდა, რომ შენობა სწორედ შეთავაზებული ფორმით უნდა აშენებულიყო.

მოსკოვში გამართული რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრის შემდეგ შეთავაზება დაამტკიცეს. სავარაუდოდ, ეს იმიტომ მოხდა, რომ საბჭოთა ლიდერებისთვის ენგურის კაშხლის მშენებლობა უაღრესად მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენდა ან შესაძლოა, მათ სურდათ, საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანები გამოჩენილიყვნენ და ეთქვათ, რომ საბჭოთა სოციალისტური სისტემა კაპიტალისტურის მსგავსად, ინოვაციური იყო. ასე თუ ისე, არქიტექტორს არატიპური საცხოვრებელი კორპუსის აშენების პრივილეგია ხვდა წილად. ენგურის კაშხლის მშენებელ მუშებს კი პრესტიჟულ ადგილას, ქალაქის ცენტრში არაჩვეულებრივი ბინების მიღების შესაძლებლობა მიეცათ.

სტატიაში, რომელიც კრებულში „სსრკ-ს არქიტექტურა“ (1981) გამოქვეყნდა, ბუკანოვი კავკასიის რეგიონში შექმნილ რამდენიმე უჩვეულო პროექტს ახსენებს. ერთ-ერთი მათგანი სწორედ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სახლია. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველმა არქიტექტორმა პროექტის განხორციელებისას ქალაქის მკაცრი რელიეფი გაითვალისწინა, მისი ტერიტორია ეფექტურად გამოიყენა და ერთეულის მშენებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას საინტერესო არქიტექტურული ელემენტებით იხელმძღვანელა (Буканов Г. 1981, გვ. 54).

---

[1] ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქმედი პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი კომიტეტი. შეიქმნა 1917 წელს.

საცხოვრებელი სახლი ცალკე დგას და მას გამზირისგან 16-მეტრიანი სიგანის ზოლი აშორებს. ბოლო სართულზე ილუმინატორის ტიპის ფანჯრებიანი შენობა თითქოს წყალზე მიცურავს და ჭავჭავაძის გამზირს სამი ვიწრო საფეხმავლო ხიდით უკავშირდება. მას ნულოვან სართულზე და გამზირიდან შესასვლელ დონეზე ოთხი დახურული შესასვლელი აქვს[2]. პირველ სართულზე საცხოვრებელი კორპუსის ინდივიდუალური სათავსები და ავტოფარეხებია განლაგებული; მეორე სართული ვაკის ტერიტორიის სატელეფონო მომსახურების კომპანიას ეკავა[3], მის გვერდით კი იმავე სართულზე სახლის მაცხოვრებლების მიერ განსაკუთრებული შემთხვევების აღსანიშნავი კომუნალური სივრცე ფუნქციონირებდა. დღე-სდღეობით, ამ სივრცის ნაწილით მოსახლეობა სარგებლობს, ნაწილი კი გასაქირავებლად გამოიყენება. გამზირიდან შესასვლელი დონე ღია სივრცეა, რომლით სარგებლობა არა მარტო კორპუსის მოსახლეობას, არამედ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. სივრცეს ლიფტისა და კიბეებისათვის მხოლოდ ოთხი დახურული შესასვლელი აქვს; შემდეგი სართულია ტექნიკური დონე, სადაც შენობის ყველა სისტემაა თავმოყრილი. სტანდარტულზე დიდი ზომის ბინები[4] (განლაგებულია ტექნიკური დონის მომდევნო რვა სართულზე) აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან სამი მეტრის სიღრმის აივნებითაა გარშემორტყმული. მეცხრე დონე განკუთვნილი იყო ხელოვანთა სახელოსნოებისა და სარეცხის საშრობებისათვის. ხელოვანთა

---

[2] ნულოვან და გამზირის დონეებს შორის განსხვავება 10 მეტრია.

[3] ინტერვიუ მშენებლობის პროცესის ხელმძღვანელთან ალბერტ სიორიძესთან (ჩაწერილია 2020 წლის აგვისტოში).

[4] საბჭოთა პერიოდში ხრუშჩოვის მიერ შეთავაზებული გამოსავალი სტანდარტული ზომის ბინის მქონე იმდენი სახლის აშენებაში მდგომარეობდა, რამდენიც შესაძლებელი იქნებოდა. უჩვეულო ზომის საცხოვრებელი ერთეულის ასაშენებლად პროექტი დასამტკიცებლად მოსკოვში მყოფ მმართველ ორგანოებს უნდა გადასცემოდა. ნებართვის მიღება ძალიან რთული პროცესი იყო. როგორც ინტერვიუში საცხოვრებელი ერთეულის არქიტექტორმა აღნიშნა, მან 48 კვადრატული მეტრის ბინის მაგივრად, პროექტში 104 კვადრატულმეტრიანი ბინა შეიტანა.

თხოვნისა და სავარაუდოდ, მნიშვნელოვან ახლობელთან განხორციელებული ზარის შედეგად, საშრობი ოთახები გარდაიქმნა და პრივილეგირებულ ან ყველაზე ცნობილ მხატვრებს გადაეცა. დღესაც კი, შენობა განთქმულია დიდი სახელოსნოებით, რომლებსაც ცნობილი ქართველი ხელოვანები სამუშაო და ზოგჯერ, საცხოვრებელ ფართობად იყენებენ.



3. ფოტო აღებულია კრებულში „სსრკ-ს არქიტექტურა“ გამოქვეყნებული სტატიიდან (Буканов Г. 1981, გვ.55).

რეკრეაციული ზონის შესაქმნელად, რომელიც იმ დროისთვის საბჭოთა დამგეგმარებელთათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა (Mumford 2009, გვ. 244), მიწა გაათანაბრეს (დამატებითი მიწა მოიტანეს) და ტერიტორია დიდი ეზოს მოსაწყობად მოამზადეს. შეიქმნა 5 მ სიმაღლისა და 5 მ სიგანის შემოღობილი ტერიტორია. რეკრეაციული ზონა აერთიანებდა ფეხბურთისა და კალათბურთის სტადიონებს, ჩოგბურთის მოედანს, რომელსაც გარს ერტყა ველოსიპედის ბილიკი – იმ დროს უჩვეულო ელემენტი. ასევე დაიგეგმა მწვანე სივრცეები ბავშვებისთვის და მშვიდი ადგილები ხანდაზმულთათვის.

როგორც ინტერვიუში[5] თავად არქიტექტორი აღნიშნავს: ა) მას მთავარი გამზირისგან მოშორებით მდებარე ისეთი საცხო-

[5] ავტორმა ინტერვიუ 2020 წლის 12 ივნისს ჩაატარა.

ვრებელი ერთეულის შექმნა სურდა, რომელიც მთავარ ქუჩას არ გადატვირთავდა და მდინარის კალაპოტიდან მომდინარე სუფთა ჰაერს როგორც მაცხოვრებლებს, ისე გამზირსაც მიაწვდიდა. ამის პარალელურად, შესასვლელი დონის აწევითა და გახსნით, შენობის მთავარი გამზირისგან მოშორებით განლაგებით, მან ქუჩის სტრუქტურის შემსუბუქება და გათავისუფლება სცადა, რადგან გამზირზე ორი მაღალსართულიანი შენობა უკვე იდგა. მას დიდი, ღია ზედაპირის მქონე მცურავი შენობის შთაბეჭდილების შექმნა და ამავე დროს, მაცხოვრებელთათვის ღია სივრცის შეთავაზება უნდოდა; ბ) არქიტექტორი ისეთი საცხოვრებელი ერთეულის შექმნას ცდილობდა, რომელიც ურბანულ სტრუქტურას არ შეერწყმებოდა და იზოლირებულ საცხოვრებელ კუნძულად, მთავარი გამზირისგან სივრცით, სოციალურად და ფუნქციურად ჩამოშორებულ ურბანულ ანკლავად ჩამოყალიბდებოდა. მისი ხედვის თანახმად, პრივილეგირებული ადამიანებისთვის უნდა შექნილიყო მცირე სამეზობლო, მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტური იდეოლოგია მოსახლეობის კლასობრივი დაყოფისა და საცხოვრებლის გადანაწილების (ქალაქის სწორხაზოვან დაგეგმვის სისტემაზე დაყრდნობით ურბანული არეალების ზონებად სოციალური ფრაგმენტაცია) წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ პერიოდში საბჭოთა რეჟიმის ეს მიდგომა უაღრესად გავრცელებული გახლდათ. კლასობრივი სტრატიფიკაცია სოციალურმა ჩაანაცვლა, რადგან მსგავსი პროფესიისა და სამუშაო ადგილის მქონე ადამიანები ერთ ერთეულად განიხილებოდნენ და მათი დაჯგუფება საცხოვრებლის საშუალებით ხდებოდა.

არქიტექტორმა, ნაწილობრივ საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიისა და მის გამო შექმნილი რთული მდგომარეობის გათვალისწინებით, განზრახ შექმნა მთავარ გამზირზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსი შეზღუდული შესასვლელით. მან ხაზი გაუსვა იდეას, რომ ეს სივრცე ექსკლუზიურად ეკუთვნოდა ადამიანების გარკვეულ ჯგუფს და მისი გამოყენების პრივილეგიაც მხოლოდ მას ჰქონდა.

ამ ორი ძირითადი ელემენტის (იზოლაცია და სუფთა ჰაერის ჩახშობა) გათვალისწინებით, მან კონკრეტულ საზოგადოებას საინტერესო ხედებით, ბუნებრივი გაგრილებისა და ხმის იზოლაციის სისტემებით, კომუნალური დახურული და ღია სივრცეებით, რეკრეაციული ადგილებით მდიდარი კომფორტის ზონა შეუქმნა, რომელიც საბჭოთა პერიოდში მთავარი გამზირისგან გამიზნულად მოწყვეტილ სტრუქტურასა და უნიკალურ ფეშენებელურ საცხოვრებელ შენობას წარმოადგენდა.

საბჭოთა ხელისუფლება ამ უნიკალური შენობის აგების ნებართვის გაცემით პრაქტიკულად, კლასობრივ დაყოფაზე დაფუძნებულ იდეოლოგიას დაემორჩილა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყო სივრცის მხოლოდ პრივილეგირებული ადამიანების ჯგუფისთვის გამოყოფა. ამით მან განამტკიცა სხვადასხვა ჯგუფს შორის სეგრეგაცია და კლასობრივი ბარიერების შექმნა. ღია და დახურული ქალაქების სისტემების ბარიერებთან დაკავშირებით რ. სენეტი ვარაუდობს, რომ მათი აღმართვისას „ღიაობის მისაღწევად, ისინი ფოროვანი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა შეინარჩუნონ ხელმისაწვდომობა, მიგვიზიდონ და გვითხრან, რომ ეს სივრცე ჩვენთვისაცაა. შესაძლებელი უნდა იყოს შიდა და გარე სივრცეებს შორის განსხვავების გარღვევა, რისთვისაც მათი არაერთგვაროვანი ხასიათი უნდა შენარჩუნდეს“ (Sennett, Burdett, Sassen, Clos, & UNHabitat 2018, გვ. 72). ჩვენ მიერ განხილულ კომპლექსში მიზანმიმართულად შექმნილმა იზოლირებულმა კუნძულმა და მასთან დამაკავშირებელმა სამმა ხიდმა ჩამოაყალიბა ბარიერი, რომლის გადალახვის უფლებაც ღია სივრცითა თუ ხედებით სარგებლობასა და მდინარის კალაპოტიდან მომდინარე სუფთა ჰაერით სუნთქვასთან ერთად, ფართო საზოგადოებას არ ჰქონდა. შედეგად, ახალი საცხოვრებელი ერთეული სეგრეგირებულ და იზოლირებულ, ძალიან ლამაზი საზოგადოებრივი სივრცის მქონე პატარა სამეზობლოდ ჩამოყალიბდა, რომელსაც სოციალურ და ქალაქის დაგეგმარების ცვლილებებთან ერთად თანდათან შეცვლისა თუ განვითარე-

ბის შესაძლებლობა არ ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ ნულოვან დონეზე არსებული ღია სივრცე მნახველებს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ეპატიჟებოდა, თუმცა ადგილმდებარეობა, ხიდები და ზოგადი ატმოსფერო მსგავსი გახსნილობის შთაბეჭდილებას არასდროს ტოვებდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ფოროვანება“ სრულიად უგულებელყოფილი იყო. ადამიანებისთვის რომ გეკითხათ, ამ სივრცეში ოდესმე ნამყოფები იყვნენ თუ არა, გეტყოდნენ, რომ „არასდროს“, რადგან ის სხვისი ტერიტორიის შთაბეჭდილებას ტოვებდა. შენობა მჭიდროდ დასახლებულ გარემოში განცალკევებით დგას და მიმდებარე შენობებთან შედარებით, „აუტსაიდერის“ შთაბეჭდილებას ტოვებს.

4. ენგურის კაშხლის სახლი, 2020 (ავტორის ფოტო).

აშკარაა, რომ საბჭოთა ქალაქების წინასწარ განსაზღვრული, ზემოდან ქვემოთ მიმართული იერარქიის პრინციპზე დაფუძნებული და დანაწევრებული სისტემა ძალიან ბევრი ნაკლის მატარებელი იყო. ის სრულიად დახურულ სისტემას წარმოადგენდა, სადაც ხალხს არაფერი ეთქმოდა. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მდგომარეობა უარესია, რადგან ქალაქი არც დახურულ და არც ღია სისტემას არ ექვემდებარება: მოსახლეობას არასოდეს მიუღია უფლება, თავად გადა-

წყვიტოს, ქალაქი როგორ მოაწყოს. როგორც ჩანს, გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რა და როგორ უნდა აშენდეს, კერძო კომპანიები (არქიტექტორებისა და ქალაქის დამგეგმარებლების ნაცვლად) იღებენ. ქალაქი რადიკალურად შეცვალა „მეგაპროექტებმა“, რომლებიც ბიზნესებისთვის და მათ მიერ ხორციელდება, თანაც მშენებლობების პარალელურად მიმდებარე ტერიტორიების მისაკუთრებასა და ქალაქში ადრე არსებული ყველა საზოგადოებრივი ადგილის თავიდან მოშორებას გულისხმობს. მაგალითად: ჭავჭავაძის გამზირზე, ჩვენ მიერ განხილული სახლის გასწვრივ ცნობილი ქართველი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი დგას. მას ირგვლივ დიდი, ამფითეატრის სტილის, მეგობრებისა და ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანებისთვის განკუთვნილი დასაჯდომი კიბე ერტყა. სივრცეს ზოგადად უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, კომფორტული და ესთეტიკურად სასიამოვნო ურბანული ხარისხი ახასიათებდა. ძეგლი იმავე ადგილას დგას, თუმცა მის გარშემო არსებული მწვანე სივრცე ორმა მაღალსართულიანმა ბიზნესცენტრმა „შეჭამა“. ძეგლის მოპირდაპირე მხარეს კიდევ ერთი მაღალსართულიანი შენობაა, რომელსაც ადრე წინ ძალიან ლამაზი მოედანი ჰქონდა. ის მას მეზობელ შენობასთან აკავშირებდა და ფეხით მოსიარულეთათვის ღია საჯარო სივრცეს ქმნიდა. დღეს ამ ტერიტორიაზე ყოველგვარი საზოგადოებრივი სივრცის გარეშე მშენებარე დაუმთავრებელი ბიზნესცენტრი დგას. გალაკტიონის ძეგლისა და ორი მრავალსართულიანი კორპუსის გვერდით კი სავაჭრო ცენტრია გაშენებული. ის იმ ადგილს იკავებს, სადაც ადრე მწვანე სივრცე, მოგვიანებით კი ბავშვებისთვის განკუთვნილი ფეხბურთის სტადიონი იყო. თუ ცოტას გავივლით, დავინახავთ ახალაშენებულ ეკლესიას და მის შემოღობილ ეზოს. საბჭოთა პერიოდში ეს ადგილი საჯარო დასაჯდომ და თავშეყრის, „შესაჩერებელ“, მეგობრებთან შეხვედრის, სალაპარაკო, მშვიდ ადგილს წარმოადგენდა (Engel 2019, გვ. 44). დღეს ადამიანები, რომლებიც მართლმადიდებლური სარწმუნოების არ არიან ან უბრალოდ, რელიგიურები არ გახლავან,

ამ სივრცეში არ შედიან, რადგან იქ თავს კომფორტულად ვერ გრძნობენ. ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, ცოტა ხნის წინ, კიდევ ერთი მრავალსართულიანი მულტიფუნქციური შენობა ააგეს. ინვესტორმა ოსტატურად მიითვისა ფეხით მოსიარულეთა ტერიტორიის ნაწილი და ის ავტოსადგომის შესასვლელის ნაწილად აქცია, რითაც ფეხით მოსიარულეებს გადაადგილება შეუზღუდა. ეკლესიის გვერდით კიდევ ერთი ღობის მიღმა დაკეტილი სივრცე – საელჩო გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდი მწვანე ფართობის მქონე მშვენიერი, საინტერესო არქიტექტურით ცნობილი ადგილია, ის ამჟამად ფართო საზოგადოებისთვის მიუწვდომელ, შემოსაზღვრულ ტერიტორიადაა გარდაქმნილი.

5. მიმდებარე ტერიტორიის არსებული მდგომარეობა, 2020 (ავტორის ფოტო).

ახლანდელი სიტუაციის აღწერისას ნათელი ხდება, რომ მალე ხალხს ამ ტერიტორიით ტკბობისთვის მხოლოდ შეზღუდული სივრცე დარჩება, რადგან დიდი კომპანიები თანამედროვე ქალაქებისთვის მნიშვნელოვან საჯარო, ღია, მწვანე სივრცეებს იკავებენ და იმ ფართობებს ითვისებენ, რომლებიც თანამედროვე ქალაქის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს. როგორც ს. სასსენი აღნიშნავს, „მეგაპროექტები ქალაქის სიმჭიდროვეს ზრდიან, მაგრამ რეალურად, ისინი მათ დეურბანიზაციას ახდენენ“ (Sassen S. 2018, გვ. 50). ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქები ადამიანებისთვის საცხოვრებლად გამოუყენებელი ხდება. დაგეგმარების საბჭოთა იდეოლოგიის მეორე მხარეს აღმოჩენილებს ისევ იგივე კითხვა გვიჩნდება: ვინ ფლობს ქალაქს? ვის შეუძლია ღია ქალაქის შექმნისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ელემენტის – მისი ფორმირების პროცესში, ისეთი ქალაქის განვითარებაში მონაწილეობის მიღება, რომელიც ხალხს ეკუთვნის? საბჭოთა კავშირმა იდეოლოგიით განპირობებული ქალაქური სისტემები შექმნა და საზოგადოება ადამიანის უნარების დონისა და პროფესიული ინტერესების საფუძველზე დაყო, რომ აღარაფერი ვთქვათ მექრთამეობისა და ნეპოტიზმის აყვავებაზე.

დღეს გადაწყვეტილებებს მდიდრები იღებენ და ისინივე ქმნიან ისეთ ექსკლუზიურ დახურულ სივრცეებს, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის მიუწვდომელია. ისინი მაღალსართულიან ობიექტებში გაუცხოებულების შთაბეჭდილებას ქმნიან. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ დღეს ქალაქის დაგეგმვის მთავარ მამოძრავებელ ძალად სეგრეგაციაა ქცეული. ტონკისის აზრით, ქალაქების დაგეგმარების საუკეთესო ამოცანა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა კი არა, სეგრეგაციისთვის თავის არიდება უნდა იყოს (Tonkiss 2013). თბილისში ჩვენ მრავალფეროვნების შესაქმნელად თავსაც კი არ ვიწუხებთ და მით უმეტეს, სეგრეგაციისთვის თავის არიდება სულ არ გვადარდებს.



6. არსებული მდგომარეობის დიაგრამა 1950-იან,
1990-იან და 2020 წლებში
(ახალდამატებული შენობები ვარდისფრადაა მონიშნული).

წლების განმავლობაში ენგურის კაშხლის საცხოვრებელმა ერთეულმა ადგილმდებარეობის ან გამორჩეული არქიტექტურული სტილის გამო თავისი გარეგნული იერი და რაც მთავარია, ის საზოგადოებრივი სივრცე შეინარჩუნა, რომელიც დღეს მისი მაცხოვრებლებისა და საზოგადოებისთვისაა ხელმისაწვდომი. მახლობლად მდებარე შენობებისგან განსხვავებით, ის არც განადგურებულა და არც შეცვლილა, თითქოს ინარჩუნებს „სისრულეს“ იმ გაგებით, რომ სხვა შენობები მასზე გავლენას ვერ ახდენს. შენობა ცალკე დგას და ც. სალევსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებაში „წვდომის შეზღუდვის ასოციაციას“ იწვევს (Salewski 2009, გვ. 147). ის საბჭოთა დაგეგმვის იდეოლოგიის პროდუქტია, რომელიც ექსკლუზიური საზოგადოებისთვის და არა იმ მოქალაქეებისთვისაა დაგეგმილი, რომლებსაც ღია ქალაქის შექმნაში აქტიური ჩარევა შეუძლიათ (Jacobs 2016, გვ. 34).

საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები რამდენიმე ოჯახის გამოკითხვისას გავიაზრე, რომ შენობასა და მის გარეგნობაზე თითოეული მათგანი ზრუნავს და ცდილობს, ის ჩარევისგან შეძლებისდაგვარად დაიცვას. მათ ეამაყებათ უნიკალურ, არაჩვეულებრივ სახლში ცხოვრება და ამას ინტერვიუებში მუდმივად აღნიშნავენ. შენობის ახლანდელ მაცხოვრებლებს მის მიმართ მკვეთრად გამოხატული საკუთრების გრძნობა განუვითარდათ. ისინი ამაყები არიან, რომ მათმა წინაპრებმა ენგურის კაშხლის მშენებლობის პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ისინი კარგად ზრუნავენ არქიტექტურაზე, ცდილობენ მისი თავდაპირველი სტრუქტურა შეინარჩუნონ და უარყონ მუნიციპალიტეტის მხრიდან უმნიშვნელო ცვლილებებთან დაკავშირებული თითოეული შეთავაზებაც კი. შენობის მაცხოვრებლებს სჯერათ, რომ ეს მათი სივრცე, მათი ეზო და მათი იდენტობაა, რომელიც არ უნდა იყოს ჭავჭავაძის გამზირის ნაწილი, მას არ უნდა შეერწყას. მათი აზრით, თავდაცვის გზით ისინი შენობას თანამედროვე საზოგადოებრივი გემოვნების გავლენისგან, პოლიტიკისა და იმ ინვესტორების ჩარევისგან

იცავენ, რომლებმაც სხვა მიმდებარე ტერიტორიები უხეშად დაიკავეს. ისინი მადლობელი არიან არქიტექტორის, რომელმაც მათი აზრით, სრულად გაითვალისწინა მაცხოვრებელთა საჭიროებები და კომფორტის მოთხოვნილება.

მიუხედავად ჩემი მტკიცე რწმენისა, რომ ატიპიური და ავთენტური მიდგომით შექმნილ შენობას თავისი გამორჩეული იდენტობა აქვს და ვიცი, რომ მაცხოვრებლებს მისი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულების შენარჩუნების დიდი სურვილი ამოძრავებთ, ასევე ვფიქრობ, რომ ა. ეიზინგერის მტკიცების თანახმად, თუკი თბილისის ღია ქალაქად ქცევისკენ მიმართულ ნაბიჯებს გადავდგამთ, შენობის გვერდით მდებარე საჯარო სივრცე სოციალური ინტეგრაციის ადგილად უნდა იქცეს (Eisinger 2009, გვ. 44). ღია ქალაქი არც უტოპიაა და არც ცალსახად ჩამოყალიბებული რეალობა. ეს ღიაობასა და სიახლოვეს, ინტეგრაციასა და დეზინტეგრაციას, კონტროლსა და თავისუფალ მდგომარეობას შორის მოქცეული წონასწორობის მდგომარეობაა (Christiaanse, 2009, გვ. 36); პროექტი, რომელიც ღია ქალაქის შესაქმნელად მისივე მიმდინარეობის პერიოდში უნდა განვითარდეს (Ipsen 2008, გვ. 2). საბჭოთა ხელისუფლებამ სცადა ქალაქის ისეთი მკაცრად სტრუქტურირებული და რეგულირებული დოქტრინების საფუძველზე გარკვეული წესებისა და მოთხოვნების, ბარიერებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით დაპროექტება, რომელთა შეცვლაც, ხელახალი განვითარება ან რესტრუქტურიზაცია მოგვიანებით რთული იქნებოდა. მეორე მხრივ, თანამედროვე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქალაქის დახურულ ან ღია განვითარებას ხელს უშლის, რადგან ის მთლიანად ვიწრო, კერძო და არაპროგნოზირებადად სეგრეგაციული ბიზნესის ინტერესების ხელშია. ამ კონტექსტში ენგურის კაშხლის საცხოვრებელი შენობა უნიკალურ სიმბოლურ ადგილს წარმოადგენს. ის (საბჭოთა) წარსულის შეცდომების მოწმეა, მაგრამ ტერიტორიას ახლანდელი გადაცდენებისგან იცავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი, ნ. (n.d.) თბილისის არქიტექტურა 1970-1980-იანი წლები. Ars Georgica.გიორგი ჩუბინაშვილისსახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი. https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/183--1960-1970-.html
2. ასათიანი, ნ. (1992). თბილისის არქიტექტურა 1970-1980-იანი წლები. გიორგი ჩუბინაშვილისსახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი. [Online] ხელმისაწვდომია: http://www.georgianart.ge/index.php/en/component/content/article/197.html?ed=17
3. Alexander, C. (1965). A city is not a tree. Architectural Forum, 122 (1), 58–61.
4. Bater, J. H. (1980). The Soviet City. London: Sage Publications Inc.
5. Baum, M. (2013). City as Loft. City as Loft, Adaptive Reuse as a Resource for Sustainable Urban Development. gta Publishers.
6. Christiaanse, K. (2009). The Open City and its Enemies. In T. S. Rieniets (Ed.), Open city: Designing Coexistence (p. 416). Sun Architecture.
7. Corbusier, L. (2013). Towards a New Architecture. Courier Corporation.
8. Dehaan, H. D. (2013). Stalinist City Planning: Professionals, Performance, and Power. Toronto Buffalo London: University Toronto Press.
9. Eisinger, A. (2009). The Open City and its Historical Context. In K. S. Christiaanse (Ed.), Open City: Designing Coexistence (p. 416). Amsterdam: Sun Architects.
10. Engel, B. (2019). Mass Housing in the Socialist City; Heritage, Values, and Perspectives. Berlin: DOMpublisher.

11. Gehl, J. (2019). Forward by Jan Gehl. In D. Sim, Soft City; Building Density for Everyday Life (p. xi). Washinton Covelo London: Island Press.
12. Harvey, D. (2003). The right to the city. International Journal of Urban and Regional Planning, 27 (4), 939–941.
13. Ipsen, D. (2008). The Socially Spatial Conditions of the Open City – a Theoretical Sketch.
14. Jacobs, J. (2016). The Death and Life of Great American Cities. Vintage.
15. Larcher, G. (2014). Library as a Meeting Place, Volume II.
16. Lefebvre, H. (1996). The Right to the City. In Writings on Cities, Vol. 63. Oxford: Blackwell.
17. Lynch, K. (1960). The Image of the City. MIT Press.
18. Morton, H. W., & Stuart, R. C. (1984). The Contemporary Soviet City. Armonk: M.E. Sharpe, Inc.
19. Mumford, E. (2009). CIAM and the Communist Bloc, 1928-59. The Journal of Architecture, 14 (2), 237–254.
20. Nunan, T. (2012). Ecologies of Socialism: Soviet Gradostroitel'stvo and late Soviet Socialism. Journal of Eurasian Studies, 3 (2), 106–115.
21. Salewski, C. (2009). Spaces for Coexistence. Urban Design and the Open City. In T. S. Rieniets (Ed.), Open City: Designing Coexistence. Amsterdam: Sun Architects.
22. Sassen, S. (2017). The City: A Collective Good? Brown Journal of World Affairs, 24 (2), 119–126.
23. Sassen, S. (2018). Who Owns the City? In R. Sennett, R. Burdett, S. Sassen, J. Clos, & UNHabitat, The Quito Papers and The New Urban Agenda (pp. 48–51). New York: Routledge.
24. Sennett, R. (2010). The Public Realm. In The Blackwell City Reader (pp. 261–272). WileyBlackwell.
25. Sennett, R. (2017). The Open City. In T. &. Haas, In The Post-Urban World. Routledge.
26. Sennett, R. (2018). Building and Dwelling: Ethics for the City. Farrar, Straus and Giroux.

27. Sennett, R., Burdett, R., Sassen, S., Clos, J., & UNHabitat (2018). The Science of Urbanization and the Open City. In The Quito Papers and the New Urban Agenda. Routledge, pp. 52-149.
28. Tonkiss, F. (2013). Cities by Design: The Social Life of Urban Form. Cambridge: Polity Press.
29. Буканов Г. Практика Комплексного Индустриального Домостроения Республик Закавказья, Архитектура СССР, 1981.
30. Квирквелия, Т. (1985). Архитектура Тбилиси. Стройиздат.
31. Хазанов, В. (1980). Советская архитектура. Москва: Наука.

ქალაქ თბილისის განვითარების თავისებურებები

ნაშრომში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის სივრცითი მოწყობისა და განვითარების ეტაპები საბჭოთა სისტემის პერიოდში – 1934-დან 1980-იან წლამდე. ნაშრომი აჩვენებს, თუ როგორ და რა პრინციპით ხდება ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული და ურბანული ცვლილებები. ნაშრომი აღწერს ქალაქის ქსოვილის ცვლილების თავისებურებას და ხაზს უსვამს საბჭოთა მმართველობის მიერ გამოყენებულ, ურბანიზმისთვის დამახასიათებელ დოქტრინებს: ურბანული და რურალური სივრცეების გათანაბრება, ქალაქის ფუნქციურ ზონებად დანაწევრება, საცხოვრებელი უბნების გარკვეული სქემით ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურისა და მწვანე სივრცეების განვითარება.

პროექტის განხორციელებისას მნიშვნელოვანი ამოცანა იყო თბილისის განვითარების წინადადებების დოკუმენტაციის სიღრმისეული ანალიზი, რაც გულისხმობდა ქალაქის ქსოვილის, ფუნქციების გადანაწილების, საცხოვრებელი უბნების მორფოლოგიის, არსებული, საპროექტო წინადადების და რეალურად განხორციელებული ცვლილებების შესწავლას და პარალელურად შედარებას. შედეგად, არსებული ტექსტების, პოლიტიკური დოკუმენტების ვიზუალურ მასალად და პირიქით, ვიზუალური მასალის დამუშავებით და მისი ტექსტურ მასალად გადაქცევით შევძელით დაგვენახა, თუ როგორ ქმნიდა და ქმნის პოლიტიკა ქალაქის სივრცეს. ამავდროულად, როგორ ჩნდება ყოველდღიურობა მნიშვნელოვან აქტორად ქალაქის განვითარებაში; რა ტერიტორიებზე და როგორი განლაგებით ხდება საცხოვრებელი უბნების ფორმირება; როგორ ხდება თითოეული ფუნქციური ზონის ერთმანეთთან დაკავშირება თუ პირიქით, განცალკევება; როგორ ხდება საჯარო სივრცეების ფორმირება და იცვლება ქალაქის ძველი ტრადიციული ახალ, საბჭოთა სისტემისთვის მორგებულ სხეულად.

ნაშრომის სტრუქტურა

წარმოდგენილი ნაშრომი სამ ნაწილად არის დაყოფილი და თითოეულში წარმოდგენილია ქალაქში არსებული მდგომარეობა (იხილეთ სურათი 1,2 და 3) და პრობლემები, მისი განვითარების და რეკონსტრუქციის სამომავლო გეგმები (1934, 1950-იანი და 1970-იანი წლები), ძირითადი მნიშვნელოვანი გადაწყვეტები (იხილეთ სურათი 5, 6 და 9) . თითოეული ნაწილი მოიცავს მოკლე აღწერას და პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ვიზუალურ მასალას, რომელიც ნათლად გვიჩვენებს დაგეგმილ და შემდეგ რეალურად შესრულებულ სამუშაოებს. ვიზუალური მასალა წარმოადგენს პროექტის ამ ნაწილის ძირითად კომპონენტს.

მეთოდოლოგია

ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნულ არქივსა და კერძო ფონდებში (ოჯახებში) არსებული ქალაქის განვითარების გეგმები (გენერალური გეგმები), ისტორიული რუკები, ქალაქის ცვლილების ფოტო და ვიდეომასალა, ქალაქის განვითარების გეგმის კონცეფციის ნარატიული ნაწილი, სამეცნიერო ლიტერატურა.

პარალელურად დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები ეფუძნება საარქივო მასალებს, ვიზუალურ მასალაზე მითითებული მონაცემებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და სამეცნიერო ლიტერატურას.

საარქივო მასალის გამოყენებით შევქმენით ქალაქის არსებული გეგმების ციფრული ვერსიები: ა) ქალაქის ისტორიული რუკების (1934, 1950, 1970 წლები) ელექტრონული დოკუმენტები (რომელიც დღემდე არ არსებობდა); ბ) მოვამზადეთ ქალაქის განვითარების წინადადებების (გენერალური გეგმები 1934, 1948-51, 1970 წელი) ციფრული დოკუმენტები (იხილეთ სურათი 1, 2 და 3); გ) შექმნილი ციფრული დოკუმენტები არსებული ზონების მიხედვით გადავანაწილეთ და სხვადასხვა

შრეზე განვალაგეთ, სადაც თითოეული შრე ასახავს ერთ კონკრეტულ ფუნქციას ან ფუნქციურ ზონას – ინდუსტრიულ, საცხოვრებელ და საზოგადო ზონებს. ასევე განცალკევებულად ნაჩვენებია ქალაქის ინფრასტრუქტურული ობიექტები, ქუჩათა ქსელის მორფოლოგია, მწვანე და ლურჯი (წყალი) სივრცეები, სასაფლაოები და სხვა ქალაქის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტები (იხილეთ სურათი 6 და 9); დ) 1980-იანი წლების არსებული ქალაქის გეგმაზე დაყრდნობით, სადაც მხოლოდ თითოეული ნაგებობის სიმაღლე იყო მითითებული, სამუშაო ჯგუფთან ერთად შევქმენით სამგანზომილებიანი (სიმაღლეების გამოსახულება) ციფრული მოდელი. პარალელურად, არსებული რუკის საშუალებით, ქალაქ თბილისის მერიის, საქართველოს ეროვნული არქივის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით, მსგავსად 1980-იანი წლების რუკისა, შევქმენით 2022 წლის ქალაქის სამგანზომილებიანი მოდელი.[1]

შესავალი

თბილისმა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზაციის პროცესების გამო, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ქალაქი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, საბჭოთა პერიოდში საგრძნობლად შეიცვალა. მე-20 საუკუნემდე ის შედარებით პატარა ქალაქი იყო. სხვადასხვა ისტორია და მოგონება, გარკვეული ადგილები, მისი მოსახლეობა და სოციალური ურთიერთობები ქმნიდნენ ქალაქის მრავალფეროვან სურათს, მის ერთიან ანსამბლს. მრავალი საუკუნის მანძილზე ქალაქი წარმოადგენდა ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც თანდათანობით, ეტაპობრივად იცვლებოდა და ყალიბდებოდა არსებული რელიეფიდან და ქსოვილიდან გამომდინარე.

---

[1] იხილეთ ვებ-გვერდი Tbilisi as an Urban Assemblage https://urbanassemblage.iliauni.edu.ge/interactive-map/

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან ქალაქი საგრძნობლად იცვლება. საბჭოთა ხელისუფლება ურბანულ დაგეგმარებას და არქიტექტურას განიხილავს, როგორც მისი იდეოლოგიის მატარებელ ხელსაწყოს, რომელიც უაღრესად პოლიტიზებული პროცესია, სადაც ხდება საზოგადოების როგორც ფიზიკური, ასევე კულტურული ჩამოყალიბება (Bater 1980, Morton & Stuart 19 1984, DeHaan 2020, Sykora 2009, Harris-Brandt and Sitchinava 2021). იგი ხდება იმ იდეოლოგიის მატარებელი, სადაც სოციალური თანასწორობა, ტერიტორიის კოლექტიური მფლობელობა და ეგალიტარული საზოგადოების ჩამოყალიბებაა გამიზნული; სადაც წინასწარ შემუშავებული და სტანდარტიზებული მეთოდებით ხდება ქალაქის ფუნქციურად დანაწევრება, მიწათსარგებლობის მკაცრი ზონირება, დიდი საცხოვრებელი უბნების ჩამოყალიბება და შექმნილი საცხოვრებელი ფონდის გაკონტროლება. ასევე იგეგმება სატრანსპორტო სისტემის რაციონალიზაცია და მსხვილი მწვანე სივრცეების შექმნა.

ქალაქ თბილისის განვითარება სხვადასხვა პერსპექტივიდან დეტალურად შეისწავლა მრავალმა ავტორმა, თუმცა რამდენიმე აუცილებლად უნდა ვახსენოთ. ესენი არიან ლ.სუმბაძე და ბ.ლორთქიფანიძე 1936, ვ.ბერიძე 1960, თ.კინწურაშვილი 1978, ნ.ჯაში 1983, თ.კვირკველია 1985, ვ.ჯაოშვილი 1989, ნ.ასათიანი 1989, 1992, ი. ციციშვილი, ვ.ვარდოსანიძე 2009, ჭანიშვილი 2019. ასევე, ქალაქის განვითარების, საბჭოთა ურბანიზმის ძირითადი პრინციპების განხილვისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ავტორები: Bater 1980, Morton & Stuart 1984, DeHaan 2020, Sykora 2009, Salukvadze 2012, Manning 2009, Van Assche 2012, Harris-Brandt and Sitchinava 2021 და სხვა).

ავტორებმა (ბერიძე 1960, კინწურაშვილი 1978, ჯაში 1983, კვირკველია 1985, ჯაოშვილი 1989, ასათიანი 1989, 1992) გვაჩვენეს როგორც ქალაქის განვითარების ისტორია, ისე ქალაქის ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბების თავისებურებები, და ახალი საბჭოთა სოციალისტური იდეოლოგიისთვის დამახასიათებელი მიდგომები. ისინი კრიტიკულად განიხილავდნენ ქალაქის საბჭოთა პერიოდში განვითარების და ურბანული ქსოვილის

ქალაქ ტფილისის გეგმა

(არსებული სიტუაცია)

1934 წ. ტფ ცნობარის დანართი

შედგენლია ტფილისის საბჭოს

ტეხგანყოფილების მიერ ($\frac{1}{8000}$)

N

ექსპლიკაცია

- დასახლებული კვარტლები
- ბაღები სკვერები, ნარგავები, გაზონები
- სახ. დაწესებულები და საწარმოო შენობები
- ტრამვაის გზები
- რკინიგზა
- ქალაქის კონტური

ვიზუალური მასალა შესრულებულია საქართველოს ეროვნულ და
კერძო არქივებში მოძიებული ისტორიული რუკების საფუძველზე

სამუშაო ჯგუფი: ია კუპატაძე, ლაშა ძიძიშვილი, ირაკლი კოჭლაშვილი, ნინო ავალიშვილი
გიორგი დესპოტაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსისტეტის, 2021-2022



ვიზუალური მასალა შესრულებულია საქართველოს ეროვნულ და ჯერმო არქივებში მოძიებული ისტორიული რუკების საფუძველზე

სამუშაო ჯგუფი: ია ჯუპატაძე, ლაშა ძიძიშვილი, ირაკლი ყოჭლაშვილი, ნინო ავალიშვილი
გიორგი დესპოტაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსისტეტის, 2021-2022



1970 იანი წლების ქალაქ თბილისის გეგმა (არსებული სიტუაცია)

ექსპლიკაცია

- შენობები
- მწვანე საფარი
- დასახლებული ჯვარტლები
- ლურჯი საფარი (წყალი)
- რკინიგზა
- ქალაქის კონტური

ვიზუალური მასალა შესრულებულია საქართველოს ეროვნულ და ჯერძო არქივებში მოძიებული ისტორიული რუკების საფუძველზე

სამუშაო ჯგუფი: ია ჯუპატაძე, ლაშა ძიძიშვილი, ირაკლი ყოჭლაშვილი, ნინო ავალიშვილი
გიორგი დესპოტაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსისტეტის, 2021-2022

ჩამოყალიბების თავისებურებებს და პრობლემებს. ავტორები უყურებდნენ ქალაქის ფრაგმენტულ განვითარებას და თვლიდნენ რომ იმ პერიოდში არ ხდება ქალაქის ისტორიის, მისი ჩამოყალიბების, მისი რელიეფის, ხასიათის, საცხოვრებლისთვის დამახასიათებელი კომპონენტების სწორად გათვალისწინება (სუმბაძე, ლორთქიფანიძე 1936, ასათიანი 1992). თანამედროვე კვლევები კი განიხილავდნენ ქალაქის საბჭოთა სისტემის მიხედვით ჩამოყალიბების თავისებურებებს (Bater 1980, Morton & Stuart 1984, Sykora 2009, DeHaan 2020). საბჭოთა იდეოლოგიის მიერ შემუშავებულ მკაცრი დოქტრინების გამოყენებას ურბანულ დაგეგმარებაში და არქიტექტურაში (Harris-Brandt and Sitchinava 2021), და თანამედროვე სამყაროში მისი განვითარების შედეგებს (Vardosanidze 2009, Manning 2009, შავდია 2014, Van Assche and Salukvadze 2012, Stătică 2021, Kiknadze 2022).

ქალაქ ტფილისის რეკონსტრუქციის პროექტი, 1933-34 წელი

ტფილისი უნდა გახდეს საქართველოს და
ამიერკავკასიის სანიმუშო დედაქალაქი.
ლავრენტი ბერია

გაზეთი „კომუნისტი“
(ნომერი 222), 1933 წელი

საბჭოთა მმართველობის მიერ გადაწყდა, რომ ქალაქს ახალი განვითარების გეგმა, სტრატეგია ესაჭიროებოდა და საჭირო იყო მისი შემუშავება. წარდგენილი გახლდათ ორი საპროექტო წინადადება. პირველი ვერსია შესრულებული იყო უკრაინის სსრ-ის „გიპროგრადის“ მიერ თბილისის საბჭოთა ტექნიკურ განყოფილებასთან ერთად – ზ.ქურდიანი, გ.გოგავა და ი.მალოზემოვი, ეკონომისტი ს.შელეიხოვსკი, ხოლო მეორე ვერსია შესრულებული იყო რუსეთის სამუშაო ჯგუფის მიერ, ბ.პრიმაკის ხელმძღვანელობით (თბილისის რეკონსტრუქციის პროექტი, 1934 წელი (ტომი 1).

საბჭოთა მთავრობის მიერ პირველი ვარიანტი იყო მოწონებული, რადგან ბევრად ეკონომიური და რეალური ჩანდა (მეორე პროექტი ითვალისწინებდა რკინიგზის გადატანას, რაც საკმაოდ რთული და ამავე დროს დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული).

ქალაქის განვითარების გეგმა 25-30 წლის ვადით იყო გათვალისწინებული. მზარდი ურბანული პროცესებიდან გამომდინარე, საპროექტო წინადადების თანახმად, მოსახლეობის რაოდენობის გაორმაგება იგეგმებოდა, რაც ქალაქის ტერიტორიის მნიშვნელოვან ზრდას გულისხმობდა. დაგეგმილი იყო არსებული 420 000 მაცხოვრებლის რაოდენობის გაზრდა 725 000-მდე და ქალაქის არსებული 3700 ჰექტარი ტერიტორიის გაფართოება 10022 ჰექტრამდე (თბილისის რეკონსტრუქციის პროექტი 1934 წელი, ტომი 2).

საბჭოთა სივრცითი მოწყობის რეგულაციების თანახმად, ქალაქი ფუნქციური ზონების მიხედვით უნდა გაენაწილებინათ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ადგილმდებარეობა ხელს არ უწყობდა მსგავსი სისტემის დანერგვას, საპროექტო წინადადების მიხედვით, ქალაქი ფუნქციურ ზონებად გაანაწილეს, სადაც თითოეული მათგანი გამიჯნული და გამოყოფილი იყო მწვანე სარტყლით. ქალაქის განვითარების გეგმის მიხედვით, სურდათ შემდეგი ზონების შექმნა: სამრეწველო, საცხოვრებელი და სარეკრეაციო. ასევე მნიშვნელოვანი იყო სატრანსპორტო სისტემის რაციონალიზაცია (იხილეთ სურათი 6).

სამრეწველო ზონა, რომელიც მანამდე გაფანტულად იყო განლაგებული ქალაქის სტრუქტურაში, პროექტის ავტორებმა ერთ სისტემაში მოაქციეს და რკინიგზის გასწვრივ, ქალაქის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეებში განათავსეს. საცხოვრებელი უბნები ნაწილობრივ არსებულ ქალაქის სტრუქტურაში განვითარდა, ნაწილი კი ახალ ტერიტორიებზე, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით დააგეგმარეს (იხილეთ სურათი 1 და 6).

მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად ქალაქის ძველი უბნის განაშენიანების სიმჭიდროვისა, მისი ახლით ჩანაცვლება ან რეკონსტრუქცია არ იყო გათვალისწინებული. ქალაქის ისტორიული ნაწილი, შეიძლება ითქვას, გადარჩა (თუმცა

ქალაქ თბილისის
განვითარების გეგმა
1934 წელი

ვიზუალური მასალა შესრულებულია საქართველოს ეროვნულ არქივებში
მოძიებული ქალაქის განვითარების გეგმის მიხედვით

სამუშაო ჯგუფი: ია ჯუპატაძე, ლაშა ძიძიშვილი, ირაკლი ყოჭლაშვილი, ნინო ავალიშვილი
გიორგი დესპოტაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსისტეტის, 2021-2022



ვიზუალური მასალა შესრულებულია საქართველოს ეროვნულ არქივებში
მოძიებული ქალაქის განვითარების გეგმის მიხედვით.
რუკაზე შრეებად დალაგებულია ქალაქის ახალი ზონების განლაგება.

სამუშაო ჯგუფი: ია ჯუპატაძე, ლაშა ძიძიშვილი, ირაკლი ჯოჭლაშვილი, ნინო ავალიშვილი
გიორგი დესპოტაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსისტეტის, 2021-2022

ცვლილების იდეა არსებობდა), რადგან ძნელი იყო არსებული განაშენიანებული ქსოვილის გადაკეთება ან შეცვლა და პარალელურად სიმჭიდროვის პრობლემის გადაჭრა. 1934 წლის მონაცემებით, ქალაქში 16 000 საცხოვრებელი სახლი არსებობდა, საიდანაც 8 500 სახლი ერთსართულიანი იყო, 4 900 – ორსართულიანი, ხოლო 1 250 – სამსართულიანი. ამ დროს ქალაქის სიმჭიდროვე დაახლოებით 70-75 %-ს შეადგენდა და ერთ სულ მოსახლეზე 3,5 კვ.მ იყო გათვალისწინებული (თბილისის რეკონსტრუქციის პროექტი 1934, ტომი 2). საბჭოთა სივრცითი დაგეგმარების პრინციპის და, შესაბამისად, თბილისის განვითარების საპროექტო წინადადების მიხედვით მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი იყო საცხოვრებელი განაშენიანების და დასაქმების ადგილების სიახლოვე. მოთხოვნის მიხედვით, მათ შორის მანძილი არ აღემატებოდა 1-1,5 კმ-ს. შესაბამისად, საცხოვრებელი რაიონები საწარმოო ტერიტორიებთან ახლოს დაიგეგმა, რაც ასევე ხელს უწყობდა ქალაქის სოციალურ ფენებად დანაწევრებას.

ქალაქის განვითარების გეგმის მიხედვით შემუშავებული იყო საცხოვრებელი უბნის ტიპური სქემა (შეიძლება ვუწოდოთ სუპერბლოკი). სქემის მიხედვით, საცხოვრებელი სახლი 30 ან 60 მეტრის სიგრძის უნდა ყოფილიყო, ოთხსართულიანი, პერიმეტრული განლაგებით, შიდა ეზოთი. შენობები ქალაქის ცენტრალური ქუჩიდან 7,5 მეტრით უკან იყო შეწეული (იხილეთ სურათი 4). საცხოვრებელი უბნის (სუპერბლოკის) გვერდით სკოლა, საზოგადო დანიშნულების ობიექტი, პოლიკლინიკა, ადმინისტრაციული ნაწილი და საჯარო პარკი იყო დაგეგმილი (ნ.ასათიანი 1992). ეს სისტემა უბნის შემადგენელი ნაწილია, რომელიც შემდეგ უკვე ქმნის ქალაქის სტრუქტურას.

ქალაქის კლიმატის გასაუმჯობესებლად, პროექტის თანახმად, დაგეგმილი იყო ფუნქციურ ზონებს შორის მწვანე ბუფერული ზონების შექმნა, ახალი პარკებისა და ბაღების დაგეგმვა, არსებულ განაშენიანებაში მცირე პარკებისა და სკვერების განვითარება, ქალაქის მთების ფერდობებზე გამწვანების ზოლის მოწყობა, რომელიც ქალაქის მწვანე სარტყელს შექმნიდა.



სურათი 4. *1934 წლის გენგეგმის მიხედვით*
შემუშავებული საცხოვრეელი უბნის ტიპური სქემა

პარალელურად დაგეგმილი იყო რამდენიმე ლურჯი საფარის (ამ შემთხვევაში რამდენიმე ხელოვნური ტბის შექმნა) და სარეკრეაციო პარკების მოწყობა ქალაქის განაპირას, რომლებიც ნელ-ნელა ქალაქის ირგვლივ არსებულ ტყეპარკებს დაუკავშირდებოდა. სამწუხაროდ, ამ გეგმის დიდი ნაწილი განუხორციელებელი დარჩა, რაც პროექტის ფარგლებში შესრულებული გრაფიკული მასალის შედარებისას მკაფიოდ გამოიკვეთა (იხილეთ სურათი 2).

1934 წლის გენერალური გეგმის პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი და საბჭოთა იდეოლოგიის მატარებელი იყო ქალაქის ინფრასტრუქტურის, კერძოდ კი სატრანსპორტო მომსახურების საკითხების გაუმჯობესება. შემუშავებული გახლდათ სამი ტიპის საპროექტო გზა/ქუჩა. ეს იყო მაგისტრალური, საქალაქო და საუბნო, შედარებით ვიწრო ქუჩები. ცენტრალური სატრანსპორტო მაგისტრალი ქალაქის ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთ ნაწილამდე მიჰყვებოდა მტკვრის ორივე სანაპიროს. ქალაქის განვითარების გეგმის თანახმად, მტკვრის გასწვრივ სატრანსპორტო მაგისტრალის შექმნამ (რომელიც უკვე ნაწილობრივ დაწყებული იყო), ქალაქისა და მდინარეს, კერძოდ კი წყლის საფართან კავშირი დააკარგვინა; ამით ქალაქის და მდინარის ერთიანი აღქმა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა ქალაქის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში – დაიკარგა და მდინარის სანაპიროები მხოლოდ სატრანსპორტო გადაადგილების ელემენტებად იქცა. საქალაქო მნიშვნელობის ქუჩები, განთავსებული ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში, უკავშირდებოდა საცხოვრებელ განაშენიანების ნაწილებს. უბნების ქუჩები საპროექტო წინადადებაში არ იყო განხილული და დაპროექტებული, რადგან ამ დროს არ გახლდათ ცნობილი, თუ როგორ მოხდებოდა მათი კონკრეტული დაპროექტება (დ. თუთბერიძე. რედ. 1934).

ვინაიდან არსებობდა მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებთან დაკავშირების პრობლემა, ახალი გეგმის მიხედვით დაპროექტდა და შემდეგ აიგო რამდენიმე ახალი ხიდი, რომელმაც არსებული პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრას შეუწყო ხელი.

პროექტის ფარგლებში 1934 წლის ქალაქის რუკის, არსებული სიტუაციის (იხილეთ სურათი 1), საპროექტო წინადადების (იხილეთ სურათი 5 და 6) და რეალურად განხორციელებული (იხილეთ სურათი 2) ქალაქის განვითარების კომპონენტების პარალელურად, ტექსტური ნაწილის შესწავლით და შედარებით მოხდა განხორციელებული ცვლილებების იდენტიფიკაცია და ანალიზი. ნათლად გამოჩნდა ქალაქის ფუნქციურ ზონებად დაყოფა, ქალაქის ახალი საცხოვრებელი უბნების განლაგება და შედეგად შექმნილი გარკვეული პრობლემები, ინდუსტრიული ზონის რკინიგზის გასწვრივ განლაგება და ქალაქში გაფანტულად არსებული ქარხნების ნელ-ნელა გაქრობა, ცენტრის შენარჩუნება, დაგეგმილი მწვანე და ლურჯი (წყლის) საფარის ნაწილობრივ მოწყობა და სხვა. რაც მთავარია, ვიზუალური მასალის შექმნისას კიდევ ერთხელ, ნათლად გამოჩნდა საბჭოთა იდეოლოგიისთვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპები, რომელიც ქალაქ თბილისს ნაკლებად ესადაგებოდა, თუმცა პოლიტიკური ნებიდან გამომდინარე, გარდაუვალი იყო.

ქალაქ თბილისის განვითარების და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის პროექტი – 1951-1970 წლები

1947 წელს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების და სწრაფი ურბანიზაციის პროცესების გამო მოთხოვნილი იყო არსებული გენგეგმის სტრატეგიის გადახედვა და ახალი მომავალი 10-12 წლის (1948-1960 წლები) ვადით განვითარების კონცეფციის შემუშავება (62-ე დადგენილება ქალაქის გენერალური გეგმის შემუშავების შესახებ, დანართი №1).

თბილისის განვითარების და რეკონსტრუქციის, 1951-1970 წლების გენერალური გეგმის პროექტის დამუშავება (ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის და განვითარების გეგმა 1951-1970 წლები) ქალაქის მთავარ არქიტექტორ ზ. ქურდიანს დაევალა. პროექტზე მასთან

ერთად მუშაობდა ვ.ზოლოტუხოვი, ეკონომისტი მ.ნეფედოვი და „თბილქალაქპროექტის“ სამუშაო ჯგუფი. მსგავსად წინა დავალებისა, მოთხოვნილი იყო საცხოვრებელი ფონდის პირობების, ქალაქის მიკროკლიმატის და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა და გაუმჯობესება. როგორც ქალაქის რეკონსტრუქციის პირველ საპროექტო დავალებაში, ამ შემთხვევაშიც მკაცრად იყო მოთხოვნილი ფუნქციური ზონების განცალკევება პროექტის შემუშავებისას და განხორციელებისას. ქალაქ თბილისის განვითარების და რეკონსტრუქციის მეორე გენერალური გეგმა ფაქტობრივად, იყო პირველი გენერალური გეგმის გაგრძელება და გაუმჯობესება, მესამე გენერალური განვითარების გეგმისთვის მომზადება (ნ.ასათიანი).

პროექტის თანახმად, ქალაქის მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა 1950 წლისთვის შეადგენდა 550 000 ათასს, ხოლო 1970 წლისთვის დაგეგმილი იყო, რომ გაიზრდებოდა 700 000 ათასამდე, თუმცა მოგვიანებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქალაქის მაცხოვრებლების რაოდენობა უნდა შეეზღუდათ 600-650 ათას მოსახლემდე (ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის პროექტი, 1947).

ამ პერიოდში ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრები იკავებდა 62620 ჰექტარს, ხოლო განაშენიანება – 4 445 ჰექტარს, აქედან მარცხენა სანაპიროს განაშენიანება – 3125 ჰექტარი და მარჯვენის – 1320 ჰექტარი (ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის და განვითარების გეგმა 1951-1970 წლები). დაგეგმილი იყო ქალაქის საცხოვრებელი უბნები ნაწილობრივ ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, თბილისის ზღვის მიმართულებით, ასევე ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ ნაწილებში განევითარებინათ. მიუხედავად მასშტაბური მშენებლობისა, მაინც ვერ ხერხდებოდა მოსახლეობის საცხოვრებლით სრულად დაკმაყოფილება. საპროექტო წინადადების მიხედვით დაგეგმილი იყო ქალაქის არსებული ცხრა საცხოვრებელი რაიონის განვითარება და სამი ახალი რაიონის დაპროექტება (ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის პროექტი, 1947) (იხილეთ ცხრილი 1 და 4). 1950 წლის მონაცემებით, ძირითად საცხოვრებელ ადგილს ქალაქის ცენტრალური

ნაწილი წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობის 41% ცხოვრობდა და რომელიც ქალაქის ტერიტორიის მხოლოდ 26,4%-ს შეადგენდა (ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის პროექტი, 1947).

ტერიტორიის დასახელება	ჰექტარი
საბურთალო	725
დიღმის პლატო	2000
სოღანლუღის ვაკე	4800
ავჭალის და გლდანის ტერიტორია	1400
ზედა ნავთლუღის/ლილოს პლატო	4600
ზედა კუკიის (ან მახათის) ტერიტორია	1000

ცხრილი 1: *1950-იანი წლებისთვის არსებული თავისუფალი სივრცეების მონაცემები (ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის პროექტი, 1947)*

საცხოვრებელი უბნები კვლავ მათი სამუშაო ადგილის გათვალისწინებით გადანაწილდა, თუმცა მანძილი საცხოვრებელ უბანსა და სამუშაო ადგილს შორის შემცირდა.

საპროექტო წინადადების მიხედვით, 70-იანი წლების ქალაქის საცხოვრებელი ფონდის კატეგორიები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ოთხსართულიანი ან უფრო მაღალი სახლების 48% მოსახლეობისთვის, სამსართულიანი – 13% მოსახლეობისთვის, ორსართულიანი – 22% მოსახლეობისთვის და ინდივიდუალური განაშენიანება 17% მოსახლეობისთვის (ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის და განვითარების გეგმა 1951-1970 წლები, იხილეთ ცხრილი 2).

საცხოვრებელი ფონდის კატეგორიები	1950	1960	1970
4-სართულიანი ან უფრო მაღალი სახლები	8.4%	18.0%	48%
3-სართულიანი სახლები	19.6%	18.0%	13.0%
2-სართულიანი სახლები	40.0%	35.0%	22.0%
ინდივიდუალური განაშენიანება	32.0%	29.0%	17.0%

ცხრილი 2: *ქალაქის საცხოვრებელი ფონდის კატეგორიების მიხედვით გადანაწილება*

(ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის
და განვითარების გეგმა,
1951-1t970 წლები)

რაიონის სახელწოდება		1950 მოსახლეობის რაოდენობა / ათასი/	1960 მოსახლეობის რაოდენობა / ათასი/	1970 მოსახლეობის რაოდენობა / ათასი/
მარცხენა სანაპირო	ავჭალა/ღრმაღელე	161	230	143
	ლენინის სახელობის	219	242	211
	სტალინის სახელობის	478	497	466
	მოლოტოვის სახელობის	417	417	365
	26 კომისრები	189	188	297
	ნავთლუღი	329	225	170
	სამგორის		263	157
	საშუალო		**277**	**238**
მარჯვენა სანაპირო	დიღომის		229	125
	საბურთალო	221	251	220
	ორჯონიკიძე	280	300	339
	ბერიას სახელობის	534	522	474
	კიროვის სახელობის	430	433	345
	საშუალო მარჯვ. სანაპირო	**355**	**347**	**290**
	საშუალო ჯამურად	**302**	**300**	**255**

ცხრილი 3: *მოსახლეობის სიმჭიდროვე რაიონების მიხედვით; მოსახლე/ჰექტარი საცხოვრებელ და საზოგადო კვარტლებში (ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის პროექტი, 1947)*

	რაიონის დასახელება	საცხოვრებელი რაიონები	1939 მოსახლეობის რაოდენობა /ათასი/	1950 მოსახლეობის რაოდენობა /ათასი/	1960 მოსახლეობის რაოდენობა /ათასი/	1970 მოსახლეობის რაოდენობა /ათასი/
მარცხენა სანაპირო	ავჭალა/ ღრმაღელე	ახალი	69,4	10	20	30
	ლენინის სახელობის	არსებული		70	80	87
	სტალინის სახელობის	არსებული	75,7	77	80	75
	მოლოტოვის სახელობის	არსებული	94,4	85	85	77
	26 კომისრები	არსებული	90,9	80	80	101
	ნავთლუღი	არსებული		28	40	50
	სამგორის	არსებული			10	30
მარჯვენა სანაპირო	დიღომი	ახალი	69,4		8	15
	საბურთალო	ახალი		25	45	60
	ორჯონიკიძე	არსებული		58	62	70
	ბერიის სახელობის	არსებული	63,8	62	60	55
	კიროვის სახელობის	არსებული	55,6	55	55	50
ჯამი			**519,2**	**550**	**625**	**700**

ცხრილი 4: *ახალი და არსებული რაიონების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობა (12 რაიონი) (ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის პროექტი, 1947)*

სამრეწველო ზონების განვითარებას კვლავ დიდი ყურადღება ექცეოდა. ქალაქის საწარმოო რაიონები ძირითადად განლაგებული იყო მტკვრის მარცხენა სანაპიროზე – ლენინის, სტალინის და 26 კომისრების რაიონებში, როგორც ეს 1934 წლის გენგეგმის მიხედვით დაიგეგმა. ამ რაიონებში ძირითადად

განლაგებული იყო მსხვილი საწამოების 87%, რომელიც დაგეგმილი საწარმო ტერიტორიის 77%-ს იკავებდა (ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის პროექტი 1947). პროექტის მიხედვით, სამგორის, ღრმაღელეს, ავჭალის და ნავთლუღის რაიონებში გათვალისწინებული იყო საწარმოო ზოლის განვითარება. იქ, სადაც დაგეგმილი იყო საცხოვრებელი განაშენიანება, მკაცრად იკრძალებოდა საწარმოო ზონების დაგეგმვა და შემდგომ მშენებლობა.

ქალაქის განვითარების პროექტის ფარგლებში, ისევე როგორც 1934 წლის კონცეფციაში იყო დაგეგმილი, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა მის გამწვანებას და კეთილმოწყობას. ახალ საცხოვრებელ რაიონებში, სახელმწიფო და საწარმოო დაწესებულებების ეზოებში დაგეგმილი იყო გამწვანების მოწყობა და ქალაქის განაშენიანების ირგვლივ მწვანე სარტყლის განვითარება (მსგავსად 1934 წლის გენერალური გეგმისა). საერთო სარგებლობის გამწვანებული ტერიტორია იმ დროს შეადგენდა 842 ჰექტარს, აქედან 421 იყო ქალაქის საცხოვრებელ ნაწილში, 374 ჰექტარი – პარკები და ბაღები და 47 ჰექტარი – ბულვარები და სკვერები. ერთ სულ მოსახლეზე გათვალისწინებული იყო 7.7 კვ.მ გამწვანება. ქალაქის მწვანე ნარგავები მარჯვენა სანაპიროზე შეადგენდა 372.5 ჰექტარს (19 კვ.მ ერთ მოსახლეზე), ხოლო მარცხენა სანაპიროზე 48,4 ჰექტარს (1.4 კვ.მ – ერთ მოსახლეზე) (ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის პროექტი, 1947).

სტალინის მმართველობის შემდეგ, ხელისუფლებაში ხრუშჩოვის მოსვლის პარალელურად, მნიშვნელოვნად შეიცვალა საცხოვრებლის მიმართ მიდგომა. 1950-იანი წლების ბოლოს ახალი საცხოვრებელი რაიონების მიკრორაიონების სისტემა იქმნება, რომელიც ქალაქის განაშენიანების ახალ ქსოვილს ქმნის. 1955 წლის საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ყრილობაც საქართველოში ტიპობრივი პროექტირების და საცხოვრებელი მშენებლობის საკითხებს ეძღვნებოდა (ასათიანი, 1992). მაშინ, როდესაც სტალინის მმართველობის პერიოდში საცხოვრებელი სახლები განლაგებული იყო ქუჩის პა-

რალელურად და ქმნიდა ერთ უწყვეტ ზოლს, ქალაქის რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტში ინიციირებული იყო „თავისუფალი გეგმარების“ პრინციპი (ასათიანი, 1992), რაც გულისხმობდა, რომ დამგეგმარებელს ჰქონდა უფლება, პერიმეტრული განაშენიანების სტრუქტურის ნაცვლად გამოეყენებინა შედარებით თავისუფალი და მრავალფეროვანი გეგმარება, რაც ძირითადად გამოიხატებოდა მსხვილი საცხოვრებელი უბნების გარკვეული სისტემით დაგეგმარებაში. მიკრორაიონი გულისხმობდა 6-12 ათას მაცხოვრებელს, რომელიც განთავსდებოდა 23-27 ჰექტარზე და საცხოვრებელი დაჯგუფებული იქნებოდა მომსახურების ობიექტების გარშემო (ასათიანი, 1992). შეიქმნა მომსახურების ობიექტების განლაგების სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა გარკვეულ პერიოდულ იერარქიულ წყობას – ყოველდღიური, კვირაში ერთხელ და თვეში ერთხელ განლაგების სისტემას: ყოველდღიური გულისხმობდა საბავშვო ბაღებს, სკოლებს, აფთიაქებს, სურსათის მაღაზიებს; კვირაში ერთხელ მომსახურების ობიექტებს მიეკუთვნებოდა ფოსტა, სპორტული დარბაზები, კინოთეატრები და სხვა; ხოლო თვეში ერთხელ მომსახურების ობიექტები იყო თეატრი, საკონცერტო დარბაზი, ქალაქის ცენტრი და სხვა (ენგელ, 2019). ეს სისტემა საფუძვლად დაედო შემდგომ 1960 და 1970-იან წლებში შექმნილ საცხოვრებელ მასივებს, რომელიც თბილისის მესამე გენერალურ გეგმაში ნათლად გამოიკვეთა.

პარალელურად, საცხოვრებელი მასივების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვნად ვითარდება ქალაქის ინფრასტრუქტურა; იქმნება ახალი ძირითადი ქუჩები, ხდება მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების კავშირის გაუმჯობესება; ჩნდება კავშირი საბურთალოს და ვაკის ტერიტორიებს შორის და რაც მთავარია, 1966 წელს იხსნება ქალაქის მეტროპოლიტენი, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა უბნის ერთმანეთთან ადვილად დაკავშირებას (ასათიანი, 1992). თუმცა რიგი სტანდარტული მიდგომების და დოქტრინების გამო, ქალაქის ქსოვილი ხელოვნურად იცვლება, რაც ანაწევრებს ქალაქს და ერთიანი ანსამ-

ბლის სტრუქტურას კარგავს. თითოეული რაიონი დამოუკიდებელ ერთეულს, თითქოს „სატელიტურ ქალაქს“ წარმოადგენს, რომლის ქვემოდან ზემოთ განვითარების ნაწილი სრულებით იკარგება და იქმნება ხისტი, დანაწევრებული ქალაქი.

ქალაქ თბილისის განვითარების და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის პროექტი – 1970-2000 წლები

1968 წელს წარმოდგენილი და განხილული იყო ქალაქ თბილისის ახალი, მესამე განვითარების და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა, რომელიც „თბილქალაქპროექტის“ მიერ იყო შესრულებული და განისაზღვრებოდა 30 წლის ვადით. პროექტის ავტორები იყვნენ: არქიტექტორები ი.ჩხენკელი, ა. ჯიბლაძე, გ.ჯაფარიძე და გ.შავდია; ეკონომისტები ლ.ლორთქიფანიძე და ი. ბოლქვაძე (თბილისის გენერალური გეგმის ესკიზი, 1948-1970; თბილისის რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი 1953). პროექტის კონსულტანტი ა. კუზნეცოვი იყო. მსგავსად ორი წინამორბედი პროექტისა, ამჟამადაც მნიშვნელოვანი გახლდათ ქალაქის ფუნქციური ზონების განვითარება – საცხოვრებელი უბნების დაგეგმარება და განვითარება, სამრეწველო ზონების განვითარება, მწვანე სივრცეებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (ასათიანი, 1992).

ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის და განვითარების საპროექტო წინადადებების ვიზუალური და ნარატიული მასალის დამუშავებისას (იხილეთ სურათი 10), შეგვიძლია გამოვყოთ ორი მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც საპროექტო ჯგუფს ჰქონდა დაგეგმილი ახალი გენერალური გეგმის მიხედვით. ეს იყო: ა) განაშენიანების ერთ სისტემაში მოქცევის და ცენტრის როლის განსაზღვრის პირველი მცდელობა (იხილეთ სურათი 9); ბ) ძველი ქალაქის რეკონსტრუქციაზე საუბრის დაწყება.

ერთ დროს კომპაქტური ქალაქი ამ დროისთვის საკმაოდ დანაწევრებული და გაშლილი გახლდათ, არცთუ ისე მა-

რტივ რელიეფზე. დანაწევრება და ფრაგმენტულობა კი ვერ უპასუხებდა იმ დროს არსებულ საბჭოთა მმართველობის მოთხოვნას – კომპაქტურობას. დიღომი, ავჭალა-გლდანი, ვაკე-საბურთალო, „ცენტრალური“ გეგმარებითი რაიონი, საჯეირნო, ვარკეთილი, ნავთლუღი, სოღანლუღი და ლილოს რაიონები (ასათიანი 1992, შავდია 2014) ქმნიდნენ ქალაქის ცხრა ძირითად გეგმარებით ერთეულს. ჩამოთვლილი საცხოვრებელი უბნების ნაწილი განთავსებული იყო ქალაქის შემომსაზღვრელ ტერიტორიებთან (კიდეებთან) და მოსახლეობის ქალაქის ცენტრალურ ნაწილთან მარტივად დაკავშირება ვერ ხერხდებოდა. შესაბამისად, საჭირო იყო ქალაქის განაშენიანების კომპაქტურობის პრობლემის გადაჭრა. პროექტის ფარგლებში დამუშავებული ვიზუალური და ნარატიული მასალის საფუძველზე, ნათლად გამოჩნდა საპროექტო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული წინადადება. გამოიკვეთა იმ დროს არსებული პრობლემის – ქალაქის საცხოვრებელი უბნების დანაწევრების, ქალაქის ერთიანი სტრუქტურის ფრაგმენტაციის გადაჭრის გზა და დაისახა მომავალში ქალაქის განვითარების კონცეფცია. საპროექტო ჯგუფმა წამოაყენა წინადადება ქალაქის გრძივი ღერძის ნაცვლად მისი განივად განვითარების და თბილისის ზღვის ტერიტორიის (არსებული უბნების) ქალაქის განაშენიანების ერთიან სისტემაში მოქცევის (ასათიანი, შავდია, იხილეთ 1970 წლის განვითარების წინადადება – სურათი 7,8, 9, 10), ქალაქის ცენტრალური ღერძის გაგრძელების და მისი მარცხენა სანაპიროსკენ განვითარების, ასევე, თბილისის ზღვის ტერიტორიის სარეკრეაციო ზონის გააქტიურების (რეკრეაციის თვალსაზრისით). ეს არ ნიშნავდა ქალაქის ცენტრის სრულად გადმოტანას, არამედ იყო მხოლოდ ქალაქის სტრუქტურის გაერთიანების მცდელობა (შავდია, 2014). როგორც ნ.ასათიანი წერს: „თბილისის ისტორიაში პირველად მოხდა ასეთი დიდი მასშტაბით, მთელი ქალაქის განვითარების გათვალისწინებით ცენტრის როლის განსაზღვრა და ქალაქის სივრცით კომპოზიციაში ცენტრის პრობლემის დაყენება“. წარმოდგენილი კონცეფცია არ განხორციელდა.



ვიზუალური მასალა შესრულებულია საქართველოს ეროვნულ არქივებში
მოძიებული ქალაქის განვითარების გეგმის მიხედვით.

სამუშაო ჯგუფი: ია ჯუპატაძე, ლაშა ძიძიშვილი, ირაკლი ჯოჭლაშვილი, ნინო ავალიშვილი
გიორგი დესპოტაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსისტეტის, 2021-2022

1970-იან წლებში ქართველმა მკვლევრებმა (ვ. ბერიძე, ი. ციციშვილი, ს. კინწურაშვილი, თ. კვირკველია და სხვა) საუბარი დაიწყეს ქალაქ თბილისის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემებზე. ნელ-ნელა მოხდა ამ საკითხის გააქტიურება და 1975 წელს თბილისის ისტორიული ნაწილის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონად გამოცხადება (გ.კიკნაძე. რედაქტორი ქურთიშვილი, ფალავანდიშვილი, 2022), ამან კი განაპირობა ახალი საპროექტო წინადადებების გაჩენა, რომელსაც უნდა გაეთვალისწინებინა ტერიტორიის ისტორია, ღირებულება და სოციალური კონტექსტი.

დასკვნა

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, თბილისი შედარებით სწრაფი ტემპით ვითარდება. საბჭოთა პერიოდის რეგულაციებმა, სტანდარტებმა და განვითარების დოქტრინებმა ქალაქი საგრძნობლად შეცვალა, რომელიც დღეს, ჯერ კიდევ ამდენი ხნის შემდეგ, მნიშვნელოვან პრობლემებს განიცდის და მისი შეცვლა თუ გაუმჯობესება რთულია.

პროექტის ფარგლებში გავაანალიზეთ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 2000 წლამდე შემუშავებული და განხორციელებული ქალაქის განვითარების ეტაპების ძირითადი ცვლილებები, რათა პარალელი გაგვევლო საბჭოთა ქალაქის ძირითადი დაგეგმარების პრინციპებთან. არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვით, ვიზუალური მასალის მომზადებითა და შესწავლით შევძელით დაგვენახა, თუ როგორ ვითარდება ქალაქი საბჭოთა დოქტრინების გათვალისწინებით; თუ როგორ ხდება ხელოვნურად, ზემოდან ქვემოთ მეთოდით ქალაქის დაპროექტება მომავალი 15-20-30 წლით ისე, რომ ქალაქის ისტორია, მისი მოსახლეობის ცხოვრების სტილი, კულტურა, სოციალური ფაქტორი უგულებელყოფილია; თუ როგორ ხდება ქალაქის ურბანული ქსოვილის სტანდარტული, ერთიანი პრინციპით დაპროექტება, საცხოვრებელი უბნების ხელოვნურად შექმნა ერთი სტანდარტული ტიპური დაგეგმარების მიხედვით.

ვიზუალური მასალის მომზადებამ, ქალაქის შემადგენელი ელემენტების შრეებად დალაგებამ, საცხოვრებელი უბნების მორფოლოგიის შედარებამ, სტატისტიკურმა მონაცემებმა, სხვადასხვა ვიზუალურმა/ვიდეომასალამ ნათლად დაგვანახა საბჭოთა პერიოდის ქალაქ თბილისის ქსოვილის ტრანსფორმაცია, მისი მორფოლოგიის ზრდა; ნათლად გამოჩნდა საბჭოთა ქალაქგეგმარებითი თავისებურებები, ურბანული და არქიტექტურული უხეში ჩარევები, რომელიც საბჭოთა მმართველობამ საკუთარი მიზნების მისაღწევად – საზოგადოებაში სისტემის მაქსიმალურად დანერგვის ინსტრუმენტად გამოიყენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი, ნ. (1992). თბილისის არქიტექტურა 1970-1980-იანი წლები. გიორგი ჩუბინაშვილისსახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი. [Online] ხელმისაწვდომია: http://www.georgianart.ge/index.php/en/component/content/article/197.html?ed=17
2. ასათიანი, ნ. (1989). Градостроительства советской Грузии 30-х годов [30-იან წლებში საბჭოთასაქართველოს ქალაქების დაგეგმარება]. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი. [Online] ხელმისაწვდომია: http://www.georgianart.ge/index.php/en/research/130--30-.html
3. ბერიძე, ვ. (1934). „მომავალი ტფილისი“. ლიტერატურული გაზეთი, 6 ნოემბერი 1934.
4. ბერიძე, ვ. (1960). „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები“. საბჭოთა საქართველო.
5. კინწურაშვილი, ს. (1978). „ძველი თბილისის მთავარი არტერია და ზოგიერთი წინადადება მისირეგენერაციის შესახებ“. საბჭოთა ხელოვნება, 34-42.
6. კვირკველია, თ. (1973). „თბილისის მომავალი“. საბჭოთა ხელოვნება, 43-46.
7. ჯანბერიძე, ნ. (1971). „ქართული საბჭოთა არქიტექტურა, თბილისი, ხელოვნება“.
8. ჯაოშვილი, ვ. (1989). „თბილისი. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო“.
9. ჯაში ნ. (1983). სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღრება, თბილისი, ხელოვნება.
10. შავდია, გ. (2014). სადოქტორო დისერტაციის ნაშრომი: თბილისის განვითარების აქტუალურიპრობლემები (მდგრადი განვითარების კონტექსტში). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

11. ჭანიშვილი, გ. (2019). თბილისი. თავი წიგნიდან: საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება1809-1918 წლებში. დ. ხოშტარიას საერთო რედაქციით, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართულიხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.
12. Bater, J. H. (1980). The Soviet city: ideal and reality. E. Arnold.
13. Crawford, C. E. (2022). Spatial revolution: Architecture and planning in the early Soviet Union. Cornell University Press.
14. DeHaan, H. D. (2013). Stalinist city planning: Professionals, performance, and power. University of Toronto Press.
15. Engel, B., Malko, A., Koralek, D., Egorova, M., & Kornauhova, N. (Eds.). (2019). Mass housing in the socialist city: Heritage, values, and perspectives: Case studies in Germany, Russia, and Ukraine. DOM publishers.
16. Frederiksen, M. D. (2012). „'A gate, but leading where?' In search of actually existing cosmopolitanism in Post-Soviet Tbilisi". In Post-Cosmopolitan Cities: Explorations of Urban Coexistence, 120-140.
17. Harris-Brandts, S., & Sichinava, D. (2021). „Architecture and friendship among nations: the shifting politics of cultural diplomacy in Tbilisi, Georgia". International Journal of Heritage Studies, 27 (12), 1213-1229.
18. Humphrey, C. (2005). „Ideology in infrastructure: architecture and Soviet imagination". Journal of the Royal Anthropological Institute, 11 (1), 39-58.
19. Kalashnikov, A. (2020). „Historicist Architecture and Stalinist Futurity". Slavic Review, 79 (3), 591-612.
20. Kiknadze, G. (2022). „1975-1985: The Reconstruction, Regeneration, and Adaptation of Tbilisi's Old Districts. A Historical Review and Analysis of Preconditions". In Building Socialist Georgia, edited by Palavandishvili, N., and Kurtishvili I.
21. Manning, P. (2009). „The city of balconies: elite politics and the changing semiotics of the post-socialist city-

scape“. In City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet, 71-102.
22. Palavandishvili, N., & Kurtishvili I. (Eds.) (2022). Building Socialist Georgia. Goethe-Institute Georgia, Tbilisi: Cezanne Printing House.
23. Salukvadze, J., & Golubchikov, O. (2016). „City as a geopolitics: Tbilisi, Georgia–A globalizing metropolis in a turbulent region“. Cities, 52, 39-54.
24. Stătică, I. (2021). „Urban courtyards: ideologies of domesticity and the landscape of welfare in communist Bucharest“. Landscape Research, 46 (4), 574-587.
25. Sykora, L. (2009). „Post-socialist cities“. In International Encyclopedia of Human Geography, edited by Kitchin R. and Thrift N., 387–395.
26. Van Assche, K., & Salukvadze, J. (2012). „Tbilisi: urban transformation and role transformation in the post-Soviet metropolis“. In Remaking Metropolis, 86-102.
27. Vardosanidze, V. (2009). „Social dimensions of urban development in post-Soviet Georgia. the quest for participatory planning in shattered social landscapes“. In City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet, 189-208.
28. Тутберидзе д. [ред.] (1934). За Социалистическую Реконструкцию Тифлиса – к обсуждению проекта планировки города. Тифлис: Тифсовет.
29. Квирквелия, Т. (1985). Архитектура Тбилиси. Стройздат.

საარქივო მასალა:

1. Протокол комиссии ВСК при ЦИК СССР о вопросу о планировке и соц. реконструкции города Тбилиси [სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ვსკ-ის კომისიის, სოც. ქალაქ თბილისის დაგეგმარების და რეკონსტრუქციის ოქმი] 16/1. 1933. ფონდი 14, ანაწერი 4, საქმე 6. საქართველოს ეროვნული არქივი.
2. План реконструкции и развития города Тбилиси на 1951–1970 годы [ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის და განვითარების გეგმა, 1951-1970 წლები]. საქართველოს ეროვნული არქივი – ფონდი 14, ანაწერი 11, საქმე 288.
3. Постановление 62 Совета Министров Грузинской СССР 23 Января 1948 г О Составлении Генерального Плана Тбилиси – Приложение №1 [1948 წლის 23 იანვრის, საქართველოს სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს 62-ე დადგენილება ქალაქის გენერალური გეგმის შემუშავების შესახებ, დანართი №1]. საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 14, ანაწერი 11, საქმე 288.
4. ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის პროექტი 1947. საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 14, ანაწერი 4, საქმე 295.
5. Генеральный план схема строительство первой очереди 1968-1975 [ქალაქ თბილისის გენერალური გეგმა 1968-1975 წლები]. გ. შავდიას ოჯახის პირადი არქივიდან.
6. Проект Генерального Плана Тбилиси – Проект Реконструкции и развития города 1950-1970 гг. [ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის პროექტი – ქალაქის განვითარება და რეკონსტრუქცია 1950-1970 წლებში]. ფონდი 14, ანაწერი 11, საქმე 291. საქართველოს ეროვნული არქივი.
7. Проект планировки или генеральный план города Тбилиси [ქალაქ თბილისის დაგეგმარების პროექტი ან გენერალური გეგმა].1947. ფონდი 14, ანაწერი 4, საქმე 295. საქართველოს ეროვნული არქივი.

8. Проект реконструкции города Тбилиси (1-й том), Текстовая часть [ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის პროექტი (პირველი ტომი) ტექსტური და ვიზუალური ნაწილი) 1934. ქალაქის დაგეგმარების სახელმწიფო ინსტიტუტი – გიპროგრადი, სსრკ. ხარკოვი. ფონდი 14, ანაწერი 11, საქმე 13. საქართველოს ეროვნული არქივი.
9. Проект реконструкции города Тбилиси (Том 2) [ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის პროექტი (ტომი 2) ტექსტური ნაწილი]. 1934. ქალაქდაგეგმარების სახელმწიფო ინსტიტუტი – ტიფსოვეტ „გიპროგრადი“ – სსსრ. ხარკოვი. გ. შავდიას ოჯახის პირადი არქივიდან.
10. თბილისის 1971 წლის განვითარების წინადადება. ფონდი 404/ანაწერი. 8/საქმე 26. საქართველოს ეროვნული არქივი.
11. თბილისის გენერალური გეგმის ესკიზი, 1948-1970. ფონდი 14, ანაწერი 4, საქმე 137. საქართველოს ეროვნული არქივი
12. თბილისის რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი 1953. მეორე წიგნი. ფონდი 14, ანაწერი 6, საქმე 290. საქართველოს ეროვნული არქივი
13. თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი 1953. მეხუთე წიგნი. ფონდი 14, ანაწერი 6, საქმე 291. საქართველოს ეროვნული არქივი
14. საქართველოს საბჭოთა არქიტექტორები, ყრილობა 1936. საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირის ერთდროული გაზეთი, თებერვალი.

სურათი 7. *თბილისის გენერალური გეგმა 1968-1975 წლები.*
მასალა აღებულია გ.შავდიას საოჯახო არქივიდან



სურათი 8. *თბილისის განვითარების გეგმა,ქალაქის სტრუქტურა დამაგისტრალების კლასიფიკაცია. ჩანახატი. მასალა აღებულია გ.შავდიას ოჯახის არქივიდან*



სურათი 10. *ქალაქ თბილისის განვითარების წინადადება 1970-იანი წლები. ძირითადი მახასიათებლები. საქართველოს ეროვნული არქივი*

სურათი 11. *ქალაქ ტფილისის დაგეგმარების სქემა. 1934 წელი.*
2B განვითარების გეგმის ვარიანტი.საქართველოს ეროვნული არქივი



სურათი 12. *ქალაქ ტფილისის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები. 1934 წელი. საქართველოს ეროვნული არქივი*

სურათი 13. *სანაპიროს განაშენიანების პროექტი, 1952.*
ლ. ხარაშვილის საოჯახო არქივი

მომცვრეული ქალაქი: ჯართის შეგროვება თბილისის ინფრასტრუქტურის ნანგრევებში

პირველად ჯართი თბილისში გიგლასთან ერთად შევაგროვე. ორმოცდაათ წელს გადაცილებული გიგლა 2011 წლამდე ელექტრო-ინჟინრად მუშაობდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტში. რესტრუქტურიზაციის გამო, გიგლამ სამსახური სამუდამოდ დაკარგა – მას შემდეგ კი, ჯართის შეგროვებითა და ხელოსნობით ირჩენდა თავს.

გიგლასთან დაბარებულ დროს, დილის 10 საათზე ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი კვარტლის ხუთსართულიან კორპუსთან მივედი, რომელიც თავის დროზე რეგიონებიდან ჩამოსული სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციისთვის აშენდა. გიგლა მამასთან და დის ოთხწევრიან ოჯახთან ერთად ამ კორპუსის ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა, რომელიც მისმა ოჯახმა 1964 წელს მიიღო. გიგლა კორპუსის გადმოღმა დადგმულ რკინის ფარეხთან ფუსფუსებდა. ფარეხი გატენილი იყო ათასგვარი ფოლადის ნივთითა და გაფუჭებული ტექნიკით. აქ გიგლა ფერადი და შავი ლითონების ჯართს ახარისხებდა. მისვლისთანავე გიგლამ თავისივე ხელით აწყობილი ურიკა ფარეხიდან გამოაგორა, ბორბლებზე ზეთი წაუსვა, ჯართის მოსაგროვებელი რკინის მოღუნული ჯოხი მოიმარჯვა და კვარტლების შიდა ეზოებს გაუყვა. გზაში გამაფრთხილა, განსხვავებით სხვა შემგროვებლებისგან, ქალაქს მრავლად რომ ჰყავდა, ის ფულს ჯართის შეძენაში არასდროს იხდიდა და, საწვავის დაზოგვის მიზნით, არც მანქანით დადიოდა. ამიტომ გიგლა ჯართს პირდაპირ ქუჩებიდან კრეფდა, ურიკით ფარეხთან მოზიდავდა, ლითონებს ერთმანეთისგან განაცალკევებდა და ბოლოს თავის „მოსკვიჩზე“ შემოაწყობდა ქავთარაძის ბაზრის ჩამბარებელ პუნქტში წასაღებად. თუ სამეზობლოში ვინმეს ჯართის ბინიდან გატანა მოუნდებოდა, მაგალითად, ძველი და

უფუნქციოდ დარჩენილი რადიატორების, გაზქურებისა თუ კონდიციონერების, ვაჟა-ფშაველას კვარტლებში თითქმის ყველამ იცოდა, რომ გიგლასთვის უნდა მიემართა.

მიაგორებდა გიგლა თავის ურიკას კვარტლების შიდა, გამწვანებულ სივრცეებში და ჩემ თვალწინ იშლებოდა ქალაქის ჯართის ტოპოგრაფია. სათამაშო მოედნის ჩამოშლილი ღობის ნაწილები, სამშენებლო ნაგვის გროვები, უბნის ბუნკერებთან მიყრილი ათასგვარი ხარახურა. გიგლამ ამიხსნა, რომ ჯართის შეგროვებისას ის ქალაქს ზედმიწევნით აკვირდებოდა, არაფერი რომ არ გამორჩენოდა. ამიტომ გიგლა არათუ ქუჩებიდან, არამედ ჯართის ამოღებას არც ნაგვის ურნებიდან ერიდებოდა. მართალია, ნაგვის ურნებში მოხვედრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები კერძო კომპანია „თბილსერვის ჯგუფს“ ეკუთვნოდა, გიგლასგან განსხვავებით, ეს კომპანია ნარჩენებს განცალკევების გარეშე აგროვებდა და დიდი ლილოს ნაგავსაყრელზე ერთიანად ახვავებდა. ამიტომ გიგლა ნაგვის მანქანების გამოჩენამდე, რომლის გრაფიკიც ზეპირად იცოდა, დაივლიდა კვარტლების ურნებს და ნარჩენებს არათუ ერთმანეთისგან აცალკევებდა, არამედ გადასამუშავებლადაც საგულდაგულოდ ამზადებდა.

თბილისი, 2022. ავტორის ფოტო

გიგლას აზრით, ჯართის შემგროვებლებს ერთი რამ აერთიანებდათ – ისინი თბილისს და მის ცალკეულ უბნებს ჭარბი ჯართისგან ასუფთავებდნენ. მაგრამ ეს ჯართი მისთვის არა მხოლოდ ურბანულ-სამომხმარებლო ქცევის შედეგი, არამედ ქალაქის ფიზიკური დემონტაჟის გამოძახილიც იყო, რაც საბჭოთა ინფრასტრუქტურამ და ინდუსტრიამ 1990-იანი წლებიდან განიცადა. ამიტომ გიგლა თბილისს ჯართით სავსე ქალაქად აღიქვამდა, რომელსაც თავადვე ასუფთავებდა. „ამ ქვეყანაში ჯართად გაიყიდა ყველაფერი. მაგრამ ეს ქალაქი მაინც ჯართითაა სავსე. ბევრ რამეს, რასაც ჩვენ ვაგროვებთ, იმ ჯართის ნარჩენებია. მაგრამ მალე ეს ჯართიც დამთავრდება".

ფრაზები, „ჯართით სავსე ქალაქი" „ჯართის ნარჩენების შეგროვება" და „ეს ჯართიც დამთავრდება" ჩემი კვლევისთვის საკვანძო აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ნათელი იყო, რომ ჯართის ნარჩენების შეგროვება მნიშვნელოვან არაფორმალურ ეკონომიკურ საქმიანობად იქცა, რომლის საშუალებითაც სამსახურის გარეშე დარჩენილი ადამიანები ოჯახებს არჩენენ და თანაც ქალაქს მოზღვავებული ჯართისგან წმენდენ. მეორე მხრივ კი, თვითგადარჩენის ეს ფორმა თავად ქალაქის საკვანძო ინფრასტრუქტურებისა და ინდუსტრიების ჩამოშლაზე, მის გაჯართებასა და გაყიდვაზე დგას, რის გამოც ჯართის ნარჩენები მუდმივი მღელვარების წყაროა მათივე წარმავალობის გამო (Khalvashi 2023). შეგროვებისა და ჩამოშლის, თვითგადარჩენისა და რღვევის, განგრძობადობისა და წარმავალობის გადახლართულობამ მოსვენება დამიკარგა. მინდოდა გამეგო, რას ნიშნავს იცხოვრო „ჯართით სავსე" ქალაქში, რომლის შეგროვებაც ერთდროულად თვითგადარჩენის მანიშნებელიცაა და ჩამოშლისაც? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად 2021 წლის ივლისიდან 2022 წლის აგვისტომდე ვატარებდი საველე კვლევას ჯართის შემგროვებლებთან, ჩამბარებლებთან და მიმღებებთან ქალაქ თბილისის სხვადასხვა ნაწილში და ვცდილობდი მომეხელთებინა მათი ყოველდღიურობა, ქალაქთან კავშირი და შეკეთების შრომა. ამ გრძელმა პროცესმა მიმიყვანა ცნება „მომცვრევასთან", რაც მოსავლის

აღების შემდეგ დარჩენილი ჭირნახულის მოძებნა-მოგროვებას ნიშნავს და ის მჭიდროდაა გადაჯაჭვული ეკონომიკური გადანაწილების ეთიკასა და მორალთან.

მართლაც, მომცვრევა აგრარული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პრაქტიკაა და სხვადასხვა კულტურებში განსხვავებული გამოხატულება აქვს. დასავლურ ქრისტიანულ კულტურებში, ის დაკავშირებული იყო ფეოდალურ ეკონომიკურ მორალთან, რომლის საფუძვლებიც ბიბლიის მეხუთე წიგნში, ლევიანებშია მოცემული (ლევიანები 19: 9, 10). მოსეს კანონი მიწათმოქმედებს უკრძალავდა მოსავლის მთლიანად აღებას. მომკელებს სრულად არ უნდა მოესუფთავებინათ თავიანთი მინდვრის ნაპირები. მათ, ვინც ყურძენს კრეფდა, დაცვენილი მარცვლები იქვე უნდა დაეტოვებინათ, რათა მორჩენილი მოსავალი ღარიბებს, ქვრივებსა და ხიზნებს შეეგროვებინათ. მოსავლის ნარჩენების შეგროვებით ადამიანი მშიერი არ დარჩებოდა და არც საზოგადოებას დააწვებოდა მისი რჩენა ტვირთად. თუმცა, მომცვრევა შემგროვებლებისგან განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობასა და სხეულებრივ მზაობას მოითხოვდა, რადგან ის ფიზიკურად რთულ საქმედ ითვლებოდა. გვიანფეოდალურ საზოგადოებებში ამ ბიბლიურმა შეგონებამ ცოტა ხნით ვალდებულების ფორმაც კი მიიღო, რომლის მიხედვითაც მიწათმფლობელებს ევალებოდათ, მოსავლის აღების შემდეგ ღარიბებისთვის ნარჩენების შეგროვების უფლება მიეცათ (Bize 2019: 2).

მსგავსად დასავლურ ქრისტიანული კულტურებისა, ქართულ ქრისტიანულ-ფეოდალურ ტრადიციაში მომცვრევასთან დაკავშირებული ვალდებულება მოსეს კანონიდან იღებს სათავეს და ის ვახტანგ მე-VI-ის სამართლის წიგნში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს (ტომი I: 941-942). მომცვრევა გადანაწილების ეთიკის გარდა, ასევე გულისხმობდა წარმოსახვისა და თამაშის ელემენტებსაც და მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალგვარი ტერმინოლოგიით აღნიშნავდნენ, რომელთა შორისაა

მონაგერება, კიმპალაობა, მოცენცვა. ყველა ამ ტერმინში იგულისხმება მოსავლის აღების შემდგომ დარჩენილი ჭირნახულის მოძებნა-მოგროვება. რევაზ ინანიშვილი პატარა მოთხრობაში „კუკრუჭანები“ კაკლის ხეების დაბერტყვის შემდეგ დარჩენილი ჭირნახულის მომცვრევაზე გვიყვება. მომცვრევის უფლებას ბავშვები სოფლის ზრდასრულებისგან იღებენ, მხოლოდ ერთი პირობით – „დაუკრეფავს არაფერს შეაწოდოთ ხელიო“. მაგრამ ტოტებში დარჩენილი ერთი კაკლის მომცვრევას ბავშვები საგანგებოდ გამზადებული ხელკეტებით მთელი ნახევარი საათი უნდებიან. ეს კი იმას მიანიშნებს, რომ ნარჩენის ჩამოყრა განსაკუთრებულად საწვალებელი საქმეა და მნიშვნელოვანი ტექნიკური და შემოქმედებითი უნარების ჩართვას გულისხმობს.

ის, რასაც გიგლა „ჯართის ნარჩენების“ შეგროვებას უწოდებს, მომცვრევას ბევრი რამით ჰგავს: ჯართის შეგროვება იერარქიზებულია, მასზე წვდომა შეზღუდულია და ის ძლიერ ფიზიკურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს მოითხოვს ამ სფეროში ჩართული ადამიანებისგან. ამიტომაც, ამ საქმიანობით, ძირითადად, მამაკაცები არიან დაკავებულნი. თუმცა, განსხვავებით ყანებსა და მდელოებზე შეგროვებული ჭირნახულის ნარჩენებისა, „ჯართის ნარჩენები“ ჩამოშლილ ინფრასტრუქტურულ ან ინდუსტრიულ სივრცეებში მოიპოვება, რომელთაც თვითრეგენერაციის უნარი არ გააჩნიათ. ამის გამო, ჯართის შეგროვების ადგილები მორალურად სათუო სივრცეებია, პოსტ-საბჭოთა ძარცვისა და ჩამოშლის ასოციაციებს რომ აღძრავენ. თომას რაკოვსკი თვითგადარჩენის ასეთ ფორმას, რომელიც ჩამოშლილ ქალაქს მატერიალურ რესურსად აქცევს, მონადირე-შემგროვებლური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ უნარებთან აკავშირებს (2019). ამ უნარების საშუალებით, ადამიანები ცდილობენ ცხოვრების (გა)დალაგებას, რითაც მათი ყოველდღიურობა და სივრცეც დრამატულად იცვლება. თუმცა, ჩემი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ჯართის შეგროვება თბილისის ინფრასტრუქტურის ნანგრევებში სცდება აღნიშნულ მნიშვნელობას, რომ-

ლის მიხედვითაც ის მხოლოდ თვითგადარჩენის გეგმებთან და უნარებთან ასოცირდება. ჯართი მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს ქალაქის შეკეთებასა და წარმოსახვით განახლებაშიც, რაც შემგროვებლების განსაკუთრებულ შემოქმედებით თუ ტექნიკურ უნარებსაც ააშკარავებს. ამიტომ მომცვრეული ქალაქი ერთდროულად ჩამოშლისა და აღდგენის ადგილებია. ჯართის მომცვრევა შემგროვებლებს ისტორიის ნანგრევებს უკან კი არ უხვავებს მომავლის საპირწონედ (Benjamin 1942), არამედ ეს ჯართი თავად არის მომავლის დაპირება, რაც შეკეთების მუდმივ პროცესში ცხოვრებას ნიშნავს.

„ჯართით სავსე ქალაქი“

შესაძლოა, უცნაურად ჟღერდეს თეორია, რომელიც პოსტ-საბჭოთა ცვლილებებს აგრარული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიით ხსნის. საბჭოთა კავშირის შემდგომ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები ხომ კაპიტალიზმს დაეფუძნა, რომელიც არათუ აგრარულ, არამედ სოციალისტურ ეკონომიკასთან შეპირისპირებით, ურყევი პროგრესისა და განახლების დაპირებას იძლეოდა. მისი გულმხურვალე დამცველები დღემდე ირწმუნებიან, რომ კაპიტალიზმს შესწევს უნარი, აღმოფხვრას ეკონომიკური დეფიციტი, რომელიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფო სოციალიზმმა დატოვა. თუმცა, პარადოქსულია, რომ სწორედ ის, რაც დრომოჭმულად და უვარგისად გამოცხადდა – ინფრასტრუქტურული ობიექტების საბჭოთა სოციალისტური წესრიგი – პოსტ-საბჭოთა კაპიტალიზმის მთავარ ეკონომიკურ წყაროდ მოგვევლინა. ყოველივე ეს კი იძლევა ბიძგს, დავსვათ კითხვა: რა ხდება სინამდვილეში? არა რომელიმე იდეალურ სამოქალაქო საზოგადოებასა თუ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებში, არამედ ჩვენ გარშემო და ყოველდღიურად.

1990-იანი წლებიდან 2000-იანი წლების ჩათვლით, შავი და ფერადი ლითონების ჯართი ქვეყნის მთავარი საექსპო-

რტო საქონელი იყო, რომელიც შედარებით ნაკლები მასშტაბით, თუმცა დღემდე მაინც ინარჩუნებს წამყვან საექსპორტო სტატუსს.[1] რამდენიმე უახლესი სტატისტიკური მონაცემის მიხედვით, საექსპორტო საქონლის სათავეში 2020-2021 წლებში შავი ლითონის ჯართი (რომელიც ძირითადად თურქეთში იყიდება) და ასევე, სპილენძი და ფეროშენადნობები მოექცა (Eradze 2021), რაც ჩინეთის, ევროპისა და რუსეთის ბაზრებს პირველადი და მეორადი ნედლეულით ამარაგებს.[2] თუმცა, ბევრ სახელმწიფო ანგარიშში, სტატისტიკურ მონაცემსა თუ იურიდიულ დოკუმენტში, ბოლომდე ნათელი მაინც არ არის, რა შეიძლება მივიჩნიოთ ჯართად.[3] ამ დოკუმენტებით ირკვევა, რომ მეორად ნედლეულს, როგორიცაა შავი და ფერადი ლითონები, შესაძლოა ეწოდოს როგორც „ჯართი", ასევე „ნარჩენი". პირველი მიემართება მეტალების გაუთვალისწინებელი ცვეთით მიღებულ მასალას ანუ ჯართს, ხოლო მეორე, საწარმოო პროცესში ნედლეულის გათვალისწინებულ დანაკარგს ანუ ნარჩენს. მეტი სიცხადისთვის, ჯართად განიხილება ის შავი და ფერადი მეტალები, რომლებიც წინასწარგანზრახული გარემოებების გამო კი არ გაიცვითნენ, ჩამოიშალნენ ან დაიჟანგნენ, არამედ უნებლიეთ გამოუსადეგარ მეორად ნედლეულად გადაიქცნენ.

მიუხედავად ამისა, ჯართის შესახებ პრესის ზედაპირული მიმოხილვითაც კი ნათელი ხდება, რომ ჯართის ექსპორტის ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზა საბჭოთა პერიოდის მანქანა-დანადგარები, ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურებია, რომელთა დიდი ნაწილიც 1990-იან წლებში ჩამოიშალა და

---

[1] Domestic Exports of Georgia, National Statistics Office of Georgia, 2021 (January-November). Preliminary results. https://www.geostat.ge/media/42234/The-domestic-exports-in-January---November-2021.pdf

[2] იქვე

[3] საქართველოს მთავრობის დადგენილება №41. 8/02/2012; https://old.rs.ge/common/get–doc.aspx?id=10684 ; საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №85. 2/02/2007. https://matsne.gov.ge/ka/document/view/99868?publication=0

გაიყიდა. მათი ჩამოშლა ცვეთით გამოწვეული პროცესი კი არ ყოფილა, არამედ ახალი „ღირებულების შექმნისა და დეგრადაციის“ სპეციფიკური სტრატეგია (Martinez 2018: 24). ამიტომ ქართულ საჯარო მეტყველებაში ჯართი გავრცელებულ იურიდიულ და სამართლებრივ დეფინიციას არ შეესაბამება. ჯართის ხსენება ჩვენს ყოველდღიურ საუბარში მიზანმიმართული ჩამოშლის ან ძარცვის ასოციაციებს უფრო აღძრავს, რაც მეტალების არც გაუთვალისწინებელ ცვეთას და არც საწარმოო პროცესის შედეგად წარმოქმნილ ნარჩენს აღნიშნავს. როგორც დიანა ჯოვანოვიჩი შენიშნავს, პოსტ-სოციალისტური სერბეთის შემთხვევაში, ამგვარი ჯართი „შეუცვლელი, ვარგისი საგნებია, რომლებსაც გააჩნიათ პოტენციალი“; ის არის „მასალა, რომელიც საკუთარ ადგილზეა“... მაგრამ „დროებით ამ ადგილიდან ამოძირკვულია თავიდან გამოსაყენებლად, გადასაკეთებლად, გადასამუშავებლად“ (2021: 591). ამიტომ ჯართი „ბუნდოვანების“ ღირებულებაა, რადგან მისი მკაფიო კლასიფიკაცია რთულია (Alexander and Sanches 2019). ის არც მთლიანად ნარჩენია და არც ფასეულობა, არამედ ჯართი ამ ორ მოდალობას შორისაა მოთავსებული (იქვე: 2).

თბილისი, 2021. ავტორის ფოტო

ფერადი ლითონის საექსპორტო კომპანიის ერთ-ერთი მცირე მეწარმე ჩემთან საუბარში სწორედ ამ ბუნდოვანებაზე მიუთითებდა, როდესაც ის ჯართის წარმომავლობის დადგენის სირთულეზე მესაუბრებოდა. „თუ ვინმე მოიტანს რკინის მილს და ჯართად ჩამაბარებს, მაშინ ის მილი ჩემთვის უკვე ჯართია". ამ მხრივ, ჯართი მოქმედების მღვრიე ზონიდან ამოზრდილი ღირებულებაა, რომელიც ამბივალენტურ აფექტებსა და მორალურ შეფასებებს აღძრავს. მაშინ, როდესაც სიტყვა „ნაგავი" შესაძლოა აღნიშნავდეს ქალაქის ყოველდღიურობით წარმოქმნილ განზრახ ან „შემთხვევით გვერდით მოვლენას" (Hawkins 2006: vii), ჯართი გაცილებით უფრო რთული მნიშვნელობებისა და აფექტების საცავია, რადგან ის ქალაქის რღვევით მიტაცებულ ღირებულებას აღნიშნავს. ყოველდღიურ საუბრებში, ადამიანები ხშირად ამბობენ, „ჩვენი ქვეყანა ჯართად გაიყიდა" ან „ეს ქვეყანა ჯართია". ამ ფრაზებით, ისინი ირიბად საბჭოთა სოციალისტურ სისტემაში შექმნილი ღირებულების – ქარხნების, ფაბრიკებისა თუ ინფრასტრუქტურების – განზრახ გაჯართებას და კაპიტალისტურ საქონლად ქცევას გულისხმობენ, რის გამოც მხოლოდ ნანგრევების გროვა აღმოცენდება. „ჯართით სავსე ქალაქი" ამ პროცესის აღმნიშვნელი ფრაზაა, რადგან ის იმ ბუნდოვან ძალებსა და „უხილავ ხელ (ებ)ზე" მიგვანიშნებს, პოსტ-საბჭოთა ქალაქი რომ ნაალაფარ სივრცედ აქციეს. ნაალაფარზე კი მხოლოდ ნარჩენების მომცვრევაა შესაძლებელი.

მსგავს პროცესს ანა ცინგი „ნაალაფარ დაგროვებას" უწოდებს, რაც სამყაროს ერთი წესრიგიდან ღირებულების ამოღებას და მის მეორე წესრიგში გადატანას გულისხმობს (2015). ცინგი ყურადღებას ამახვილებს ღირებულების „თარგმნაზე ადგილებს შორის" (იქვე: 62). ასეთი „თარგმანის" დროს, სიმდიდრის დაგროვება შესაძლებელია „კაპიტალიზმის კონტროლს მიღმა შექმნილი ღირებულებით" (2015: 63). საქართველოში ეს თარგმანი განსხვავებულ ეპოქებს შორის ხდება. ჯართი ისეთი ნაალაფარია, რომელიც დიდწილად საბჭოთა მოდერნულობიდან ამოიღეს და კაპიტალისტურ ეკონომიკურ წყობაში გადაიტანეს. განსხვავებით ცინგის მიერ აღწერილი მაცუტაკეს სოკოების-

გან, რომლებიც გაჩეხილი ტყეების ნანგრევებში სპონტანურად აღმოცენდებიან, ჯართი ჩამოშლილი ქალაქის ნანგრევებში მრავლდება. მაგრამ რადგან მას სოკოსგან განსხვავებით რეგენერაციის უნარი არ გააჩნია, ამიტომ ჯართი პოსტ-საბჭოთა ძარცვის მეტაფორა, პრაქტიკა და აფექტია (Khalvashi 2018). ამრიგად, „ნაალაფარი დაგროვება“ თავად კაპიტალიზმისვე ლოგიკაშია ჩაშენებული, როგორც განზრახვა. ის უკან ტოვებს გაჩეხილ ტყეებსა და ჩამოშლილ ინფრასტრუქტურებს, სადაც უნებლიეთ აღმოცენებული სოკოებისა და შემთხვევით შემორჩენილი ჯართის მომცვრევაა შესაძლებელი. ეს კი ახალ კავშირებს ადგენს ადამიანებს, საგნებსა და გარემოს შორის და მათ შემოქმედებით თუ წარმოსახვით უნარებსაც ააშკარავებს.

მეტალების მიტაცება და მათი მალულად გატანა სხვა სამყაროში ისე, რომ უკან მხოლოდ გლოვისა და ნანგრევების გროვა რჩება, ქართული ნაციონალური კოსმოლოგიის ნაწილიცაა. ის კოლექტიურ გრძნობებსა და მეხსიერებაში ჩალექილი ტროპია, რომლის მიხედვითაც საქართველო არა მხოლოდ მეტალურგიის დაბადების აკვანია (Gilmour et al. 2020; Qeburia ბეჭდვაში), რომლის სათავეშიც ხალიბები („რკინის მკეთებლები“) დგანან (Khakhutaishvili 2009 [1987]: 14-15), არამედ ოქროს მოპოვებისა და დამუშავების არქაული სივრცეც, რაც ოქროს საწმისის მითში განსხეულდა. ამიტომ, საქართველოში მეტალებს ეკონომიკურ ღირებულებასთან ერთად, ნაციონალური იდენტობის გამოწრთობაც აკისრიათ. შესაბამისად, გასაკვირი არც ისაა, რომ ოქროს საწმისის კოლხეთიდან გატაცება ძარცვის ყველაზე ცნობილი ტროპია, რაც მეტალების შესახებ მკვიდრი ცოდნის სხვა სამყაროში გატანას და ამით გამოწვეულ სასოწარკვეთილებასა და ჩამოშლას აღნიშნავს. საბჭოთა კავშირმა ქართული ინდუსტრიის განვითარება სწორედ ამ დაკარგული მეტალურგიული ცოდნის აღორძინებას დაუკავშირა, რათა ადამიანები უფრო მეტი ენთუზიაზმით მოჰკიდებოდნენ საკუთარი ტრადიციების ჩართვას სოციალისტური პროგრესის პროექტში. თეა ქამუშაძე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის მაგალითზე გვაჩვენებს,

რომ რეპრეზენტაციულ დონეზე, ამისთვის დოკუმენტური და მხატვრული ფილმებიც იქმნებოდა, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით, ადამიანები წინასწარ აგროვებდნენ ჯართს ჯერ კიდევ მშენებარე საბჭოთა მეტალურგიული ქარხნისთვის (ქამუშაძე 2022).[4]

„ჯართით სავსე ქალაქი" რკინისა და ადამიანების თანაცხოვრების ასეთი ისტორიის ფონზე აღმოცენდა, რამაც შესაძლებელი გახადა პოსტ-საბჭოთა თბილისის მომცვრევა. მაგრამ, საინტერესოა, როგორ გადაიქცა თბილისი „ჯართით სავსე" ქალაქად? იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ქალაქის მომცვრევის ცნება, საჭიროა ვიცოდეთ კონკრეტული ინფრასტრუქტურების ჩამოშლის ისტორიები, რომლებმაც მათ გაჯართებას დაუდეს საფუძველი. ამისათვის ყურადღებას ქალაქის გათბობის ცენტრალურ სისტემაზე გავამახვილებ და თხრობას გვიანი საბჭოთა პერიოდის თბილისიდან გავაგრძელებ. ეს პერიოდი, ალექსეი გოლუბევის მიხედვით, შესაძლოა „სტიქიური მატერიალიზმის" ეპოქადაც გავიგოთ, როდესაც საბჭოთა მოდერნულობა მუდმივ შეკეთებას საჭიროებდა (2020), თუმცა ამისთვის საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები აღარ არსებობდა. ამრიგად, „სტიქიური მატერიალიზმი" იმ ყოველდღიურობას იხელთებს, რომელშიც გვიანი საბჭოთა კავშირის ინფრასტრუქტურები მოქმედებდნენ და მოქალაქეები საბჭოთა იდეოლოგიის მიღმა ამყარებდნენ წესრიგს მათ გარშემო არსებულ საჯარო თუ პირად სივრცეებზე.

„მტკივნეული" ინფრასტრუქტურები

საბჭოთა კავშირში გათბობის ცენტრალურ სისტემას კომუნალური სფერო ეწოდებოდა და ის საქალაქო მეურნეობის ნაწილი იყო, რომელიც ქალაქის მატერიალურ საფუძველს ქმნიდა. სხვა კომუნალურ სფეროებთან, წყალთან და გაზთან ერთად,

[4] ასეთი ფილმებია, ნიკოლოზ სანიშვილის „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", რომელიც ეფუძნება აკაკი ბალიაშვილის მოთხრობას „ვეფხია ხალიბაური" (1954); ოთარ იოსელიანის დოკუმენტური ფილმი „თუჯი" (1964).

გათბობა პრაქტიკულად უფასოდ მიეწოდებოდა მოსახლეობას, რაც „საბჭოთა უნივერსალისტური ინფრასტრუქტურული რეჟიმის“ ნაწილი იყო (Collier and Way 2004). ამიტომ თბილისის თითქმის ყველა უბანი საქვაბეებითა და რკინა-ბეტონის საკვამურებით იყო მორთული, რომელთა ნაშთები დღესაც მრავლადაა შემორჩენილი. გათბობის ცენტრალიზებული სისტემა ცალკეული თბომეურნეობების საშუალებით იმართებოდა, რომელსაც თბილისის თბომეურნეობების სამმართველო ედგა სათავეში.[5] თბომეურნეობების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი ორგანო კი თბილისის საბინაო სამმართველო იყო, რომელიც ცალკეული სახლმმართველობების საშუალებით საცხოვრისების კომუნალური სფეროს მუშაობას უზრუნველყოფდა.

იმის გასარკვევად, თუ როგორ მუშაობდა თბომეურნეობები გვიან საბჭოთა კავშირში, ქალაქის მთავარ არქივს მივადექი. ამ არქივებში მუშაობით გავარკვიე, რომ საბინაო სამმართველოს ანგარიშები გვიანი საბჭოთა კავშირის თბილისის ინფრასტრუქტურულ სიმყიფესა და ქალაქთან ადამიანების სენსორულ კავშირებს ააშკარავებს. ისინი გვიყვებიან ქალაქის ყოველდღიურობაში შემოჭრილ ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე, რომელთა შორის ლიფტები, ნაგავი და გათბობის ცენტრალური სისტემა განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ. 1963 წლის თბილისის საბინაო სამმართველოს ერთ-ერთ ანგარიშში ქალაქის „მტკივნეული“ ისტორია იშლება:

„შემოწმებით გაირკვა, რომ ლენინის ქ. № Y, X სახლში ჯერ კიდევ ზოგიერთი *მტკივნეული* საკითხები მოუგვარებელია, რაზედაც ამ სახლის მობინადრენი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ასე მაგალითად: დარღვეულია ლიფტების მუშაობის რეჟიმი... იმის გამო რომ წყალსადენის ქსელში არ არის საკმარისი წნევა 8-9-10-11 სართულებში მცხოვრები მობინადრენი მოკლებულნი არიან სასმელი წყლით სარგებ-

[5] თბილისის თბომეურნეობების მოსამზადებლად რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 9 მილიონი მანეთი იხარჯებოდა (საქართველოს რესპუბლიკა, 28.10.1994).

ლობას და ბინების გათბობას... სახლის შიგა თბოქსელი შესაკეთებელია. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველომ ვერ ჩაატარა ამ სახლის მეორე კვარტალურ საქვაბესთან მიერთება და ამჟამად სახლის გათბობა სწარმოებს არსებული ინდივიდუალური საქვაბიდან ნახშირის საწვავზე, რაც ვერ უზრუნველყოფს ბინების ნორმალურ გათბობას. სადარბაზო შესასვლელებში არ ხდება სისტემატური დასუფთავება. ზოგიერთ ადგილას ჩასასმელია მინები".[6]

ამრიგად, საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ქალაქი მუდმივ ურბანულ სიმყიფეს განიცდიდა. ამიტომ თბილისსა და მის მობინადრეებს შორის ურთიერთობა სიტყვა „მტკივნეულს" ჯერ კიდევ მაშინ დაუკავშირდა. მართალია „მტკივნეული" ისეთი გამოცდილებების აღსაწერად გამოიყენება, რომლებიც ინდივიდუალურად განცდილ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ტკივილს გულისხმობენ, გვიან საბჭოთა კავშირში, თბილისი, თავისი ურბანული პრობლემებით თავად გადაიქცა „მტკივნეულ" ადგილად, სადაც ამ განცდამ კოლექტიური ხასიათი შეიძინა. საბჭოთა კავშირის ნგრევამ ეს ტკივილები უკიდურესად გაამძაფრა. ქალაქში საყოველთაო სიცივემ დაისადგურა. პოსტ-საბჭოთა თბილისმა მოქალაქეების ძვალსა და რბილში პირდაპირი მნიშვნელობით გაატანა.

რამ განაპირობა ეს? გათბობის სისტემის ჩამოშლა რთული მატერიალური, სოციალური და გეოპოლიტიკური პროცესებით იყო განპირობებული. ამიტომ სხვა კომუნალური სისტემებისგან განსხვავებით, მან პრივატიზაციამდე ვერც კი მიაღწია, ფუნქციონირება, ავად თუ კარგად, მაინც რომ გაეგრძელებინა. სტივენ კოლიერი, საბჭოთა გათბობის პრივატიზაციის შეუძლებლობას პოსტ-საბჭოთა რუსეთის მაგალითზე, სადაც გათბობის სისტემა ჯერ კიდევ ცენტრალიზებულია, თავად ამ სისტემის მატერიალური საფუძვლებით ხსნის (2011). რადგანაც სისტემას არ გააჩნდა გათბობის ინდივიდუ-

[6] ქალაქის საბინაო სამმართველო; ფონდი №25, ანაწერი №1; სარქ. №212.

ალური კონტროლის მექანიზმები და ცალკეულ ბინაში არსებული რადიატორები ვერტიკალური ამწევებით ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, გათბობის სისტემის გამრიცხველიანება და ინდივიდუალური ტარიფების დაწესება მატერიალურადაც ძნელი იყო. საქართველოში ამას ემატებოდა რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან ბუნებრივი გაზისა და მაზუთის მოწოდების შეფერხება, რამაც ისედაც გაუმართავ თბომეურნეობების მუშაობას წყალი შეუყენა. თბილისის თბომეურნეობების უმეტესობა ტექნიკურად არც თხევადი საწვავით ხანგრძლივი მუშაობისთვის იყო გათვალისწინებული, რის გამოც 1991 წელს 57-მდე მძლავრი ქვაბი გაფუჭდა, მათ აღდგენას კი დიდი რაოდენობით სპეციალური ხარისხის მილები ესაჭიროებოდა.

თუმცა, აღნიშნული მატერიალური წინაღობის გარდა, გათბობის სისტემის ჩამოშლა სხვა მიზეზებითაც იყო განპირობებული. თბილისის მაშინდელი თბომეურნეობის სამმართველოს უფროსი, თემურ გურგენიძე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ ინტერვიუში, „ცენტრის“ ანუ მოსკოვის მიერ „რესპუბლიკისადმი ფარულ თუ აშკარა ხელის შეშლაზეც“ ალაპარაკდა გაზისა და მასალების განზრახ მიუწოდებლობის გამო, რაც თბომეურნეობების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას აყოვნებდა.[7] გამოდის, რომ საბჭოთა იმპერიის ცენტრი გათბობის ცენტრალიზებული სისტემების გავლითაც ცდილობდა სახელმწიფო სუვერენიტეტის მორყევას საკუთარ პერიფერიებში, სადაც ადამიანები დამოუკიდებლობას უშუქობასა და სიცივეში ზეიმობდნენ. ამას ემატებოდა, ადგილობრივი უწყებების მიერ დიდი ხნით გაჭიანურებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები ცალკეულ თბოსადგურებზე და მაგისტრალურ თბოქსელებზე. ამიტომ 1991 წლისთვის თბომეურნეობებში დაგროვდა ას მილიონ მანეთზე მეტი მოცულობის შესასრულებელი სამუშაო. თბოსადგურების უმოქმედობის

[7] საქართველოს რესპუბლიკა, „თბომეურნეობების ზამთრისთვის მზადება“. სამშაბათი, 29 ოქტომბერი, 1991. ავტორი მანანა აბაზაძე, საქინფორმის კორესპონდენტი.

გამო თბოქსელი დროთა განმავლობაში შეკეთებასაც ძნელად ექვემდებარებოდა. ამიტომ, მოუვლელ თბომეურნეობებთან ერთად, ფუნქციური გათბობის სისტემებიც კი ჯართის მიტაცების სასურველ სივრცეებად იქცა. ერთ-ერთი ასეთი თბომეურნეობა დიდ დიღომში მდებარეობდა. ამ უბნის მაცხოვრებელმა არსებული პერიოდი შემდეგნაირად გაიხსენა:

„დიდ დიღომში იყო არაჩვეულებრივი სისტემა, მაშინდელი დროისთვის „ბოლო სიტყვა“ – უზარმაზარი გვირაბები გადიოდა მიწის ქვეშ. ჩვენს თვალწინ ამოყარეს მიწიდან უზარმაზარი მილები... დაჭრეს და ჯართად წაიღეს. ცხელი წყალი გვქონდა 1992 წელს – გოჭი გაიფუფქებოდა, ისეთი. მართლა, მართლა... ბავშვებს არ ვუშვებდით ონკანთან. ცოტა ძველ რაიონებში საქვაბეები იყო. ნახშირით ან სხვა საწვავით ათბობდნენ. ქალაქის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის ნაწილი იყო საქვაბე. ბიჭები პაპიროსის მოწევას საქვაბეებთან სწავლობდნენ, შეყვარებულებიც იქ იმალებოდნენ...“

ეს კომენტარი მიგვანიშნებს გავრცელებულ შეხედულებასა და მტკივნეულ შეგრძნებებზე, გათბობის ინფრასტრუქტურების სისტემურმა ჩამოშლამ თბილისი სიცივის ბურუსში რომ გახვია. 1994 წელს ამ სიცივეზე თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი ალაპარაკდა. სტატია „სიცივე ქურქებშიც გაატანს“ თბილისის დამზაფრავ სიცივეზე წერდა: „დღევანდელი ყოფითი პრობლემებით გატანჯული დედაქალაქის მოსახლეობა დაზაფრული ელოდება ზამთარს. ნუთუ წლეულსაც სიცივესა და შიმშილში უნდა გავატაროთ იგი? ეს კითხვა, ბუნებრივია, ყველა თბილისელს აწუხებს“.[8] ტყეში ჩამოყრილი ტოტების შეგროვება გათბობის მიზნით აგრარულ და პოსტ-აგრარულ საზოგადოებებში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა (Bize 2022), მაგრამ ოთხმოცდაათიანი წლების თბილისში, მასში ქალაქის მოსახლეობაც ჩაერთო და მიმდებარე პარკებიდან და ტყეებიდან შეშის გამოზიდვა დაიწყო. სტატიიდან ირკვევა, რომ მაშინდელმა ქალაქის მერიამ განკარგულებაც კი გამოსცა

[8] საქართველოს რესპუბლიკა, 28/10/1994. ავტორი შოთა მაჭარაშვილი.

თბილისის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხე-ტყის სანიტარიული ჭრის შესახებ, მოსახლეობას კანონიერად რომ შესძლებოდა შეშის შესყიდვა და გაყინული სახლების გათბობა.

საჯარო ინტერნეტ წყარო

ამ პირობებში, ზოგიერთი თბომეურნეობა მაინც ახერხებდა გათბობის სისტემების გაჯართებისგან გადარჩენას. 1996 წელს, გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით, „თუ გული გულობს“, რომელიც თემქის დასახლების მესამე მიკრორაიონის მეხუთე კვარტლის თბომეურნეობას შეეხებოდა. „თბომეურნეობა, რომელიც ადრე ამ მიკრორაიონს ემსახურებოდა, გაზის უქონლობის გამო, კარგა ხანს გაუქმებული იყო, მაგრამ თანამშრომლებმა დიდი სიფხიზლე გამოიჩინეს და დაძაბულ დღეებში ყოველივე გადაარჩინეს გაძარცვისგან; იცოდნენ რომ დადგებოდა დრო და თბომეურნეობა ისევ საჭირო გახდებოდა“. გაზეთი სადღესასწაულო განწყობით გვაუწყებს, რომ თბომეურნეობის უფროსი სოსო გაბეჩავა და სხვა თანამშრომლები მოსახლეობას მხარში ამოუდგნენ და თბოსადგურის ადგილას კეთილმოწყობილი აბანო გააკეთეს, რომელიც გაჭირვების ხანს გაზზეც და საწვავზეც მუშაობდა.[9]

[9] „თბილისი“, 25/04/1995. ავტორი ნინო ბელაშვილი.

გათბობის სისტემის ეს მოკლე ისტორია ნათელს ჰფენს პოსტ-საბჭოთა თბილისის ურბანულ ცვლილებას: ჯართის მოპოვება შესაძლებელი გახდა ქალაქის ინფრასტრუქტურების ჩამოშლით. მართლაც, ჩამოშლილობა პოსტ-საბჭოთა ქალაქების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მახასიათებლად იქცა, რომელიც თბილისში სხვადასხვა ფორმით გამოიხატა: დაშლილი ქარხნები, გაფუჭებული ლიფტები, ჩამოშლილი ცენტრალური გათბობის სისტემები და მთლიანი საცხოვრებელი სახლები. თბილისში, რომელიც 10,000-მდე ავარიული სახლისა და 5,000 ჰექტრამდე გაუქმებული და დანგრეული ქარხნებისა თუ ფაბრიკების ქალაქია, ჩამოშლილობა აღნიშნავს ურბანულ და ინდუსტრიულ დეინვესტიციას, პოსტ-საბჭოთა ეკონომიკურ ცვლილებებს, სამოქალაქო ომებსა და აფექტებს, რომლებიც შეკეთების მუდმივ საჭიროებაში მყოფ ქალაქს უკავშირდება.[10] ამიტომ „ჯართით სავსე ქალაქი" მიგვანიშნებს ურბანულ დაღმასვლასა და გაუარესებულ ურბანულ ეკოლოგიაზეც, ქალაქს მყარი ნარჩენების საცავად რომ აქცევს. ამ დროს, ჯართის ნარჩენების შემგროვებლები ქალაქის არაფორმალურ სანიტრებად გვევლინებიან. ისინი არა მხოლოდ ჯართის გასაქონლებით არიან დაკავებულნი, არამედ ნაალაფარი ქალაქის მოოხრებულ კიდეებს ასუფთავებენ და აღადგენენ. ამიტომ ჯართის ნარჩენების შეგროვება ქალაქის შეკეთებაცაა და ჩამოშლაც, სიღარიბესთან გამკლავებაც და ფიზიკური დაღმასვლაც.

„ჯართის ნარჩენების" შეგროვება

კარლ მარქსმა თავის დროზე შენიშნა, რომ კაპიტალიზმის საფუძველში ბუნების ათვისებაა, რომლის დროსაც ნედლეული ბუნებრივი მდგომარეობიდან სოციალური ურთიე-

[10] სტატისტიკური მონაცემები აღებულია შემდეგი წყაროებიდან: https://www.radiotavisupleba.ge/a/31507355.html; და Brownfield Land in Tbilisi, Report conditioned by Tbilisi municipality and funded by the World Bank written by John Borrows, 2017.

რთობების სამყაროში გადადის (Alexander and Reno 2012). მარქსისტმა ფილოსოფოსებმა ამ პროცესს „მეორე ბუნება“ უწოდეს (Lukacs 1971; Adorno 1973), ნედლეული საქონლად რომ იქცევა და სხვადასხვა პროდუქტის სახით გლობალურ ბაზრებს ამარაგებს. თუმცა, პოსტ-საბჭოთა ჯართი საქონლის რადიკალურად განსხვავებული ფორმაა, ან იქნებ, ნედლეულის „მესამე ბუნებაცაა“, წარმოადგენს რა კომუნიზმის ნაშალს. მართლაც, პოსტ-საბჭოთა ინფრასტრუქტურები, რომლებიც ჯართის შეგროვების ნაყოფიერ სივრცეებად აღმოცენდნენ, წარსულის ისეთი „ნაშალია“ (*rubble)*, რომელიც ისტორიული „ნანგრევებისგან“ (*ruin*) განსხვავდება (Gordilo 2014: 5). ანთროპოლოგი გასტონ გორდილო „ნაშალს“ უწოდებს ისეთ მასალას, რომელიც ადამიანების შრომასა და ყოველდღიურ ჩვევებს განსაზღვრავს. განსხვავებით კულტურული მემკვიდრეობისა თუ ისტორიული ძეგლების „ნანგრევებისგან“, რომლებიც წარსულისა და ხელშეუხებლობის ნაციონალურ მგრძნობელობებს წარმოქმნიან, ნაშალი გაცილებით უფრო ყოფითი და ქმედითი ელემენტია ყოველდღიურ ურთიერთობებს, აფექტებსა და გაცვლის ფორმებს რომ ასაზრდოებს.

საბჭოთა ინფრასტრუქტურები წარსულის ასეთი ნაშალია, რომელსაც გიგლა და სხვა შემგროვებლები „ჯართის ნარჩენებს“ უწოდებდნენ. თუმცა, ეს ნაშალი თბილისში ახლა მხოლოდ საბჭოთა აღარაა, არამედ ის პოსტ-საბჭოთა ყოფის ნარჩენებსაც მოიცავს. როგორც ქრისტინა შვენკელი წერს, სახელმწიფო სოციალიზმისგან განსხვავებით, კაპიტალისტური ეკონომიკა დაგეგმილი მალფუჭადობის იდეაზე დგას, რაც იმთავითვე ჩაშენებულია ახალ ტექნოლოგიებსა და მატერიალურობაში, რათა მოგების წილი სამომხმარებლო სურვილების გაფართოებით გაიზარდოს (2020). პოსტ-საბჭოთა თბილისში ახალი ტექნიკური მოწყობილობების იმპორტმა, მართლაც წარმოქმნა ჯართის ახალი, უცაბედი წყარო. თუმცა, შემგროვებლებისთვის საბჭოთა ჯართი გაცილებით უფრო სასურველი რესურსია მათი წონისა და გამძლეობის გამო.

„ჯართს ვიბარებთ, ჯართს. ვიბარებთ რადიატორებს, კონდიციონერებს, სარეცხ მანქანებს“. ხმის გამაძლიერებლებით წარმოქმნილი ეს ექო თბილისისთვის იმდენად ორგანული გახდა, რომ მის გარეშე თითქმის წარმოუდგენელიცაა ქალაქის აკუსტიკური და სოციალური ყოველდღიურობა. 2000-იან წლებამდე, შემგროვებლები უფრო მეტად რადიატორებს იბარებდნენ. სხვადასხვა უბნებში მაცხოვრებლები ხშირად იმაზეც ხუმრობენ, რით ვერ გათავდა ეს რადიატორებიო. მერე ამ ფრაზას დაემატა „კონდიციონერები და სარეცხი მანქანები“, რაც უფრო პოსტ-საბჭოთა ფენაა, თუმცა მასში საბჭოთა კონდიციონერებიც მოიაზრება. ამ ფორმით, საბჭოთა კორპუსების მწკრივებში, ნაადრევად გაფუჭებულ საყოფაცხოვრებო ნარჩენთან ერთად, შემგროვებლები ნაალაფარი საბჭოთა თბოქსელის იმ ძლივს შემორჩენილ ატრიბუტებსაც იბარებენ, ბინებს უსარგებლო სუვენირივით რომ შემორჩათ. კორპუსის მაცხოვრებლები, რომლებმაც არ იციან უფუნქციოდ დარჩენილ თუჯის რადიატორებს, საბჭოთა თუ პოსტ-საბჭოთა კონდიციონერებსა და სარეცხი მანქანებს რა მოუხერხონ, შემგროვებლების არაფორმალური შრომის დახმარებით თავიდან იცილებენ არასასურველ რკინეულობას. ეს არა მხოლოდ ჯართის შემგროვებლების შემოსავლის მთავარი წყაროა, არამედ ხანდახან თავად მრავალბინიანი კორპუსების მაცხოვრებლებისაც.

თბილისი, 2021.
გაბრიელ ჩუბინიძის ფოტო

ამ საქმიანობისთვის, შემგროვებლები ძირითადად, საბჭოთა „ჟიგულებს“, ხანდახან კი, „ვოლგებსა“ და „მოსკვიჩებს“

იყენებენ. როგორც ერთმა ჯართის შემგროვებელმა ამიხსნა, თუჯის რადიატორების მსგავსად, საბჭოთა მანქანები უფრო გამძლე და უჟანგავი ფოლადითაა ნაკეთები, განსხვავებით თანამედროვე მანქანებისგან. ამიტომ მძიმე ჯართს მხოლოდ ამ მანქანებს ვანდობთო.[11] სხვა, უფრო ახალ მანქანებზე ხელი ისედაც არ მიგვიწვდება, მაგრამ რომც მიგვიწვდებოდეს, მაინც საბჭოთა ავტომობილებს გამოვიყენებდითო. შემგროვებლებს ხშირად არც ისეთი საჭრელი აპარატები აქვთ, დიდი რკინის საგნების დემონტაჟი რომ შეძლონ. ამიტომ თუჯის რადიატორები შავი ლითონის ჯართის შემგროვებლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მეორადი ნედლეულია. ისინი ბევრს იწონიან, კომპაქტური ფორმები აქვთ და მანქანაზე შემოსაწყობადაც დამატებით დაჭრას არ საჭიროებენ.

პრივატიზებული ბინებიდან რადიატორების უწყვეტი გაცემა საბჭოთა სისტემიდან პოსტ-საბჭოთა ტემპორალობაში ცივ და „მტკივნეულ“ გადასვლას აღნიშნავს. რადიატორები, რომლებიც კორპუსების ცალკეულ საცხოვრებელს ცენტრალიზებული გათბობის სისტემის კომუნალურ ქსელთან აკავშირებდა, ახლა კერძო საკუთრების გამოუსადეგარ ატრიბუტად აღიქმება. ამიტომ ისინი სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ჩაწყვეტილ ინფრასტრუქტურულ ქსელებსაც ააშკარავებენ. ეს ინფრასტრუქტურული ხიდჩატეხილობა უფრო ფართო ეკონომიკური პროცესის ნაწილია. ის კორპუსებში საერთო და პირადი სივრცეების მოვლა-პატრონობის დეცენტრალიზაციას და კერძო სექტორზე გადაბარებას გულისხმობს, რაც ადამიანებს ამ სივრცეების ალტერნატიული გზებით მოვლისა და გათბობისკენ უბიძგებს (Khalvashi 2019). საბჭოთა რადიატორები ისეთი საგნებია, რომლითაც ამ სივრცეების გადააზრება და გადაკეთება ხდება. უფრო მეტიც, ამ საგნებს

[11] ჟიგული საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებს შორის მესამე ადგილზეა. წყარო:

https://batumelebi.netgazeti.ge/news/454994/?fbclid=IwAR1YsuVrwTZKcVHiJII50IKAzIuvb0p60Rxa8fqULJcRgeGK2zDmCBvosEI

შესწევთ ძალა და უნარი (Latour 2005), ადამიანები მყარი ნარჩენების გადამუშავების დაუგეგმავ პრაქტიკაში ჩართონ, რასაც მოცემულ სტატიაში, მომცვრევის და არა გადამუშავების სახელით მოვიხსენიებ.

მართლაც, კორპუსებში დაგროვილი რადიატორების ჯართი საბჭოთა ინფრასტრუქტურის ნაალაფარზე წარმოქმნილი მომცვრეული მყარი ნარჩენია, რაც მისი კვლავ გამოყენების შესაძლებლობას იძლევა ახალი მეტალების დასამზადებლად. გლობალურ ჩრდილოეთში ამ პროცესს გადამუშავება (recycling) ჰქვია, რაც ეთიკურად დატვირთული ტერმინია და ხშირად გარემოსა და საზოგადოებაზე ველური სამომხმარებლო ქცევის უარყოფითი გავლენის შემცირებას ემსახურება (Lewis and Rauturier 2019). ამიტომ გადამუშავება, მომცვრევისგან განსხვავებით, ეკოლოგიური მოდერნიზაციის ფორმაა (Gregson et al., 2016), კაპიტალიზმის ნანგრევებში მწვანე და სუფთა ცხოვრებას რომ გვპირდება. თბილისის კორპუსებიდან ჯართის გადინება გადამუშავების ამ მოდერნულ ლოგიკას არ მიჰყვება, რადგან ნარჩენების გადამუშავების ინსტიტუციონალური ფორმები ან მუნიციპალური სერვისები საქართველოში ჯერ არ დანეგრილა. ამიტომ შემგროვებლებსა და კორპუსის მაცხოვრებლებს შორის აღმოცენებული სპონტანური კავშირები ნარჩენების მართვის არაფორმალური გზებია.

ეს კავშირები ქალაქის აკუსტიკურ შეგრძნებებზე უფრო დგას, ვიდრე წინასწარ შემუშავებულ გეგმებზე. შემგროვებელიცა და ქალაქის მაცხოვრებელიც ერთმანეთს მოულოდნელად ამჩნევენ, აყურადებენ და აგონებენ. დიდად მონდომებული და მოხერხებული შემგროვებელი უნდა იყო, რომ კორპუსის მე-14 სართულიდან დაძახებული „ჯართი“ გაიგონო და ხანდახან ამ სართულზე ფეხით ასვლაც არ დაგეზაროს, როდესაც ძველი ლიფტი აგერ უკვე მერამდენედ გაფუჭდა, შეკეთებას კი საშველი არ დაადგა. ამიტომ ჯართის გაცემისა და შეგროვების ეს პრაქტიკები გარემოსთან თანაცხოვრების სპონტანურ და სენსორულ გზებს უფრო ააშკარავებენ, ვიდრე

მყარი ნარჩენების გადამუშავების რაციონალურ გეგმებს, გლობალურ ჩრდილოეთში გარემოს დაცვითი ცნობიერებისა და მწვანე პოლიტიკის სახელით რომ იცნობენ. ურბანულ ეკოლოგიაზე საუბრისას, საჭიროა უფრო ახლოდან დავაკვირდეთ სწორედ ასეთ განსხვავებულ სოციალურ, მატერიალურ და კულტურულ ფორმებს, რომლებიც შესაძლოა „ინფრასტრუქტურის ალტერნატიულ ეკონომიკებზე, პრაქტიკებზე, ღირებულებასა და შრომაზე“ (Lewis and Rauturier: 2019: 496) მიგვანიშნებდნენ. ლორი ხაჩატურიანს თუ დავესესხებით, საბჭოთა ინდუსტრიისა და ინფრასტრუქტურის ნარჩენების საშუალებით თავის რჩენა „ნგრევის მცდელობებია“, რომლებიც მყიფე და დროებით ურბანულ თუ სოციალურ წესრიგს ქმნიან (2021: 319).

მყარი ნარჩენების გადამუშავების ასეთი სპონტანური და დაუგეგმავი მცდელობები ძირფესვიანად განსხვავდება გვიან საბჭოთა კავშირში დანერგილი გადამუშავების პრაქტიკისგან. 1960-იან წლებში საბჭოთა ბიუროკრატიამ შეიმუშავა სახელმწიფო გეგმა, რომელიც მოქალაქეებს ჯართის შეგროვებას ავალდებულებდა (Peterson 1993). მაგრამ მსგავსი გადაწყვეტილება ეკოლოგიურ არგუმენტებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ ჯართის შეგროვება, პირველ რიგში, საბჭოთა ინდუსტრიული გეგმის შესრულებას ისახავდა მიზნად. ამ პერიოდში, საბჭოთა ეკონომიკა მუდმივ კრიზისს განიცდიდა მატერიალური დეფიციტის გამო. მძლავრი ინდუსტრიით გამოწვეულმა დამანგრეველმა ეკოლოგიურმა ექსპლუატაციამ, საბჭოთა მეტალურგიისთვის საჭირო ნედლეულის მოპოვებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამ ფონზე, საბჭოთა კავშირის ყველა სკოლაში ჯართის შეგროვების სავალდებულო კვოტები გაჩნდა, ინდუსტრიისთვის მეორადი ნედლეული უფრო ეფექტურად რომ მიეწოდებინათ. გადამუშავებისკენ შემოტრიალება საბჭოთა პროპაგანდისტულ აფიშებსა და ანიმაციურ პროექტებშიც გამოიხატა, სადაც მშრომელებს, პიონერებს, კოლმეურნეობაში დასაქმებულებს და რიგით მოქალაქეებს მოუწოდებდნენ მეტალის ყველა არასაჭირო ელე-

მენტი ჩაებარებინათ.[12] საბჭოთა ეკოლოგიური პოლიტიკის მკვლევარი დ.ჯ. პეტერსონი წერს, რომ პიონერებს 80-100 კილომდე ჯართის შეგროვება ევალებოდათ, რაშიც მშობლები და ხანდახან მასწავლებლებიც კი იყვნენ ჩართულნი. უფრო მეტიც, სკოლებში პიონერებს შორის ჯართის შეგროვების შეჯიბრებებიც კი იმართებოდა, რომლის შედეგადაც გამარჯვებულ პიონერთა ჯგუფებიც ვლინდებოდა. ქსენია ჩერკაევი საბჭოთა ეკონომიკის ასეთ პრაქტიკას, „კომუნიზმისთვის მომცვრევას“ უწოდებს (2023), რაც თავად საბჭოთა საკუთრების რეჟიმის ლოგიკაში იმთავითვე იყო ჩაშენებული და კოლექტივისტური ეთიკის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენდა. საბჭოთა მოდერნული სახელმწიფო, ჩერკაევის აზრით, ეფუძნებოდა მეურნეობის ისეთ პრინციპს, რაც სოციალისტური საკუთრების საერთო სიკეთეებზე და არა კერძო ფლობაზე უფლების ქონას გულისხმობდა. თუმცა, ეს პრინციპი ყოფაში მუდმივად ირღვეოდა.

გიგლა, სტატიის დასაწყისში ჯართის ექსპედიციაში რომ გაგვიძღვა, იმ პერიოდში ჯართის გულმხურვალე შემგროვებელი იყო. „მაშინ ჯართის შეგროვებით უფრო ვხალისობდით ბავშვები. თან იცი როგორ იყო? აი, ქუჩაში თითქმის ყველაფერს იპოვიდი, დაწყებული მაკრატლებით, დასრულებული ლურსმნებითა და მილებით. წარმოება იმხელა იყო, რომ ჯართი ყველგან ეყარა“. პეტერსონი დეტალურად აღწერს, როგორ ცდილობდნენ საბჭოთა პიონერები ქარხნებისა და ფაბრიკების ტერიტორი-

---

[12] ერთ-ერთ ასეთ აფიშაზე რუსულად წერია: „ინდუსტრიის მუშებო, შეაგროვეთ რკინის ჯართი. ყოველი ტონა დაგროვილი ჯართი 7 წლიანი გეგმის შესრულებას ემსახურება“ https://www.pinterest.com/pin/97108935721978067/; სხვა ასეთი აფიშების მოძიება შესაძლებელია: https://ukrmetallolom.com.ua/interesno/plakatakh-i-lozungakh-po-metallolomu-vremen-sssr; ამავე პერიოდში, 1960-იან წლებში იქმნება მულტფილმი „რკინის მეგობრები“ https://www.youtube.com/watch?v=XyuypVUXE3k; ცნობილი მულტფილმი „ჩებურაშკა“(1972), რაც „ნიანგი გენას“ სერიის ნაწილია ასევე გვაჩვენებს ჯართის გადამუშავების მნიშვნელობას საბჭოთა კავშირში. https://jordanrussiacenter.org/news/how-beloved-soviet-cartoons-taught-children-to-recycle/№.Y–pWQuzMJPP

ებზე შეღწევას და იქ დახვავებული ინდუსტრიული ნარჩენების გამოტანას ჯართის კვოტების შესასრულებლად. რადგანაც საბჭოთა ინდუსტრია ეკოლოგიური პრინციპებით დიდად არ ხელმძღვანელობდა და არც ნარჩენების მართვის გამართული სისტემა გააჩნდა, ქარხნებისა და ფაბრიკების ტერიტორიებზე წლობით ეყარა ინდუსტრიული ნარჩენები (იქვე: 177). ხანდახან, იმავე ჯართში აღმოჩენილი – ლურსმნებით, მილებითა თუ სხვა ნაპოვნი ხელსაწყოებით – გიგლა მისივე ოროთახიანი ბინის შეკეთებისთვის საჭირო მასალასაც გამოჰკრავდა ხელს, რაც სახლმმართველობების მიერ გაჭიანურებული სარემონტო სამუშაოების პირობებში, ფასდაუდებელი მატერიალური რესურსი იყო.

„ეს ჯართიც დამთავრდება“

თბილისის გარეუბნები, ავტომაგისტრალები და ბაზრობები სავსეა ჯართის მიმღები პუნქტებით. ქალაქის სხვადასხვა უბნიდან მომცვრეული ჯართი საბოლოოდ სწორედ ამ ადგილებში იყრის თავს. ასეთ სივრცეებში ჩვენ თვალწინ დაუგეგმავი გამოფენასავით იშლება ჩამოშლილი ინფრასტრუქტურებისა და ინდუსტრიების ამბები, რომელთა ნაშთებიც ამ ქვეყნის უახლეს ისტორიას ყველაზე ხელშესახები ფორმით გვიყვებიან. ამ პუნქტებში სიარულისას, 2022 წლის ივლისში ერთხელაც თავი დიღმის ერთ-ერთ მიმღებ პუნქტში – ჯართის სამყაროში – ამოვყავი. მოკლესახელოებიანი თეთრი მაისურით ელგუჯა რკინის ფარდულში ჩაის ადუღებდა. ის აქ ყარაულად მუშაობდა და თან ჯართს იბარებდა. მიმღები პუნქტი პატარა ფირმას ეკუთვნოდა, რომელსაც ერთი მფლობელი და ბუღალტერი მართავდნენ. თუ 1990-იან წლებში ჯართის ბიზნესში ძირითადად მსხვილი, პოლიტიკური თუ ფინანსური აქტორები იყვნენ ჩართულნი, 2000-იანი წლებიდან ამ სფეროში მცირე მეწარმეებიც გამოჩნდნენ. ჯართის მიმღები პუნქტები მას შემდეგ მთელ საქართველოს სოკოებივით მოედო და ქვეყნის ეკონომიკური ყოფისა და გადარჩენის ყველაზე ხელშესახებ ადგილებად იქცნენ.

კახეთიდან დედაქალაქში სამუშაოდ ჩამოსულ ელგუჯას, თბილისში სახლი არ ჰქონდა. ამიტომ ელგუჯასთვის ჯართის მიმღები პუნქტი და იქ დადგმული რკინის ფარდული არა მხოლოდ სამუშაო, არამედ საცხოვრებელი სივრცეც იყო. ფარდულში უცნაური სიმყუდროვე იდგა: მაცივარი, ტელევიზორი, რკინის საწოლი, მაგიდა და პატარა გაზქურა ამ სიმყუდროვეს თავისებურად ქმნიდა. სანამ ელგუჯა ჩაის ამზადებდა, დათო, რომელიც ჯართს ძირითადად დიღმის პუნქტში აბარებდა, ქალაქიდან დაბრუნდა. წითელი „ჟიგულიდან“ ენერგიულად გადმოვიდა და საბჭოთა რადიატორების, თუჯის აბაზანებისა და ძველი მილების გადმოტვირთვას სწრაფად შეუდგა. პუნქტში კიდევ ერთი მამაკაცი ჯართის გროვებს უტრიალებდა, რკინის მიმოფანტულ ნაფლეთებს ერთად ალაგებდა, ალუმინს კი ცალკე ძველ საბჭოთა ვაგონში აწყობდა, რომელიც ახლა საწყობად ქცეულიყო. იქვე ქუჩის ძაღლები და კატებიც წამოწოლილიყვნენ და სიცხისგან გათანგულები ზანტად იზმორებოდნენ. მათი უმეტესობა ჯართის პუნქტს აფარებდა თავს. რამდენიმე ძაღლისთვის ელგუჯას საკუთარი ფარდულის გვერდით თავშესაფარიც აეშენებინა და რასაც თვითონ ჭამდა, მიკედლებულ ცხოველებსაც უზიარებდა.

თბილისი, 2022. ავტორის ფოტო.

ერთი შეხედვით, ამ სცენაში იყო რაღაც, რაც ქალაქისა და მისი ბინადრების სიცოცხლისუნარიანობას მიანიშნებდა: ქალაქი ჯართისგან სუფთავდებოდა და ჯართის ჩამბარებელი პუნქტი, რომელიც ბედის ანაბარად დატოვებული ადამიანებისა და ცხოველების თავშესაფრად ქცეულიყო, ზრუნვისა და სახეობებს შორის თანამშრომლობის სივრცესაც წარმოადგენდა. მაგრამ ეს სცენა, ამავდროულად ქალაქის, ადამიანებისა და ცხოველების დასახიჩრებულობის ყველაზე ხელშესახები ადგილი იყო. უფრო მეტიც, ჯართის ჩამბარებელი პუნქტი იმ ტერიტორიას იკავებდა, ადრე დიღმის ერთ-ერთ ყველაზე დიდ თბომეურნეობას რომ ეჭირა. თუმცა, მისი საქვაბეების კვალი აღარსად ჩანდა. მათ მაგივრად, მიმდებარე ტერიტორია ახალ და თანამედროვე კორპუსებს დაეკავათ, რომელთა უმეტესობა უკვე კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებდა. ის, რაც გათბობის ცენტრალური სისტემიდან შემორჩა, მიწიდან ამოზრდილი რკინა-ბეტონის მაღალი მილი იყო, რომელიც ნაალაფარ ქალაქს თავზე დაჰყურებდა. ელგუჯამ ხელი სწორედ ამ ნაცრისფერი მილისკენ გაიშვირა და მითხრა:

„აგერ, დიდ მილს რომ ხედავ, ეგ იყო საქვაბე, თბოსადგური (ჩვენ ვეძახით რუსულ სიტყვას – კაჩიგარია). მთელი ეს ტერიტორია ამ საქვაბეს ეკუთვნოდა. ამათ დიდი ავზები ჰქონდათ, შემოდიოდა მაზუთი, მაზუთით ცხელდებოდა ეს საქვაბე. ნოემბრიდან ირთვებოდა ცენტრალური გათბობა კორპუსებში და ზაფხულში მხოლოდ ცხელი წყალი მუშაობდა. ამ კაჩიგარიის აქეთ, არაფერი არ იყო. ცარიელი მინდორი იყო. უბრალოდ, პატარა ბეტონის ქარხნები თუ მუშაობდნენ დაბლა, მტკვრის პირას. მერე, ნელ-ნელა, იქ, სადაც ამერიკის საელჩო აშენდა, მაქ სულ იყო სასოფლო მეურნეობის ინსტიტუტის ტერიტორიები: ვაზი იყო ძირითადად გაშენებული და ვაშლები. ეგეც გაიყიდა, ეგ ადგილები. ახლა ყველაფერი კერძოს საკუთრებაა მანდა“.

აღმოჩნდა, რომ 1994 წლამდე ელგუჯა ბენზინმზიდზე მძღოლად მუშაობდა და თბილისის თბოსადგურებთან დამონტაჟებულ ავზებს მაზუთით სწორედ თვითონ ამარაგებდა.

მაზუთი სხვადასხვა თბოსადგურზე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სატვირთო მანქანით თვეში ერთხელ მიჰქონდა და იმავე დღეს უკან კახეთში ბრუნდებოდა, სადაც მას ოჯახი ელოდებოდა. ელგუჯა ახლა ძირითად დროს ჯართის მიმღებ ფარდულში ატარებდა, იქ, სადაც ადრე მაზუთი მიჰქონდა. კახეთში ჩასვლას და ოჯახის მონახულებას კი თვეში მხოლოდ ერთხელ თუ ახერხებდა. როგორც ჯართის ჩამბარებელი პუნქტების უმეტესობა, ელგუჯას ფირმაც კერძო მესაკუთრისგან ქირაობდა სივრცეს პუნქტის მოსაწყობად, რადგან თბომეურნეობის ჩამოშლის შემდეგ, ეს ტერიტორია მალევე განკერძოვდა. მას შემდეგ, რაც 1990-იან წლებში მაზუთის ტრანსპორტირება რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან შეფერხდა, ელგუჯას თბომეურნეობებისთვის მაზუთის მაგივრად მცირე ხნით ნავთი მიჰქონდა. მაგრამ ნავთი საკმაოდ ძვირი ჯდებოდა და მისი ყიდვა ცალკეულ თბომეურნეობებს, რომელთა მუშაობას მოსახლეობაც ეხიდებოდა, გაუჭირდათ. ელგუჯამ მითხრა, სწორედ ამ დროს „გათბობის სისტემები უცებ გაქრა. საქვაბეები და ავზები ერთიანად ჯართად გაიყიდა. ან ვინ დატოვებდა მაგას იმ დროში? ჩვენ მაშინ მთავრობა არ გვყავდა და მაგის მერე, მთავრობები ყველაფრის გაყიდვაზე გადავიდნენ“. ნათელი იყო, რომ ელგუჯასთვის გათბობის სისტემის დემონტაჟი გაცილებით უფრო დიდი პროცესის ნაწილი იყო. ის არა მხოლოდ 1990-იანი წლების ქაოსსა და არეულობას შეეწირა, არამედ საჯარო ინფრასტრუქტურების პრივატიზაციის ურყევ რწმენასაც. ეს დიდი მილიც იმიტომ დატოვეს, რომ მაგის დანგრევა ვერ შეძლეს, თორემ არც მაგას დატოვებდნენ“ – დანანებით თქვა ელგუჯამ და ჩაის ორთქლიან ჭიქას გასაცივებლად სული შეუბერა.

ამასობაში, დათომ ჯართის ჩამოტვირთვა დაასრულა და ელგუჯასთან ერთად რადიატორების აწონას შეუდგა. მიუხედავად იმისა, რომ ჯართის მიმღები ზოგიერთი პუნქტი შემგროვებლებს ხელშეკრულებაზე ამუშავებენ და თვეში მოჭრილად 300-დან 500 ლარამდე უხდიან, დათო ხელშეკრულების გარეშე მუშაობდა და თანხას ჯართის წონის შესაბამისად

იღებდა. ასე მას თვეში 600 ლარამდე გამოსდიოდა, თუმცა ხანდახან ეს თანხა 200 ლარამდეც ჩამოდიოდა. 2021-22 წლებში, როდესაც ამ კვლევას ვატარებდი, ერთი კილო შავი ლითონის ჯართის ფასი 90-დან უცებ 50 თეთრამდე დაეცა. ფასის ასეთი თამაში დათოსთვის უცხო არ იყო. ამიტომ ხანდახან ის შეგროვებულ ჯართს ფარდულში ინახავდა და გასაყიდად ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. ამჯერად, დათოს ფულის აღება ეჩქარებოდა, უბნის მაღაზიაში თვეობით ნაგროვები ნისია რომ გადაეხადა. ამიტომ სასწორზე შემოწყობილ რადიატორებს, რომლებშიც თვითონ 30 თეთრი გადაიხადა, მოუსვენრად აკვირდებოდა. დათო ელგუჯას სასწორს სხვა პუნქტებთან შედარებით ყველაზე მეტად ენდობოდა, მაგრამ თან იცოდა, ხანდახან სასწორები, მათი პატრონების ნაცვლადაც იტყუებიან. რადიატორებიდან 30 ლარი გამოვიდა: 20-თეთრიანი მოგება, რომელიც ნისიის მხოლოდ მეათედს გაისტუმრებს. „ეს რადიატორებიც ცოტა დარჩა“, დანანებით თქვა დათომ და ელგუჯას მიცემული ფული ჯიბეში სწრაფად ჩაიკეცა. „ახლა ერთ კორპუსში ძველი ლიფტის გამოცვლას აპირებენ და მერე მაგასაც მოგიტან“, დაამატა დათომ, ჯართის გროვისგან დაცლილი ჟიგულისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა და ჩამბარებელი პუნქტის ტერიტორია უკანმოუხედავად დატოვა.

ელგუჯა ფარდულში შებრუნდა და ჩაის დალევა განაგრძო. „ხომ ხედავ, იმდენი ჯართი ახლა აღარ არის, რომ ფირმის უფროსებს ჯართის ბიზნესით ბევრი ფული დარჩეთ. ეს ადრე იყო, ომის დროს, უპატრონობა რომ იყო. ეხლა აღარ არის ასე. ახლა, ძირითადად შენი თავი რომ გამოკვებო, მაგისთვისაა ეს ჯართი. მეტი აღარაფერი“. თუმცა, ელგუჯამ ისიც დაამატა, რომ ძველი ჯართის ამოწურვა მის გაქრობას სულაც არ ნიშნავს. ქალაქში ჯართის ახალ რესურსს პოსტ-საბჭოთა ეკონომიკის მთავარი ხაზი – მშენებარე კორპუსები – უწყვეტად წარმოქმნიან. ეს ჯართი ქალაქის განახლებულ სახესა და მდგრად ეკონომიკაზე კი არ მეტყველებს, არამედ ისინი

სამშენებლო ნარჩენებად გვევლინებიან, თბილისის ალტერ-ნატიულ ისტორიას ანუ მის ურბანულ უწესრიგობას რომ ქმნიან. მათი ნაწილი გლდანსა და დიღმის ჭალებში იყრება. შემგროვებლები ჯართს ამ ტერიტორიებიდანაც ეზიდებიან. „აქ, მაგალითად, გარშემო ხევია და მაქაც სამშენებლო ნა-რჩენი იყრება. ამას აქუჩებენ და დღეში 50 კილოც რომ მოა-ქუჩონ, უკვე საჭმლის ფულია. დაახლოებით, 40 ან 30 ლარია. გამოსულია კაცი სახლიდან, რატომ უნდა დატოვოს ის გა-დაყრილი ნარჩენი მიწაში? ისიც ხომ რკინაა?“ მაგრამ ელ-გუჯასთვის საბჭოთა რკინეულობას აშკარად უფრო დიდი ღირებულება ჰქონდა. მართლაც, ჯართის მიმოცვლის ჯა-ჭვში – ჩამბარებლები, შემგროვებლები თუ მიმღებები – ხში-რად მიუთითებდნენ საბჭოთა ფოლადის სიმყარეზე, ქალა-ქის უფრო მდგრად სტრუქტურებს რომ ქმნიდნენ. „ეხლა ეს ამოდენა ძველი შენობები რომ ინგრევა, აი, უბრალოდ, „ზა-ბორიც“ რომ გაეკეთებინათ, ძალიან მძიმე და დიდი რკინით აკეთებდნენ“.

სხვა ფირმების მსგავსად, დიღმის ჩამბარებელი პუნქტი-დან ფერადი ლითონები, როგორებიცაა სპილენძი და ალუ-მინი, ძირითადად ექსპორტზე გადის, რადგან მათი გადამუ-შავების ინდუსტრიული ბაზა ქვეყნის შიგნით არ არსებობს. შავი ლითონის ჯართი, რკინა და თუჯი კი, უფრო მეტად ქვეყნის შიგნით რჩება და საბოლოოდ, რუსთავის მეტალუ-რგიულ ქარხნებში იყრის თავს, რომლებიც ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისთვის მეორადი ნედლეულისგან სამშენებლო არმატურას ამზადებენ. ელგუჯამ ამიხსნა, რომ მისი მიმღები პუნქტი შედარებით ვრცელ ტერიტორიაზეა გა-შლილი და „მოქუჩებული“ ჯართის განთავსება უფრო დიდი ხნით შეუძლიათ ფასების ხელსაყრელი მომენტის ლოდინში. მომცრო პუნქტებს ამის ფუფუნება ნაკლებად აქვთ. ამი-ტომ მოგროვებულ ჯართს მათგან შედარებით დიდი ზომის პუნქტები ყიდულობენ, რასაც შემდეგ ერთიანად ეზიდებიან რუსთავში. რუსთავი შავი ლითონის ჯართის თავმოყრის მთა-

ვარი ეპიცენტრია – „რუსთავის მეტალურგიული ქარხანა“ და „GeoSteel LLC“ ჯართის ჩაბარების ცენტრალური ქარხნები. როდესაც რუსთავში ამ ქარხნების მოსანახულებლად ჩავედი, მათი კედლები აჭრელებული იყო წარწერებით – „გვასუნთქეთ“, „ვიხრჩობით“. ჯართის ნარჩენების ჩაბარება ისევ ახალ ჯართს ქმნის – მათი გადამუშავება არა მხოლოდ სამშენებლო ინდუსტრიისთვის საჭირო არმატურას აწარმოებს, არამედ ქალაქის ჰაერსაც აჯართებს და ადამიანების სხეულებში მძიმე მეტალების მასას წარმოქმნის.

ჯართის სხვა ცხოვრება

ჯართის შეგროვება დაძაბული და რთული, მაგრამ გასაკვირად შემოქმედებითი პროცესია. ის მხოლოდ გასაქონლების, მარგინალიზაციისა და ჩამოშლის სფერო კი არაა, არამედ ესთეტიკის, ინოვაციისა და კვალიფიციური შრომისაც. ჯართი გვახედებს ხელოსნობის, ხელოვნებისა და ტექნოლოგიების ისეთ სამყაროში, სადაც ძველი საგნები განახლებულ ფუნქციებს იძენენ და ხანდახან სრულიად განსხვავებულ საგნებადაც გვევლინებიან. სვეტლანა ბოიმი ნანგრევების ასეთ გროვას „ამორთულ მოდერნულობას“ უწოდებს. ამგვარი ნანგრევები ეპოქის „არა მხოლოდ სიმპტომებია, არამედ ახალი აღმოჩენისა და მნიშვნელობების შექმნის ადგილები“ (Boym 2017: 45). ჯართიც ასეთი ნანგრევია. ის არც მხოლოდ ნგრევაა და არც შენება. ასეთ დროს, შემგროვებლები ჯართის შემოქმედებად გვევლინებიან. ისინი ისტორიის ნარჩენებთან თანამშრომლობენ და მათ ფუნქციებს უტილიტარული და პოეტური გზებითაც ცვლიან. ამიტომ „ამორთული მოდერნულობა“ იმის დასტურია, რომ ერთი შეხედვით უტოპიური პროექტები, სინამდვილეში დიალექტიკური ნანგრევებია – ისინი არც უარყოფილია და არც მთლად ჩამოშლილი, არამედ წარმავალ აწმყოში გამოყენებული და ჩართული.

მართლაც, გიგლა გარაჟში ჯართს იმისთვისაც აგროვებდა, რომ მეზობლებს გაფუჭებული ტექნიკისა და ინფრა-

სტრუქტურის შეკეთებაში მიხმარებოდა. „ჩემი მთავარი საქმიანობა ხელოსნობა და შეგროვებაა. ზოგჯერ ისეთ კარგ რაღაცას აღმოვაჩენ, რომ მაგას შესაკეთებლადაც ვიყენებ. რაც ვერ კეთდება, ის მიგროვდება როგორც ჯართი, ფერადი და შავი ლითონი“ – მიყვებოდა გიგლა და თან ნაგვის ბუნკერიდან გაფუჭებულ თმის საშრობს რკინის მოკაუჭებული ჯოხით იღებდა. ტექნიკას, კანალიზაციას, ელექტროობასა და წყალს გიგლა ვაჟა-ფშაველას კვარტლებში ხან უსასყიდლოდ, ხან კი მეზობლების ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით შეღავათიან ფასებში აკეთებდა. ამიტომ გიგლას შეგროვებული ჯართი სამეზობლოს ზიარი რესურსიც იყო.

„მე ყველაფერს ვაგროვებ, რაც ყრია. გუშინ მაგალითად, ხის, კაი მოხარშული მასალა ვნახე, ნებისმიერ რამეში გამომადგება. გატეხილი იყო ის და აღარ გაკეთდებოდა. ხე დავაცალცალკევე და შევინახე. რაში დამჭირდება, ეს არავინ არ იცის. შეიძლება მეზობელმა მოისურვოს და გამიტანებია, ზოგს თანხა გადაუხდია. მაგალითად, მაგიდის ფეხები დაამტვრიეს ბავშვებმა სკოლაში და ვიღაცა მოვიდა და 25 ლარს მოგცემო. მეთქი, რაც გინდა-მეთქი. ალუმინის ფეხები იყო, ეტყობა, რაღაც დაუზიანდა“.

გიგლამ ადვილად მტვრევადი ალუმინით ნაკეთები სკოლის მაგიდის ფეხები სხვა უფრო მყარი რკინით გამოცვალა, რაც ქალაქში ჯართის შეგროვებით დაუგროვდა. ალუმინის მასალით სკოლის ინვენტარისა თუ სათამაშო მოედნებისა და ბაღების აშენებას გიგლა ალმაცერად უყურებდა მისივე სიმყიფის გამო, რაც იმთავითვე ჩაშენებული იყო ამ მეტალში. შეკეთების ასეთი უნარისა და დაგროვებული მასალების გამო გიგლა ამაყობდა და ყველა დაზიანებულ ნივთს ენთუზიაზმით ეკიდებოდა. თუმცა, იმაზეც სულ წუხდა, ხელოსნობის უნარები ნელ-ნელა იკარგებაო. „კარგი ხელოსნები თითქმის აღარ არიან. სადაც კარგი ხელოსნები იყვნენ, მაგალითად, „პირიმზეში“, ისინიც სულ დაიფანტნენ... რაღაც შემორჩა, მაგრამ ისიც ცოტა და ძლივსძლივობით“.

თბილისი, 2022. ავტორის ფოტო

შეკეთების მიმართ ასეთი ენთუზიაზმი ეპოქის გამოძახილიც იყო. გვიან საბჭოთა კავშირში „გააკეთე შენით“ კულტურა დეფიციტური ეკონომიკის ამოვსებასა და ადამიანების შემოქმედებით წიაღსვლებს უწყობდა ხელს (Golubev და Smolyak 2013). სწორედ, ამ პერიოდში გამრავლდა „პირიმზის“ მსგავსი დაწესებულებებიც, ე.წ. „დომბიტები“ მთელ საბჭოთა კავშირში, რაც რუსულად საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლს ნიშნავს. ამ დროს, ტექნიკასთან დაკავშირებულ საბჭოთა ბროშურებსა და ინსტრუქციებს გიგლა გულმოდგინედ უკირკიტებდა. მსგავსი ბროშურები და ჟურნალები მაშინ მრავლად გამოიცემოდა თვითშემოქმედებისა და ტექნიკის შეკეთების წასახალისებლად. ტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გიგლამ ჯერ კავშირგაბმულობაში ინჟინრად დაიწყო მუშაობა. ის რადიომოყვარულიც იყო. ამიტომ, გიგლა ელექტრო-ტუმბოების, მტვერსასრუტებისა და გაზქურების შეკეთებასაც ადვილად ახერხებდა და შეგროვებულ ჯართთან ერთად, საბჭოთა პერიოდში შეძენილ შეკეთების უნარებს დაუზარლად რთავდა ჩამოშლილი აწმყოს აწყობასა და დალაგებაში. „ამ ჯართებში რომ აგდე-

ბენ, კი არ ახარისხებენ, პირდაპირ აგდებენ... ერთხელ თავისი კორპუსით და ყველაფრით იქ იყო ხორცსაკეპი მანქანის პლასტმასის კოლოფი. შესაერთებელი მოჭრილი ჰქონდა. მე ვუთხარი, ამას რამდენად მომცემ-მეთქი და 2 ლარადო. წამოვიღე, აღვადგინე, გავასუფთავე და შენახული მაქვს. ეხლა ვიყიდი რაშიც იყრება ხორცი და უკვე ახალი მანქანაა და ახალი მანქანა დღეს 300 ლარი ღირს".

ამრიგად, ჯართი არა მხოლოდ კაპიტალისტური საქონლის ფორმას იღებს, არამედ ის შეკეთებისთვის საჭირო მასალაცაა. მაგრამ ხანდახან ჯართად ჩაბარებული სპილენძის დოქები, ჭედური ხელობით შესრულებული თასები თუ სხვა მსგავსი ნივთები შემგროვებლებისა და ჩამბარებლების ესთეტიკურ სურვილებსაც გამოხატავენ. ბათუმის ჯართის ერთ-ერთ მცირე მიმღებ პუნქტში, ყარაულის ოთახად გადაკეთებული რკინის ავზის კედლები მსგავსი ნივთების საგამოფენო სივრცედ ქცეულიყო. ეს ავზი პუნქტის მფლობელს, მამუკას, ეკუთვნოდა, რომელიც თავად იყო ყარაულიცა და მიმღებიც. ამ ნივთებმა ისე მომნუსხა, რომ ჯართის შესახებ ჩემი ემპირიული ინტერესი ეკონომიკიდან უცებ მის ესთეტიკაზე გადავიდა. „აი, რა კარგი რამეები გაქვს იმ თაროზე შეგროვებული. ეგეც ჯართიდან არის?" უცებ ვკითხე მამუკას. „მაგენს ვაგროვებ. მსიამოვნებს უბრალოდ. ძველებია და მომწონს, რა." მოკლედ მომიჭრა მამუკამ. ამ მოკლე პასუხმა მიმახვედრა, რომ მამუკასთვის, ჯართი მხოლოდ გასაყიდი პროდუქტი კი არ იყო, კაპიტალიზმის საქონლის ჯაჭვს რომ ავსებდა, არამედ სიძველის აღმნიშვნელი, სასიამოვნო სუვენირიც ჩამბარებელი პუნქტის კედლების შესამკობად. მაგრამ ეს სიამოვნება ისეთივე ხანმოკლე და უხერხული მომეჩვენა, როგორც მისი ნაუცბათევი პასუხი. ამ მოკლე პასუხში ჩანდა ის „გრძნობათა სტრუქტურა" (Williams 1977: 132), რის გამოც ესთეტიკური საგნებით ტკბობას და მათ კოლექციონერობას თითქოს ბოლომდე ვერ ბედავდა, რადგან ეს იმთავითვე სხვების, მასზე უფრო პრივილეგირებული კლასების პრეროგატივად მიიჩნეოდა.

ამ მოკლე პასუხმა რუსთავში ნანახი ლითონით ნაკეთები „ქართლის დედა“ გამახსენა, რომელიც ჯართის ჩამბარებელი ერთ-ერთი პუნქტის შესასვლელში იყო დამონტაჟებული. პუნქტის ღობეზე ეწერა „ჯართის მიღება“, მაგრამ პუნქტი დაკეტილი იყო. ამიტომ ნაკეთობის შემქმნელის ვინაობა ვერ დავადგინე. „ქართლის დედა“ თავისი ნახევრად დაუსრულებელი და ჩამოფლეთილი სხეულით ისეთი ნამუშევარი იყო, თანამედროვე ხელოვნების ნებისმიერ გამოფენას რომ დაამშვენებდა. მაგრამ ჯართის პუნქტებში შექმნილი ნამუშევრები ისევ ამ სივრცეებში რჩება. მათი გაცრეცილი და ჩამოშლილი ესთეტიკის ასლები კი ამაყად იმკვიდრებენ თავს სახელოვნებო არენაზე.

იმ დროს, როცა მამუკას ჯართის გამოფენას აღტაცებით ვათვალიერებდი, მის გვერდით მდებარე პუნქტში პოლიცია ქალაქში დაკარგული საკანალიზაციო ჭის თავსახურებს ეძებდა. მამუკამ ამიხსნა, რომ მის პუნქტში ასეთ ნივთს პოლიცია ვერასდროს იპოვიდა. „მე მაგფერებს არ ვიბარებ. როცა ვინმეს „კალოდეცი“ მოაქვს,ესეიგი მაგი მოპარულია“. მოპარული ჯართი ჩამბარებელ

ბათუმი 2021. ავტორის ფოტო

პუნქტებსა და ჯართის შემგროვებლებში მღელვარებას იწვევდა. კრიმინალის აღსაკვეთად, შემოსული ჯართი, კანონის მიხედვით, მიმღებ პუნქტებს სპეციალურ ჟურნალებში უნდა აღეწერათ. მამუკა ამ წესს ზედმიწევნით იცავდა. თუმცა, ისიც ზუსტად იცოდა, რომ როგორც წიგნის ქურდი არ მიიჩნევა ქურდად, ხანდახან არც ჯართის ქურდია ქურდი. „ამ ხალხს ასეთ საქმეს გაჭირვება აკეთებინებს, თორემ ვის უნდა დღე და ღამე „კალოდეცზე“ დარდი? ამ ქვეყანაში ყველაფერი ჯართად გაიყიდა და ვინც დასაჭერია, მაგათ არ იჭერენ“.

მომცვრეული ქალაქი

„რა არის ეს მომცვრევა? რა არის და – ხომ დაბერტყავენ კაკლებს, როგორც უნდა დაბერტყონ, ზედ თითო-ოროლა კაკალი მაინც დარჩება, თანაც სულ კენწეროებში და გამონაპირებულ ტოტებში... მივდგებოდით ამ „საყვავედ“ დატოვებულებს მოკლე, სასროლი ხელკეტებით, ზოგჯერ საგანგებოდ გამზადებული, თითისტარივით გათლილი და გაპრიალებული ხელკეტებითაც. ერთ კაკალს მთელი ნახევარი საათი ვეწვალებოდით და მაინც ჩამოვაგდებდით. ამას ემატებოდა ნაწვიმარი და ნაქარალი... ჩხაკუნით, სიამაყით ამოვიტანდით შინ და გავშლიდით ჩვენთვის, ცალკე. გული რომ რამეზე არ შეგვთანაღრებოდა, ყოველ ახალ მოტანაზე მთლიანად გადავთვლიდით. ვთვლიდით წყვილ-წყვილად – ასს, ორასს, სამასს და ზოგჯერ ხუთასსაც კი. მომცვრევაზე სიარულს დიდებიც არ გვიშლიდნენ. მარტო ამას გვეტყოდნენ, დაუკრეფავს არაფერს შეაწოდოთ ხელიო, და ჩვენც, გულზე ხელის დადებით ვამბობ, პირნათლად ვასრულებდით ამ პირობას“ (რევაზ ინანიშვილი, „კუკრუჭანები“).

მომცვრეული ქალაქი ისეთი ქალაქია, სადაც ადამიანები ჩამოშლილი საჯარო ინფრასტრუქტურების ნარჩენებს აგროვებენ. აგროვებენ იმას, რაც უკვე „მოიკრიფა“ და გაიყიდა, მაგრამ რაც (გა)დარჩა როგორც ნაშალი და როგორც შეკეთების შესაძლებლობა. ამიტომ მომცვრევა, როგორც აგრარული

საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პრაქტიკა და მორალი, პოსტ-საბჭოთა თბილისის ურბანულ ცვლილებებში ყველაზე საფუძვლიანად გვახედებს. მართალია, ეს ცნება ქართულ თანამედროვე ყოფასა და ყოველდღიურ საუბარში აღარ გამოიყენება, ის გვეხმარება უფრო მეტი გავიგოთ იმ წესრიგზე, რამაც შესაძლებელი გახადა საჯარო ინფრასტრუქტურა, როგორც ჯართი და როგორც დაგროვების შესაძლებლობა დაეკანონებინა. ამ წესრიგის მიხედვით, ქალაქის კომუნალური სფერო, როგორიცაა გათბობის ცენტრალური სისტემა და მასთან არსებული თბომეურნეობების ტერიტორიები, კერძო საკუთრების აბსოლუტურ უფლებას დაექვემდებარა.

რუსთავი, 2022. ავტორის ფოტო.

ამ თვალსაზრისით, გათბობის ინფრასტრუქტურის გაჯართება და მისი მოგების მიზნით გამოყენება შესაძლოა რომაული სანივთო სამართლის პრიზმითაც გავიგოთ. რომაული სანივთო სამართალი კერძო საკუთრებასა და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს აბსოლუტურ უფლებად მონიშნავს, რაც საფუძვლად უდევს თითქმის ყველა თანამედროვე სამოქალაქო სამართლის სისტემებს მსოფლიოში. ის შედგება სამი ძირითადი ღერძისგან, *usus (ნივთის გამოყენების უფლება),*

fructus (ნივთის მოგროვების უფლება) და *abusus (ნივთის ნგრევის/დაზიანების უფლება)* (Tsujimura and Tsujimura 2021). გათბობის სისტემის ჩამოშლა ამ სამი უფლების ერთობლივი ამოქმედებისა და გამოყენების შედეგია. ამ უფლებებით ყველა მხარე სარგებლობს, დაწყებული მსხვილი ფინანსური აქტორებიდან, დასრულებული შემგროვებლებით, რათა საბჭოთა მოდერნულობის ნანგრევებიდან ღირებულება ამოიღონ. თუმცა, ამ უფლებით შემგროვებლები მხოლოდ მაშინ და იმიტომ სარგებლობენ, რომ მდიდარმა ფინანსურმა ელიტებმა მათ დარჩენილი ღირებულების აგროვების უფლება მისცეს.

მაგრამ ნგრევის უფლება ხანდახან საკუთრების დაკანონებულ საზღვრებსაც არღვევს, რადგან ჯართის მომცვრევა შესაძლებელს ხდის ქალაქის ჩამოშლას დაშვებულ საზღვრებს მიღმაც. ამიტომ მომცვრევა ხანდახან თავად ხდება იმ უფლების დამრღვევი, რაც მას იმთავითვე მიანიჭეს. ინანიშვილის მოთხრობაში, ბავშვები პირნათლად ასრულებდნენ მომცვრევის პირობას, „დაუკრეფავს არაფერს შეავლოთ ხელიო“. მაგრამ კაკლის ხეებისგან განსხვავებით, რომელთაც ნაყოფის მოსხმა ყოველ წელს შეუძლიათ, ჩამოშლილ ინდუსტრიებსა და ინფრასტრუქტურებს მსგავსი უნარი არ გააჩნიათ. ჯართი ამოწურვადი რესურსია. შემგროვებლები ამ რესურსით აგრძელებენ ცხოვრებას და იგივე რესურსითვე ცდილობენ ჩამოშლილი გარემოს შეკეთებასა და აღდგენას. ამიტომ იქ, სადაც შრომის უფლება მხოლოდ თვითგადარჩენის შესაძლებლობაა და ისიც მილევადი რესურსის გამო სულს ღაფავს, ჯართის მომცვრევა დადებულ პირობებსა და დაშვებულ საზღვრებს თავადვე აღარ ცნობს და არღვევს.

რა მოხდება მას შემდეგ, როცა ერთ დღესაც საბჭოთა ჯართი ამოიწურება და ადამიანებს აღარაფერი ან ცოტა რამ დარჩებათ მოსამცვრევად? ჯართის შემგროვებლები, რომელთა უმეტესობა ქალაქის ღარიბი მოსახლეობაა, ხშირად ღელავენ ამაზე. მათი უმეტესობა ამ შრომაში ჩართვას დაკარგული სამსახურებით, ჩამოშლილი ინდუსტრიებითა და ინფრასტრუქტურებით ხსნის, რის გამოც თავადვე დარჩნენ უსამსახუროდ.

ამიტომ როდესაც გიგლა, ელგუჯა, დათო და მამუკა ჯართზე მესაუბრებობდნენ, ისინი ქალაქის შეკეთებასთან ერთად, საკუთარი ცხოვრების შეკეთებაზეც მიყვებოდნენ. ქალაქის მომცვრევა, რომელსაც გვერდით ეფექტად მძიმე ნარჩენებისგან გასუფთავებაც მოაქვს, მათივე ყოფის შეკეთების მცდელობაცაა. თუმცა, ეს არც ქალაქს და არც შემგროვებლებს დიდად არ შველის, რადგან მომცვრევა რაიმე მძლავრი პოლიტიკური წარმოსახვის ნაწილი კი არ არის, ნეოლიბერალური პროექტის მიღმა საკუთარი თავისა და ქალაქის გარდაქმნა რომ შეუძლია (Harvey 2012). ქალაქის მომცვრევა უფრო იმას მიგვანიშნებს, რომ კერძო საკუთრებამ ქალაქის ზიარი სივრცეები ისე მოსაზღვრა და ჩამოშალა, რომ მის ნანგრევებში შრომაღა დატოვა ერთადერთ გამოსავლად. „ეს სამუშაო ნიშნავს, რომ ბირჟაზე დგომის ან მოპარვის მაგივრად, ჩვენ ჯართის შეგროვება გვირჩევნია. ამას იმისთვის ვაკეთებთ, რომ ოჯახებს ვაჭამოთ, სხვა არაფერი", – გამიზიარა მამუკამ, როდესაც მისი პუნქტიდან გამოვდიოდი. ამიტომ, ზოგიერთი შემგროვებელი შრომის ამ სისტემაში დიდხანს არ რჩება, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, რომელიც დასაქმების შანსებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ ეძებს.

კვლევის პროცესში, დავითი, კიდევ ერთი შემგროვებელი, რომელსაც მხოლოდ ერთხელ შევხვდი და შემდეგ სოციალური ქსელით გავაგრძელეთ ურთიერთობა, საფრანგეთში წავიდა სამუშაოდ. ერთ დღეს დავითმა მომწერა და მითხრა, რომ ჯართის შემგროვებლების შესახებ იმ ვიდეოკოლაჟს უყურა, კოლაბორაციული კვლევის ფარგლებში ქალაქის მაცხოვრებლების დახმარებით რომ ავაწყვე. პანდემიის დროს, 2020-21 წლებში, როდესაც ყველაფერი დაიკეტა და კვლევის ფიზიკურად ჩატარების შესაძლებლობა შეიზღუდა, ქალაქის მაცხოვრებლებს ვთხოვე, ჯართის შემგროვებლების ვიდეოები საკუთარი ფანჯრებიდან გადაეღოთ და გამოეგზავნათ. როდესაც ქალაქში არც ერთი დაწესებულება არ მუშაობდა, სახელმწიფომ სამშენებლო და ჯართის ინდუსტრიები არ გააჩერა. ამიტომ, ჯართის შემგროვებლები პანდემიის დრო-

საც აგრძელებდნენ მუშაობას და დადუმებულ ქუჩებს სიცოცხლეს მატებდნენ. ვიდეოების შეგროვებამ თავად მიიღო ეთნოგრაფიული მომცვრევის ფორმა და ქალაქი კოლექტიური დაკვირვებისა და რეფლექსიის სივრცედ აქცია.[13] დათომ სწორედ ეს ვიდეო ნახა და მომწერა: „მადლობა ჩვენი შრომის დაფასებისთვის". ამ გზავნილმა გამახსენა, რომ ქართულ ტელევიზიებსა და სოციალურ მედიაში თუ რაიმე იძებნება ჯართზე, ყველაფერი მათი შრომის უხილაობას და აუღიარებლობას ააშკარავებს. გადაცემების, რეპორტაჟებისა და სტატიების უმეტესობა, ყურადღებას მხოლოდ ჯართის ექსპორტზე, ამით მოტანილ მოგებასა და ციფრებზე ამახვილებს. არადა, ჯართის შემგროვებლები ქალაქის მომცვრევით, არათუ ქვეყნის ექსპორტსა და ინდუსტრიას ეხიდებიან, არამედ თავადვე ხდებიან ქალაქის შეუცვლელი ინფრასტრუქტურები (Simone 2004), ჩამოშლილი სივრცის და ყოფის შეკეთებას მათივე სხეულებით რომ ეხიდებიან.

[13] ვიდეო და ტექსტი The Jarti Gleaners განთავსებულია: https://emptiness.eu/field-reports/a-collective-video-collage-the-jarti-gleaners/

ბიბლიოგრაფია:

1. ინანიშვილი, რ. (1981) „კუკრუჭანები“. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
2. ქამუშაძე, თ. (2022). „რუსთავის საბჭოთა მემკვიდრეობა: პატარა ქალაქის დიდი ამბები“. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
3. Adorno, T. W. (1973). Negative Dialectics. London: Routledge.
4. Alexander, C., & Reno, J. (2012). Introduction – Economies of Recycling: The Global Transformations of Materials, Values and Social Relations. In Economies of Recycling: The Global Transformations of Materials, Values and Social Relations (pp. 1–34). London: Zed Books.
5. Alexander, C., & Sanches, A. (2019). Introduction. In The Values of Indeterminacy (pp. 1-30). New York and Oxford: Berghahn.
6. Benjamin, W. (1968). Illuminations. New York: Schocken Books.
7. Bize, A. (2019). Gleaning. Theorizing the Contemporary, Fieldsights, March 29. Link
8. Bize, A. (2022). On Fallen Wood. Etnofoor, 34 (2), 33-48.
9. Boym, S. (2017). The Off-Modern. New York, London, Oxford, New Delhi, and Sydney: Bloomsbury.
10. Cherkaev, X. (2023). Gleaning for Communism: Soviet Socialist Household in Theory and Practice. Ithaca and London: Cornell University Press.
11. Collier, J. S. (2011). Post-Soviet Social: Neoliberalism, Social Modernity, Biopolitics. Princeton and Oxford: Princeton University Press.
12. Collier, J. S., & Way, L. (2004). Beyond the Deficit Model: Social Welfare in Post-Soviet Georgia. Post-Soviet Affairs, 20 (3), 258-284.
13. Eradze, I. (2021). Shaping the Future of Multilateralism – Imbalanced Foreign Trade, Debt and Investment in Developing Countries: The Case of Georgia. Heinrich-Böll-Stiftung.
14. Gilmour, B., Cox, M., Erb-Satullo, N., Khakhutaishvili, N., & Pollard, M. (2020). Ancient Colchis and the Origins of Iron: Inter-

im Results from Recent Field Survey Work in Guria, Western Georgia. In N. Secunda (Ed.), Wonders Lost and Found: A Celebration of the Archaeological Work of Professor Michel Vickers. Oxford: Archaeopress Archaeology.
15. Golubev, A., & Smolyak, O. (2013). Making Selves Through Making Things: Soviet Do-It-Yourself Culture and Practices of Late Soviet Subjectivation. Cahiers du Monde russe, 54 (3/4), 517–541.
16. Golubev, A. (2020). Things of Life: Materiality in Late Soviet Russia. Ithaca and London: Cornell University Press.
17. Gordillo, R. G. (2014). Rubble: The Afterlife of Destruction. Durham and London: Duke University Press.
18. Gregson, N., Crang, M., Botticello, J., Calestani, J., & Krzywoszynska, A. (2016). Doing the „Dirty Work“ of the Green Economy: Resource Recovery and Migrant Labor in the EU. European Urban and Regional Studies, 23 (4), 541-555.
19. Harvey, D. (2012). Rebel Cities: From the Right to the City to the Urban Revolution. London and New York: Verso.
20. Hawkins, G. (2006). The Ethics of Waste: How We Relate to Rubbish. Lanham, Boulder, and New York: Rowman and Littlefield Publishers, Inc.
21. Jovanovic, D. (2021). Infrastructural Stripping and ‘Recycling“ of Copper: Producing the State in an Industrial Town in Serbia. Social Anthropology, 29 (3), 586-601.
22. Khalvashi, T. (2018). ‘Horizons of Medea: Economies and Cosmologies of Dispossession in Georgia’. Journal of the Royal Anthropological Institute, 24 (4), 1–22.
23. Khalvashi, T. (2019). ‘A Ride on the Elevator: Infrastructures of Brokenness and Repair in Georgia’. In F. Martinez & P. Laviolette (Eds.), Repair, Brokenness, Breakthrough: Ethnographic Responses (pp. 92–114). New York: Berghahn Books.
24. Khalvashi, T. (2023). Makeshift Boats: Transience, Turbulence and the Sea of Mourning. In T. Khalvashi & M. D. Frederiksen (Eds.), A Sea of Transience: Poetics, Politics and Aesthetics along the Black Sea Coast. New York and Oxford: Berghahn.

25. Lewis, T., & Rauturier, F. (2019). Gleaning around the World: Reframing Urban Thrift via Practices and Economies of Hard Rubbish Reuse. Journal of Consumer Culture, 19 (4), 493-512.
26. Lukacs, G. (1971). History and Class Consciousness. London: Merlin.
27. Martinez, F. (2018). Remains of the Soviet Past in Estonia: An Anthropology of Forgetting, Repair and Urban Traces. London: UCL Press.
28. Peterson, D. J. (1998). Troubled Lands: The Legacy of Soviet Environmental Destruction. London and New York: Routledge.
29. Khakhutaishvili, D. A. (2009). The Manufacture of Iron in Ancient Colchis. Oxford: Archaeopress.
30. Khachadourian, L. (2022). Life Extempore: Trials of Ruination in the Twilight Zone of Soviet Industry. Cultural Anthropology, 37 (2), 317-348.
31. Qeburia, Tamar (გამოუქვეყნებელი). The Social Fabric of Industrial Technology: Closed-top Furnace Caught Between Socialist and National Imaginaries.
32. Rakowski, T. (2019). Hunters, Gatherers, and Practitioners of Powerlessness: An Ethnography of the Degraded in Postsocialist Poland. New York and Oxford: Berghahn.
33. Schwenkel, C. (2020). Building Socialism: Afterlife of East German Architecture in Urban Vietnam. Durham and London: Duke University Press.
34. Simone, A. (2004). People as Infrastructure: Intersecting Fragments in Johannesburg. Public Culture, 16 (3), 407-429.
35. Tsing, A. (2015). The Mushroom at the End of the World: On the Possibility of Life in Capitalist Ruins. Princeton and Oxford: Princeton University Press.
36. Tsujimura, K., & Tsujimura, M. (2021). Roman Law in National Accounting Perspective: Usus, Fructus, Abusus. Statistical Journal of the IAOS, 37, 613-628.
37. Williams, R. (1977). Marxism and Literature. Oxford and New York: Oxford University Press.

მადლობას ვუხდი ჯართის ყველა შემგროვებელს, მცირე ჩამბარებელი პუნქტების დარაჯებსა და მეპატრონეებს კვლევის პროცესში აღმოჩენილი ნდობის, მეგობრობისა და მხარდაჭერისთვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქეთევან გურჩიანს, გაბრიელ ჩუბინიძეს და ლორი ხაჩატურიანს, რომელთა დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე ამ სტატიის დაწერა შეუძლებელი იქნებოდა. ასევე მადლიერებას გამოვხატავ ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც პანდემიის დროს ჯართის შემგროვებლების შესახებ კოლექტიურ მულტიმედია ეთნოგრაფიულ პროექტში ჩაერთო და ფოტო და ვიდეო მასალა მომაწოდა.